



საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

**რუსეთის ფედერაციაში და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში
დაბალნახშირბადოვანი ფოლადისგან წარმოებული არმატურისა და
გლინულის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტთან
დაკავშირებით მიმდინარე ანტიდემპინგური შესწავლის დასკვნა**

თბილისი

2025

სარჩევი

1. პროცედურები	3
1.1. შესწავლის პერიოდი.....	3
1.2. ადგილობრივი ინდუსტრია.....	3
1.3. გადაწყვეტილება შესწავლის დაწყების შესახებ.....	5
1.4. დაინტერესებული მხარეები და შერჩევის პროცესი.....	7
1.5. საზოგადოებრივი ინტერესის შეფასება.....	9
1.6. დაინტერესებული მხარეების პოზიციები.....	10
1.6.1. კითხვარები.....	12
2. შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი	14
2.1. შესწავლის ობიექტი.....	14
2.2. მსგავსი პროდუქტი.....	17
2.2.1. მსგავსი პროდუქტი - ადგილობრივი წარმოება.....	17
2.2.2. მსგავსი პროდუქტი - რუსეთის ფედერაციის ბაზარი.....	17
2.2.3. მსგავსი პროდუქტი - ირანის ისლამური რესპუბლიკის ბაზარი.....	19
2.2.4. შესწავლის ობიექტისა და მსგავსი პროდუქტის შედარება.....	20
3. დემინგის დადგენა	22
3.1. ნორმალური დირებულება.....	22
3.1.1. რუსეთის ფედერაცია.....	22
3.1.2. ირანის ისლამური რესპუბლიკა.....	41
3.2. საექსპორტო ფასი.....	42
3.2.1. რუსეთის ფედერაცია.....	42
3.2.2. ირანის ისლამური რესპუბლიკა.....	46
3.3. ფასების შედარება.....	47
4. ზიანი	49
4.1. შესწავლის ობიექტის მოხმარება საქართველოში.....	49
4.2. იმპორტის მოცულობა და საბაზრო წილი.....	51
4.3. შესწავლის ობიექტისა და მსგავსი პროდუქტის ფასები.....	54
4.4. ადგილობრივი ინდუსტრიის ეკონომიკური ინდიკატორები.....	58
4.4.1. წარმოება, საწარმოო სიმძლავრეები და მათი დატვირთულობის ხარისხი.....	58
4.4.2. ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების მოცულობა და საბაზრო წილი.....	59
4.4.3. ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების ფასების დინამიკა.....	61
4.4.4. დასაქმება, შრომითი დანახარჯები და პროდუქტიულობა.....	64
4.4.5. მარაგები.....	65
4.4.6. მომგებიანობა და სხვა ფინანსური მაჩვენებლები.....	66
4.5. ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის ინდიკატორების შეჯამება.....	67
5. დემინგური იმპორტის კავშირი ზიანთან	69
5.1. სავარაუდო დემინგური იმპორტის გავლენა.....	70
5.2. ზიანის სხვა შესაძლო ფაქტორები.....	70
5.2.1. სხვა ქვეყნებიდან იმპორტის დინამიკა.....	70
5.2.2. ადგილობრივი მწარმოებლების ექსპორტის განვითარება.....	72
5.2.3. ადგილობრივი ინდუსტრიის გამოწვევები.....	72
5.2.4. ფოლადის ინდუსტრიის საერთაშორისო ტენდენციები.....	74
5.2.5. საქართველოში არმატურის იმპორტის ხარჯების ცვლილება.....	75
6. დასკვნა	76

1. პროცედურები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში („სააგენტო“, „შესწავლის ორგანო“) 2024 წლის 5 აპრილს წარმოდგენილ იქნა N01/1994 განცხადება („განცხადება“) ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებელთა ასოციაციის“ (ს/ნ 416352146) მიერ („განმცხადებელი“, „მომჩივანი“) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციაში („რუსეთი“) და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში („ირანი“) დაბალნახშირბადოვანი ფოლადისგან წარმოებული არმატურისა და გლინულის სავარაუდო დემპინგურ იმპორტთან დაკავშირებით.

განცხადების დასაშვებობის შესწავლის შედეგად, განცხადების საფუძველზე, სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 4 ივნისს N04/489 ბრძანების შესაბამისად, სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა ირანსა და რუსეთიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პროდუქციის სავარაუდო დემპინგური იმპორტის თაობაზე („შესწავლა“).

ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ საჯარო შეტყობინების შესაბამისად, შესწავლის ვადად განისაზღვრა 12 თვე (2025 წლის 4 ივნისი), თუმცა შესწავლის პროცესში ფოლადის ბაზარზე ახალი გარემოებების გამოვლენის საფუძველზე, სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 1-ლი მაისის N04/458 ბრძანების შესაბამისად, ანტიდემპინგური შესწავლის ვადა გახანგრძლივდა დამატებით 6 თვით, 2025 წლის 4 დეკემბრამდე.

“ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-4 მუხლის, მე-3 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის №249 დადგენილების „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ („წესი“) 22-ე მუხლის მიხედვით, შესწავლა სრულდება შესწავლის შედეგების საფუძველზე, სააგენტოს მიერ საქართველოს მთავრობისათვის სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის წარდგენით.

1.1. შესწავლის პერიოდი

იმის გათვალისწინებით, რომ ფოლადის ინდუსტრიის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შესწავლის ობიექტის ფასებთან დაკავშირებით 2024 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს, შესწავლის პერიოდად 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 იანვრამდე პერიოდი განისაზღვრა („შესწავლის პერიოდი“, „IP“). ამასთანავე, ზიანის დადგენის პერიოდად („გათვალისწინებული პერიოდი“) განისაზღვრა პერიოდი 2021 წლის 1 იანვრიდან შესწავლის დასრულებამდე.

განცხადების დასაშვებობის განხილვის ეტაპზე 13 თვიანი შესწავლის პერიოდის განსაზღვრა, ერთი მხრივ, განპირობებულია განცხადებაში წარმოდგენილი უახლესი მონაცემების თარიღით (2024 წლის იანვარი), ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთიდან იმპორტირებული შესწავლის ობიექტის მსგავსი პროდუქტის ნორმალური ღირებულების დადგენისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის პერიოდით.

1.2. ადგილობრივი ინდუსტრია

კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა და წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარმოდგენილი განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს დასაშვებობისთვის დადგენილი უფლებამოსილების ტესტს. კერძოდ, განცხადება მხარდაჭერილი უნდა იყოს ადგილობრივი

ინდუსტრიის იმ ნაწილის მიერ, რომლის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა აღემატება განცხადების ექსპლიციტურად მხარდამჭერი ან საპირისპირო აზრის მქონე ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის 50%-ს. ამავდროულად, მითითებულ მხარდამჭერთა მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა არ უნდა იყოს მთლიანი ადგილობრივი ინდუსტრიის 25%-ზე ნაკლები.

სააგენტოში განცხადება წარდგენილია „საქართველოს მწარმოებელთა ასოციაციის“ მიერ ადგილობრივი ინდუსტრიის ორი კომპანიის შპს „რუსთავის ფოლადის“ (ს/კ 404411908) („შპს „რუსთავის ფოლადი“) და შპს „ჯეოსთილის“ (ს/კ 216425919) („შპს „ჯეოსთილი“) სახელით. დამატებით, განცხადებას თან ახლავს ადგილობრივი ინდუსტრიის შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ (ს/კ 416311707) და შპს „ამბიკონ სტილსის“ (ს/კ 402114396) თანხმობის წერილები „საქართველოს მწარმოებელთა ასოციაციის“ განცხადების მხარდამჭერაზე. განცხადების მიხედვით, წარმოდგენილი ოთხი კომპანიის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტი მთლიანი წარმოების 100%-ს შეადგენს.

ადგილობრივი ინდუსტრიის განსაზღვრისა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, სააგენტომ შეისწავლა 2021-2023 წლებში, ექსპორტიორი კომპანიების მიხედვით მსგავსი პროდუქტის ადგილობრივი ექსპორტი. გადამოწმების შედეგად 2023 წელს აღნიშნული პროდუქტის მხოლოდ ორი ექსპორტიორი კომპანია, შპს „რუსთავის ფოლადი“ და შპს „ჯეოსთილი“ ფიქსირდება. 2021-2022 წლებში მსგავსი პროდუქტის ადგილობრივ ექსპორტს დამატებით 7 კომპანია ახორციელებდა, მათ შორის, შპს „აად“ (ს/კ 404865829), შპს „ალმეთ თრეიდინგ ჯორჯია“ (ს/კ 405264459), შპს „ჩეხ ენერჯი თიმ“ (ს/კ 412743535), შპს „ციტადელი“ (ს/კ 404924285), შპს „ფოლადის სახლი“ (ს/კ 406258259), შპს „კავკას მეტალი“ (ს/კ 205282308) და შპს „კავკასუს როულ პროჯექტი“ (ს/კ 202258243).

სააგენტოსთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, ჩამოთვლილი კომპანიებიდან არმატურას მხოლოდ ორი კომპანია აწარმოებს, შპს „ფოლადის სახლი“ და შპს „კავკას მეტალი“. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ შპს „ფოლადის სახლი“ არმატურის წარმოებასთან ერთად, ასევე არის მისი იმპორტიორი რუსეთიდან და ირანიდან.

კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი ინდუსტრია განმარტებულია, როგორც „ყველა მწარმოებელი, რომლებიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა) აწარმოებენ მსგავს პროდუქტს, ან მსგავსი პროდუქტის მწარმოებელთა ერთობლიობა, რომელთა წარმოების საერთო წილი შეადგენს მთლიანი ადგილობრივი წარმოების ძირითად ნაწილს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი პროდუქტის ადგილობრივი მწარმოებლები ამავდროულად არიან შესწავლის ობიექტის იმპორტიორები ან შესწავლის ობიექტის იმპორტიორთან ან ექსპორტიორთან დაკავშირებული პირები, – დანარჩენ მწარმოებელთა ერთობლიობა“. ტერმინი „ძირითადი ნაწილი“ კი განმარტებულია, როგორც „მნიშვნელოვანი, სერიოზული და არსებითი“.¹ შესაბამისად, შპს „ფოლადის სახლი“ ვერ ჩაითვლება ადგილობრივი ინდუსტრიის ნაწილად, მის მიერ შესწავლის ობიექტის იმპორტის შედეგად. ასევე, შპს „ფოლადის სახლის“ ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ისინი არმატურას ცივად გლინვის შედეგად აწარმოებენ, რის შედეგადაც იწარმოება შესწავლის ობიექტისაგან განსხვავებული პროდუქტი.

¹ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პანელის გადაწყვეტილება საქმეზე Argentina - Definitive Anti-Dumping Duties on Poultry from Brazil, WT/DS241/R [2023] პარა. 7.341

შპს “კავკას მეტალის” ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, კომპანია მხოლოდ B500A კატეგორიის არმატურას აწარმოებს, რაც ასევე შესწავლის ობიექტისაგან განსხვავებული პროდუქტია.

სააგენტომ შეისწავლა განცხადებაში მითითებული ოთხი კომპანიის მსგავსი ეკონომიკური საქმიანობის (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი სეკ 006-2016, ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასის დონე) მიხედვით რეგისტრირებული კომპანიები. სააგენტომ აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით შეისწავლა მსხვილი და საშუალო კომპანიების საქმიანობა, რის საფუძველზეც, ასევე მხოლოდ ზემოთ ხსენებული ორი კომპანია გამოიკვეთა.

დამატებით, შესწავლის წარმოების პროცესში გამოიკვეთა კიდევ ერთი კომპანია შპს „ჯორჯია მეტალი“ (ს/კ 430037239), რომელიც შესწავლის პერიოდში არმატურის საწარმოებელ ქარხანას აშენებდა. წარმოდგენილი კომპანიიდან მიღებული წერილის მიხედვით (01/2671, 29.05.2025), წარმოების პროცესი სატესტო რეჟიმში 2025 წლიდან დაიწყო და საწარმო 30%-იანი დატვირთვით მუშაობდა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კომპანია შესწავლის პერიოდში შესწავლის ობიექტის იმპორტიორი იყო, ხოლო ადგილობრივი მწარმოებელი გათვალისწინებულ პერიოდში გახდა, სააგენტოს მნიშვნელოვნად მიაჩნია, ახალი მოთამაშის გავლენის დადგენა ზიანისა და მიზუშემდეგობრივი კავშირის მიმართულებით.

ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოდგენილი მონაცემების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ განმცხადებელი არის საქართველოში განსაზღვრული ტიპის დაბალნახშირბადოვანი ფოლადისგან წარმოებული არმატურისა და გლინულის ძირითადი მწარმოებელი და 2023 წლის მაჩვენებლებით ადგილობრივი წარმოების 50%-ს ნამდვილად აღემატება. შესაბამისად, იგი აკმაყოფილებს უფლებამოსილების ტესტს.

1.3. გადაწყვეტილება შესწავლის დაწყების შესახებ

სააგენტოს თავმჯდომარის N04/489 ბრძანებით, კანონის მე-20 მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6 პუნქტებისა და წესის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის შემოწმების შედეგად, სააგენტომ 2024 წლის 4 ივნისს განცხადების დასაშვებად ცნობისა და ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.² სააგენტოს წინასწარი შეფასებით, ხელთ არსებული მტკიცებულებები საკმარისი იყო იმ ვარაუდის დასაბუთებლად, რომ შესწავლის პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შესწავლის ობიექტის სავარაუდო დემპინგურ იმპორტს განსახილველი სახელმწიფოებიდან, ხოლო იმპორტის რაოდენობრივი მაჩვენებლები და სავარაუდო დემპინგური ზღვრები აღემატებოდა კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ზღვრებს. ამგვარად, სააგენტომ მიიჩნია, რომ *prima facie* დასტურდებოდა დემპინგით გამოწვეული ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანი, რომელიც გამოიხატებოდა, როგორც რაოდენობრივ, ასევე, საფასო მაჩვენებლებში.

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებისთვის სავალდებულო მტკიცებულებათა საკმარისობის სტანდარტსა და განმცხადებლისა და შესწავლის ორგანოს მტკიცების ტვირთზე. წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად,

² ბრძანება ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებელთა ასოციაციის“ (ს/ნ 416352146) 2024 წლის 5 აპრილის განცხადების დასაშვებად ცნობისა და ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ, https://gcc.gov.ge/uploads_script/antidumping/tmp/php6WYRdX.pdf

განცხადებას თან უნდა ახლდეს რელევანტური მტკიცებულებები, რომ არსებობს დემპინგური იმპორტი (1), ზიანი (2) და მიზეზშედეგობრივი კავშირი დემპინგურ იმპორტსა და ზიანს შორის (3). ამავე მუხლის მე-6 პუნქტი თავის მხრივ განსაზღვრავს „გონივრულად ხელმისაწვდომი ინფორმაციის“ სტანდარტს, რასაც განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, „განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც გონივრულად ხელმისაწვდომია განმცხადებლისთვის და ასევე მითითებას წარდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

მსგავსი რეგულირება მოცემულია ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება 1994-ის („GATT“) VI მუხლის იმპლემენტირების შესახებ შეთანხმების („ADA“) მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფში³. საქმეში US - Softwood Lumber V WTO-ს პანელმა დაადგინა, რომ „გონივრულად ხელმისაწვდომობის“ მსგავსი ფორმულირება მიზნად ისახავდა განმცხადებლისთვის ზედმეტი ტვირთის აცილებას. განცხადების მიზანს წარმოადგენს შესწავლის ინიცირების მტკიცებულებითი საფუძვლის შექმნა, ამდენად, ყოველი გონივრულად ხელმისაწვდომი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნა არასაჭირო იქნებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი ინფორმაცია შესაძლოა იყოს არასაჭირო ან წარმოდგენილ ინფორმაციაზე ნაკლებად სარწმუნო.“⁴

წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად მტკიცებულებათა საკმარისობის განსაზღვრისთვის, შესწავლის ორგანო შეისწავლის წარდგენილი მტკიცებულებების სიზუსტესა და შესაბამისობას“. მსგავს რეგულირებას ვხვდებით ADA-ს მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფში. ამდენად, შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამის იურიდიულ სტანდარტს წარმოადგენს მტკიცებულებათა საკმარისობის სტანდარტი, რა დროსაც შესწავლის ორგანოს მეორ ფასდება მტკიცებულებათა სიზუსტე და შესაბამისობა.⁵

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ შესწავლის დაწყების დროს შესწავლის ორგანოს არ მოეთხოვება ჰქონდეს მტკიცებულებათა ის რაოდენობა და ხარისხი, რაც აუცილებელი იქნებოდა წინასწარი ან საბოლოო დადგენის დასადასტურებლად, არამედ, ფასდება *prima facie* მტკიცებულებების საკმარისობა.⁶ მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფი ეხება „სავარაუდო ზიანს“, „სავარაუდო დემპინგურ პროდუქტს“ და „სავარაუდო დემპინგურ იმპორტს“.⁷ ამასთან, შესწავლის ორგანოს არ აქვს ვალდებულება, განმარტოს მიზეზები და წარმოადგინოს დასაბუთება, თუ როგორ მივიდა დასკვნამდე. ADA-ს მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი შესწავლის ორგანოსთვის თავისთავად არ ადგენს ინიცირების შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ განსაზღვრებების გაკეთებისა თუ გაცნობის

³ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება 1994-ის VI მუხლის იმპლემენტირების შესახებ შეთანხმება, იხ. https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/19-adp_01_e.htm#articleV

⁴ პანელის გადაწყვეტილება, US - Final Dumping Determination on Softwood Lumber from Canada, WT/DS264/RW, პარა. 7.54.

⁵ პანელის გადაწყვეტილება, Guatemala – Definitive Anti-Dumping Measures On Grey Portland Cement From Mexico (Guatemala – Cement II), WT/DS156/R, პარა. 8.31

⁶ Prima Facie სტანდარტს აღიარებს რუსული მხარეც. იხ. ქვეთავი 3.1.

⁷ პანელის გადაწყვეტილება, Guatemala - Cement II, პარა. 8.35. პანელის გადაწყვეტილება, Mexico – Anti-Dumping Duties On Steel Pipes And Tubes From Guatemala (Mexico — Steel Pipes and Tubes), WT/DS331/R, პარა. 7.22; 7.27.

ვალდებულებას.⁸ ამასთან, ზემოაღნიშნული სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, შესწავლის ორგანო არ არის შეზღუდული, თავად მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია, რათა შეამოწმოს და დაასაბუთოს განცხადების შინაარსი.⁹

სააგენტო იზიარებს საერთაშორისო პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც ანტიდემპინგური შესწავლა არის პროცესი, როდესაც სატარიფო ღონისძიების შემოღებისთვის აუცილებელი ყველა ელემენტის არსებობის დადასტურება თანდათან მიიღწევა, შესწავლის პროცესის პროგრესირების პარალელურად.¹⁰

1.4. დაინტერესებული მხარეები და შერჩევის პროცესი

ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ შეტყობინება სააგენტოს ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნდა. შეტყობინების მიხედვით განისაზღვრა, რომ შესწავლაში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირებს სააგენტოსთვის წერილობით უნდა მოემართათ.

შესწავლის დაწყების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, ასევე, ეცნობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას (რეგ. N02/2202, 11.06.2024), ირანისა და რუსეთის მთავრობებს (რეგ. N 02/2205, 11.06.2024), განმცხადებელს (რეგ. N02/2139, 05.06.2024) და სხვა ცნობილ დაინტერესებულ პირებს. კერძოდ, წესის მე-8 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, იმპორტიორთა და ექსპორტიორთა დიდი რაოდენობის გამო, სააგენტოს მიერ განხორციელდა შესწავლის მონაწილეთა წრის განსაზღვრა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტ-ექსპორტის მოცულობის გათვალისწინებით.

წესის მიხედვით, დაინტერესებული პირების შერჩევა განხორციელდა ბაზარზე მნიშვნელოვანი წილის მქონე კომპანიების შესწავლის პირობით. როგორც იმპორტიორი, ასევე ექსპორტიორი კომპანიების შეთხვევაში მათი წილი შესაბამისი ქვეყნიდან შესწავლის ობიექტის იმპორტის მოცულობის 90%-მდე მოიცავდა.

მოცემულ შესწავლაში მოპასუხე მხარეებად განისაზღვრა შემდეგი ექსპორტიორი კომპანიები: Sanat Tejarat Pardis Azerbaijan Co.; Kaveh Tikmeh Dash Steel Industries Co.; Toulidi Foolad Sepid Farab Kavir Co.; Azar Foulad Amin Co.; Saba Foulad Zagros Co.; Promsort-TULA LLC; Balakovo Steel Factory JSC; Abinsk Electric Steel Works LTD; Tulachermet-Stal LLC.

შესწავლის პერიოდში რუსეთიდან პროდუქტის ექსპორტიორი 12 კომპანია ფიქსირდება. ხაზგასასმელია, რომ შერჩეული 4 კომპანიის წილი რუსეთიდან შესწავლის ობიექტის მთლიანი იმპორტის 98%-ს შეადგენდა.

⁸ პანელის გადაწყვეტილება, Mexico - Anti-Dumping Investigation Of High Fructose Corn Syrup (Hfcs) From The United States, WT/DS132/RW, პარა. 7.102.

⁹ პანელის გადაწყვეტილება, Mexico – Anti-Dumping Duties On Steel Pipes And Tubes From Guatemala, WT/DS331/R, პარა. 7.23; პანელის გადაწყვეტილება, US – Softwood Lumber V, პარა. 7.75

¹⁰ პანელის გადაწყვეტილება, Guatemala – Cement II, პარა. 8.35, 8.36, პანელის გადაწყვეტილება, Mexico – Steel Pipes and Tubes, პარა. 7.22

ცხრილი N1. შესწავლის პერიოდში რუსეთიდან იმპორტირებული გლინულა და არმატურა ექსპორტიორი კომპანიების მიხედვით

ექსპორტიორი კომპანია	რაოდენობა (ტონა)	ღირებულება (აშშ დოლარი)	წილი
Tulachermet Stal			
Promsort-Tula			
Abinsk Electric Steel Works			
Balakovo Steel Works			
დანარჩენი კომპანიები			

წყარო: შემოსავლების სამსახური

ირანიდან იმპორტირებული პროდუქტის შემთხვევაში, შესწავლაში მონაწილეობისთვის შეირჩა 7 უმსხვილესი იმპორტიორი კომპანია, რომლებიც ირანიდან საქართველოში შესწავლის ობიექტის მთლიანი ექსპორტის 89%-ს შეადგენდა. ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ შერჩეული 7 კომპანიიდან შესწავლის ორგანომ მხოლოდ 5 კომპანიაზე შეძლო ინფორმაციის მოძიება. შესწავლის პერიოდში აღნიშნული კომპანიების წილი ირანიდან შესწავლის ობიექტის მთლიან ექსპორტში 79%-ს შეადგენდა. შესწავლის პერიოდში ირანიდან ექსპორტიორი 30-ზე მეტი კომპანია დაფიქსირდა.

ცხრილი N2. შესწავლის პერიოდში ირანიდან იმპორტირებული გლინულა და არმატურა ექსპორტიორი კომპანიების მიხედვით

ექსპორტიორი კომპანია	რაოდენობა (ტონა)	ღირებულება (აშშ დოლარი)	წილი
FOOLAD SEPID FARAB KAVIR CO.			
FOOLAD KAVEH TIKMEH DASH INDUSTRIES CO.			
SANAT TEJARAT PARDIS AZARBAYJAN CO.			
TEJARAT POLYMER MEHR			
NEGIN DIYAR ARAS CO.			
AZAR FOOLAD AMIN			
SABA ZAGROS STEEL COMPANY			
დანარჩენი კომპანიები			

წყარო: შემოსავლების სამსახური

დამატებით, იმპორტიორი კომპანიების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, ასევე განხორციელდა იმპორტიორი კომპანიების შერჩევა, რომლებიც, ექსპორტიორი კომპანიების მსგავსად უმსხვილესი მოცულობის იმპორტის კრიტერიუმით შეირჩა. შესწავლის პერიოდში ბაზარზე ირანიდან და რუსეთიდან შესწავლის ობიექტის იმპორტიორი 50-ზე მეტი კომპანია გამოიკვეთა. მნიშვნელოვანი წილის კრიტერიუმის გათვალისწინებით, სააგენტომ შესწავლაში ჩართვის მიზნით 8 უმსხვილესი იმპორტიორი კომპანია შეარჩია, რომლებიც შესწავლის ობიექტის მთლიანი იმპორტის მოცულობის 92%-ს შეადგენდნენ.

ცხრილი N3. შესწავლის პერიოდში ირანიდან და რუსეთიდან იმპორტირებულია გლინულა და არმატურა იმპორტიორი კომპანიების მიხედვით

იმპორტიორი კომპანია	რაოდენობა (ტონა)	ღირებულება (აშშ დოლარი)	წილი
შპს „პიემ მეტალი“			
შპს „ფოლადის სახლი“			
შპს „ევრაზ სტილი“			
შპს „გლობალ ირონ & სთილ“			
შპს „მეტალ ჯორჯია“			
შპს „ბროლი“			
შპს „ტავ“			
შპს „მ.ჯ. ჯგუფი“			

წყარო: შემოსავლების სამსახური

წესის მე-8 მუხლის შესაბამისად, იმპორტიორთა და ექსპორტიორთა დიდი რაოდენობის გამო, სააგენტოს მიერ შესწავლის მონაწილეთა სიის განსაზღვრის საფუძველზე შერჩეულ კომპანიებს დაეგზავნათ შეტყობინება შესწავლის დაწყების შესახებ.

შესწავლის ინიცირების შესახებ შეტყობინების გამომსაურებისა და შესწავლის მონაწილე დაინტერესებულ პირად ჩართვის მოთხოვნის საფუძველზე, შესწავლის მონაწილე დაინტერესებულ პირთა წრე განისაზღვრა შემდეგი კომპანიებით: შპს „ფოლადის სახლი“ (ს/ნ 406258259), შპს „პიემ მეტალ“ (ს/ნ 405336925), შპს „ევრაზ სტილი“ (ს/ნ 402077729), შპს „ბროლი“ (ს/ნ 406029792), შპს „მ.ჯ. ჯგუფი“ (ს/ნ 406298466), შპს „მეტალ ჯორჯია“ (ს/ნ 406308302). ასევე, დაინტერესებულ მონაწილედ შესწავლაში ჩაერთო რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის განვითარების სამინისტრო.

1.5. საზოგადოებრივი ინტერესის შეფასება

წესის მე-18 მუხლის საფუძველზე, სააგენტო ერთიანად აფასებს ადგილობრივი ინდუსტრიისა და საზოგადოებრივ ინტერესებს. აღნიშნული მიზნად ისახავს ბაზარზე სავარაუდო დემპინგური იმპორტის შედეგად წარმოშობილი არასამართლიანი კონკურენციის აღმოფხვრას. კერძოდ, წესის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საზოგადოებრივი ინტერესის შეფასებისას შესწავლის ორგანო, სხვა ფაქტორებთან ერთად, ითვალისწინებს:

ა) დემპინგური იმპორტით გამოწვეულ ზიანსა და ადგილობრივ ინდუსტრიაზე ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების სავარაუდო გავლენას;

ბ) საქართველოს ბაზარზე მომხმარებლებისა და იმ დაკავშირებული მწარმოებლების მნიშვნელობას, რომლებიც შესწავლის ობიექტს წარმოების პროცესში იყენებენ;

გ) ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების სავარაუდო გავლენას მომხმარებლებსა და იმ დაკავშირებულ მწარმოებლებზე, რომლებიც შესწავლის ობიექტს წარმოების პროცესში იყენებენ;

დ) ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების სავარაუდო გავლენას ბაზრის სტრუქტურასა და კონკურენტულ გარემოზე.“

ამ მიზნით, სააგენტოს მიერ ინფორმაციის მოწოდება მოთხოვნილ იქნა როგორც იმპორტიორებისგან კითხვარების ეტაპზე, ასევე, სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებისგან. სააგენტოში შემოსულ იქნა კორექსპონდენცია ორი იმპორტიორისგან¹¹, სადაც დაფიქსირებულია მათი ინტერესები. მათი მითითებით, სექტორში კონცენტრაციის დონე არის ძალიან მაღალი, ბაზარზე ოპერირებს 2 ქარხანა და 10 საბითუმო კომპანია. 2021 წლიდან ბაზარზე გავლენის მქონე ფაქტორებად იმპორტიორები ასახელებენ რუსეთ-უკრაინის ომს, რამაც განაპირობა მომხმარებლისთვის არმატურის „ძალიან მაღალ ფასებში“ მიწოდება და სტაბილიზაციისთვის, უკრაინული იმპორტის ჩანაცვლება რუსული საქონლით. ერთი იმპორტიორი აღნიშნავს, რომ ბაზრის დისბალანსი გამოწვეულია ირანული დემპინგური იმპორტით. ასევე მიუთითებს, რომ მისთვის გაუგებარია გლინულის წინააღმდეგ შესწავლის წარმოება, რადგან ადგილობრივი წარმოება თითქმის არ ხდება.

ბაზარზე კონკურენციის საწინააღმდეგო ქცევის შესახებ ინფორმაცია მიღებული კორექსპონდენციით არ ფიქსირდება. მიწოდების სხვა წყაროებთან გადართვის მხრივ ერთი იმპორტიორი მიუთითებს რუსეთ-უკრაინის ომის დასასრულზე, რამეთუ შესაძლებელი იქნება უკრაინიდან შესწავლის ობიექტის განახლებული იმპორტი, ხოლო მეორე იმპორტიორი აცხადებს, რომ გადართვა ზოგადად შესაძლებელია. იმპორტიორის პოზიციით, შესწავლის ობიექტზე დამატებითი გადასახადის დაწესებამ შესაძლოა კიდევ უფრო დააზარალოს არა მარტო ინდუსტრია, არამედ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შემდგომი განვითარება და სამშენებლო სექტორი, რომელიც ფასების მოულოდნელ ზრდასთან ძალიან სენსიტიურია.

საზოგადოებრივი ინტერესის შეფასების მიზნით, სააგენტოს მიერ მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია როგორც ა(ა)იპ „საქართველოს ბიზნეს ასოციაციასა“¹² და ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციაში“¹³ გაწევრიანებული სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებისგან, ასევე, წლიური ბრუნვის მიხედვით არმატურისა და გლინულის მომხმარებელი სამშენებლო კომპანიებისგან, რომელთაც ეთხოვათ პოზიციის დაფიქსირება შესწავლის ობიექტზე ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღებასთან დაკავშირებით. გამოთხოვილი ინფორმაცია მოიცავდა სამშენებლო კომპანიათა სავარაუდო წილს საქართველოში შესწავლის ობიექტის მოხმარების ბაზარზე, სექტორში კონცენტრაციისა და ვერტიკალური ინტეგრაციის დონეს, სამშენებლო სექტორში კონკურენციის ფაქტორებს, შესწავლის ობიექტის მსგავსებას საქართველოში წარმოებულ პროდუქტთან, მის ჩანაცვლებალობას, შესწავლის ობიექტის წილს მშენებლობის დროს გაწეულ მთლიან ხარჯებში. სააგენტოს ადრესატებისგან არ მიუღია რაიმე ტიპის კომუნიკაცია, როგორც მითითებულ ვადაში, ასევე, ამ ვადის გასვლის შემდეგ.

1.6. დაინტერესებული მხარეების პოზიციები

სააგენტოში შემოვიდა კორექსპონდენცია რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის განვითარების სამინისტროდან¹⁴, რომელშიც დაფიქსირებულია რუსული მხარის პოზიცია მიმდინარე შესწავლასთან დაკავშირებით. რუსული მხარე არ ეთანხმება განმცხადებლის მიერ არასაბაზრო ეკონომიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით შემოთავაზებულ მეთოდოლოგიას და ყურადღებას

¹¹ სააგენტოში შემოსული წერილი N01/3992 (07.08.2024), წერილი N01/4260 (21.08.2024)

¹² სააგენტოს წერილი N02/3728 (08.10.2024)

¹³ სააგენტოს წერილი N02/3729 (08.10.2024)

¹⁴ სააგენტოში შემოსული წერილი N01/3389 (04.07.2024)

ამხვილებს მტკიცებულებების ნაკლებობაზე. კერძოდ, რუსული მხარე აღნიშნავს, რომ განცხადება ვერ აკმაყოფილებს *prima facie* დასაბუთების სტანდარტს რუსული ექსპორტიორი კომპანიების მხრიდან დემინგური იმპორტის არსებობასთან დაკავშირებით და სააგენტოს მოუწოდებს რუსული ექსპორტიორი კომპანიების ინფორმაციის გათვალისწინებისკენ. რუსული მხარე არ იზიარებს აზერბაიჯანის, როგორც მესამე ქვეყნის, მონაცემების გამოყენებას და შესაბამის მესამე ქვეყანად ყაზახეთს, როგორც უფრო დიდი საექსპორტო ბაზრის მქონე ქვეყანას, მიიჩნევს. რუსული მხარე, ასევე, აცხადებს, რომ სახეზე არ არის ქართული ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანი ან ზიანის საფრთხე და მიუთითებს სხვა გარემოებებზე, რაც შესაძლოა, გამორიცხავდეს მიზეზობრივ კავშირს.

სააგენტოში შესწავლის დაწყებასთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირა ექსპორტიორმა კომპანიამ - Abinsk Electric Steel Works-მა.¹⁵ მოპასუხე კომპანია არ ეთანხმება სააგენტოს გადაწყვეტილებას შესწავლის დაწყების შესახებ და წერილში აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ არ არის წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები მატერიალური ზიანის შესახებ, არ არის დაკმაყოფილებული De Minimis სტანდარტები, რადგან არ არის მსჯელობა, რომ იმპორტი იწვევს ზიანს, არ არის მიმოხილული სხვა პოტენციური ფაქტორები მიზეზობრივი კავშირის დადგენისას. დამატებით, კომპანია არ ეთანხმება რუსეთის ფედერაციის არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად მიჩნევასა და განმცხადებლის და სააგენტოს მიერ თურქეთის, როგორც მესამე შესაბამისი ქვეყნის, განსაზღვრას. წერილში ასევე აღნიშნულია სავალუტო კურსის ცვლილების გათვალისწინების მნიშვნელობა.

მიღებული კორექსონდენცია, ADA-ს 6.1.2 მუხლის შესაბამისად, გაეგზავნათ შესწავლის დანარჩენ მხარეებსა და შესწავლაში მონაწილე დაინტერესებულ პირებს.

რუსული მხარის პოზიციაზე საპასუხოდ სააგენტოში შემოვიდა ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებელთა ასოციაციის“ წერილი, რომლითაც წარმოდგენილია შპს „რუსთავის ფოლადის“ კომენტარები.¹⁶ ამ დოკუმენტის მიხედვით, განცხადების სრულყოფილების არგუმენტად, შპს "რუსთავის ფოლადი" მიუთითებს, რომ განცხადება უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც "გონივრულად ხელმისაწვდომია". კერძოდ, განმცხადებლის ვინაობასა და მისი შიდა წარმოების აღწერას, პროდუქტის სრულ აღწერას, ფასებს, იმპორტის დინამიკასა და მის გავლენას ადგილობრივ ბაზარზე.

შპს "რუსთავის ფოლადის" მოსაზრებით, რუსეთში ენერჯის, გაზისა და სარკინიგზო მომსახურების ფასების დადგენა იწვევს დაბალი წარმოების ღირებულებას, შესაბამისად, არის კონკრეტული საბაზრო სიტუაცია და სააგენტომ უნდა დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა საექსპორტო ფასის შედარება რუსეთის ბაზარზე არსებულ ადგილობრივ ფასთან.

შპს "რუსთავის ფოლადი" აღნიშნავს, რომ 2021-2023 წლებში რუსული პროდუქციის იმპორტი საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა. შპს "რუსთავის ფოლადი" ასევე ყურადღებას ამახვილებს ისეთ ინდიკატორებზე, როგორცაა გაყიდვების, წარმოების, ფინანსური მაჩვენებლების და ბაზრის წილის კლება, რაც ადასტურებს, რომ 2021-2023 წლებში ამ კომპანიამ სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით მნიშვნელოვანი ზიანი განიცადა. შპს "რუსთავის

¹⁵ სააგენტოში შემოსული წერილი N01/3865 (30.07.2024)

¹⁶ სააგენტოში შემოსული წერილი N01/4770 (19.09.2024)

ფოლადი" მიიჩნევს, რომ 2021-2023 წლებში რუსული პროდუქციის დემპინგური იმპორტი პირდაპირ უკავშირდება ადგილობრივი წარმოების გაუარესებულ მდგომარეობას.

შპს „რუსთავის ფოლადმა“ რუსული მხარის კომენტარებზე საპასუხო კომენტარების გარდა, სააგენტოში, ასევე, დამატებით წარადგინა პოზიცია დემპინგური ზღვრის დათვლის შესაძლო მეთოდოლოგიის შესახებ¹⁷. აღნიშნულ წერილზე საპასუხოდ სააგენტოში შემოსულია კორექსპონდენცია რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის განვითარების სამინისტროდან¹⁸.

ზემოაღნიშნული კორექსპონდენცია, ADA-ს 6.1.2 მუხლის შესაბამისად, გაეგზავნათ შესწავლის დანარჩენ მხარეებსა და შესწავლაში მონაწილე დაინტერესებულ პირებს.

შპს „ჯეოსთილის“ მიერ შესწავლის განმავლობაში სააგენტოში წარდგენილ იქნა საქართველოში არმატურის იმპორტის უახლესი ტენდენციები და წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მოთხოვნა.¹⁹

დამატებით, შესწავლის პროცესის გამჭვირვალობისა და დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სააგენტომ 2025 წლის მაისში დაინტერესებულ მხარეებს შესწავლის შუალედური ანგარიში გაუზიარა, სადაც წარმოდგენილი იყო ინფორმაცია შესწავლის იმ ეტაპისთვის მოძიებულ და დამუშავებულ ინფორმაციაზე²⁰. სააგენტოს მიერ მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებული შუალედური ანგარიშის გაზიარების მიუხედავად დაინტერესებული მხარეებიდან მხოლოდ Abinsk Electric Steel Works-მა წარმოადგინა მისი პოზიცია.²¹

კომპანიის წერილში წარმოდგენილია მისი პოზიცია მიმდინარე ანტიდემპინგურ შესწავლაზე, სააგენტოს შუალედურ ანგარიშში მოცემულ ინფორმაციასა და „რუსთავის ფოლადის“ კომენტარებზე. კომპანია მიუთითებს, რომ წარმოდგენილ მასალებში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანისა და მიზეზშედეგობრივი კავშირის მტკიცებულებები. ასევე, წერილში მხარე ამტკიცებს, რომ რუსეთში არმატურის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების თავისებურებები (ტრანსპორტირება და ელექტროენერჯია) არ ქმნის რუსული კომპანიებისათვის უპირატესობას. წერილში განხილულია საქართველოში სამშენებლო დარგის განვითარებისა და არმატურაზე გაზრდილი მოთხოვნის საფუძველზე იმპორტის ზრდის დინამიკა, ასევე, გლობალური ბაზრის ტენდენციების გავლენები ადგილობრივ ბაზარზე.

1.6.1. კითხვარები

წესის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სააგენტომ შესწავლისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით კითხვარებით მიმართა შესწავლაში მონაწილე ადგილობრივ ინდუსტრიას²², იმპორტიორებს²³ და ექსპორტიორ

¹⁷ სააგენტოში შემოსული წერილი N01/5974 (25.11.2024)

¹⁸ სააგენტოში შემოსული წერილი N01/1453 (04.03.2025)

¹⁹ სააგენტოში შემოსული წერილი N01/4437 (02.09.2024)

²⁰ სააგენტოს წერილი N02/2068, N02/2069 (01/05/2025), N02/2253, N02/2254, N02/2255, N02/2257, N02/2256 (19/05/2025), N02/2266 (20/05/2025)

²¹ სააგენტოში შემოსული წერილი N01/4991 (22.08.2025)

²² სააგენტოს წერილი N02/2324, N02/2325, N02/2326, N02/2327 (21.06.2024)

²³ სააგენტოს წერილი N02/2384, N02/2385, N02/2386, N02/2387, N02/2388, N02/2389, N02/2390, N02/2391 (26.06.2024)

კომპანიებს²⁴ და განუსაზღვრა ინფორმაციის მოწოდების კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა. ადგილობრივი ინდუსტრიის მიმართ აღნიშნული კითხვარებით, მ.შ. და არა მხოლოდ, გამოთხოვილ იქნა წლიური ანგარიშები და ინფორმაცია ინდუსტრიის ზიანის ფაქტორებზე, იმპორტიორებისგან - შესწავლის ობიექტის შესყიდვების მოცულობაზე, ღირებულებაზე და საშუალო ფასებზე, შესწავლის ობიექტის მთლიან გაყიდვებზე, სადისტრიბუციო სისტემასა და ფასების დაწესებაზე, დასაქმებისა და მოგების მაჩვენებლებზე. ექსპორტიორი კომპანიებისთვის გაგზავნილი კითხვარი ეხებოდა წარმოების ხარჯებსა და მაჩვენებლებს, მსგავსი პროდუქტის ადგილობრივ გაყიდვებს, საექსპორტო გაყიდვებს, მოგების მაჩვენებლებსა და ფასების კორექტირებას.

აღნიშნულ კითხვარებზე განსაზღვრულ დროში პასუხები მიღებულ იქნა ადგილობრივი ინდუსტრიისგან - შპს „ჯეოსთილისა“ და შპს „რუსთავის ფოლადისგან“.²⁵ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნა სავარაუდო დემპინგისა და ზიანის დადგენის პროცესში.

იმპორტიორი კომპანიებიდან, წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ინფორმაციის წარმოსადგენად ვადა გაუხანგრძლივდა შპს „ევრაზ სტილს“ (ს/ნ 402077729)²⁶, შპს „ბროლს“ (ს/ნ 406029792)²⁷ და შპს „ტავს“ (ს/ნ 406294781)²⁸. წარმოდგენილ ინფორმაციასთან მიმართებით დამაზუსტებელი შეკითხვები გაეგზავნა შპს „ბროლს“ (ს/ნ 406029792)²⁹ და შპს „მ.ჯ ჯგუფს“ (ს/ნ 406298466)³⁰. საბოლოოდ, სააგენტომ ინფორმაციის გამოთხოვის ეტაპზე კითხვარებზე პასუხები მიიღო ხუთი იმპორტიორი კომპანიისგან³¹.

სააგენტოს, შეხსენების მიუხედავად, არც ერთი ექსპორტიორი კომპანიისგან არ მიუღია მოთხოვნილი ინფორმაცია.

²⁴ სააგენტოს წერილი N02/2464, N02/2465, N02/2466, N02/2467, N02/2468, N02/2469, N02/2470, N02/2471, N02/2472 (03.07.2024)

²⁵ სააგენტოში შემოსული წერილი N01/3872 (31.07.2024), N01/3945 (05.08.2024), N01/4028 (08.08.2024).

²⁶ სააგენტოს წერილი N02/2951 (07.08.2024)

²⁷ სააგენტოს წერილი N02/2434 (02.07.2024)

²⁸ სააგენტოს წერილი N02/2952 (07.08.2024)

²⁹ სააგენტოს წერილი N02/2909 (06.08.2024)

³⁰ სააგენტოს წერილი N02/2993 (12.08.2024)

³¹ სააგენტოში შემოსული წერილი N01/4260 (21.08.2024), N01/4366 (29.08.2024), N01/3892 (31.07.2024), N01/4246 (20.08.2024), N01/3999 (07.08.2024), N01/4343 (27.08.2024), N01/3953 (06.08.2024), N01/4305 (23.08.2024), N01/3992 (07.08.2024). სააგენტო აღნიშნავს, რომ მიუხედავად გამოსატული თანამშრომლობის მზაობისა, კითხვარებზე პასუხები არ იქნა მოწოდებული შპს „ფოლადის სახლისა“ (ს/ნ 406258259) და შპს „ტავისგან“ (ს/ნ 406294781).

2. შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი

2.1. შესწავლის ობიექტი

ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებელთა ასოციაცია“ (ს/ნ 416352146) წარმოდგენილ განცხადებაში მიუთითებს, რომ სავარაუდო დემპინგური პროდუქტი არის დაბალნახშირდოვანი ფოლადისგან წარმოებული არმატურა, კლასი B500B, B500C და გლინულა, რომლებიც კლასიფიცირდება საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის („სეს ესნ“) კოდებით:

72142000000 - ამონაღებების, შვერილების, ნადარებისა ან გაგლინვის პროცესში მიღებული სხვა დეფორმაციების მქონე ან გლინვის შემდეგ გაღუნული წნელები რკინის ან არალეგირებული ფოლადისაგან;

72149910000 - ბეტონის დაარმატურებისათვის გამოსაყენებელი, 0,25 მას.%-ზე ნაკლები ნახშირბადის შემცველობის მქონე წნელები რკინის ან არალეგირებული ფოლადისაგან;

72139110000 - ბეტონის დაარმატურებისათვის გამოსაყენებელი 14 მმ-ზე ნაკლები მრგვალი კვეთის დიამეტრის მქონე წნელები ცხლად ნაგლინი თავისუფლად დახვეულ ბუხტებად რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან.

აღნიშნული პროდუქტი გამოიყენება სამშენებლო სფეროში, ხასიათდება არაელასტიურობით, ახასიათებს მცირედი ციკლურობა - თბილ პერიოდში იყიდება შედარებით მეტი არმატურა. გაყიდვის არხებს წარმოადგენს როგორც პირდაპირი არხები, ასევე, ტრეიდერები და სავაჭრო კომპანიები. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ პროდუქტის ბაზარზე შესვლამდე მოითხოვება სპეციალური ნებართვა.

სააგენტოს მიერ ადგილობრივი ინდუსტრიის განცხადებაში წარმოდგენილი პროდუქტის მახასიათებლებისა და სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისი სუბპოზიციების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი სამი კოდის გარდა, შესწავლის ობიექტის იმპორტი ქვეყანაში დამატებით სხვა ქვესუბპოზიციებით ხორციელდება. შესაბამისი კოდების განსაზღვრისათვის სააგენტომ შეაფასა საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის პოზიციების დასახელებების, შემოსავლების სამსახურიდან მოძიებული იმპორტის მონაცემებში საქონლის დასახელებებისა და იმპორტიორი კომპანიების მონაცემებში წარმოდგენილი საქონლის სახეობების შესაბამისობა განცხადებაში წარმოდგენილი შესწავლის ობიექტის აღწერასთან. წარმოდგენილი შეფასების საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ დაბალნახშირბადოვანი ფოლადისაგან წარმოებული არმატურა და გლინულა, გარდა ჩამოთვლილი სამი კოდისა, ასევე არის იმპორტირებული შემდეგი სასაქონლო ნომენკლატურის კოდებით:

72139141000 - მრგვალი კვეთის ცხლად ნაგლინი წნელები თავისუფლად დახვეულ ბუხტებად რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან, 14 მმ-ზე ნაკლები დიამეტრით, 0,06 მას.% ან ნაკლები ნახშირბადის შემცველობით.

72139149000 - მრგვალი კვეთის ცხლად ნაგლინი წნელები თავისუფლად დახვეულ ბუხტებად რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან, 14 მმ-ზე ნაკლები დიამეტრით, 0,06 მას.%-ზე მეტი, მაგრამ 0,25 მას.%-ზე ნაკლები ნახშირბადის შემცველობით.

72149939000 - წნელები რკინის ან არალეგირებული ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე, ჭედვის, ცხლად გლინვის, ცხლად ადიღვისა ან ცხელი ექსტრუდირების გარდა, გლინვის შემდეგ გაღუნული წნელების ჩათვლით, ნახშირბადის შემცველობით 0,25 მას.%-ზე ნაკლები, 80 მმ-ზე ნაკლები.

72149950000 - დანარჩენი წნელები რკინის ან არალეგირებული ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე, ჭედვის, ცხლად გლინვის, ცხლად ადიღვისა ან ცხელი ექსტრუდირების გარდა, გლინვის შემდეგ გაღუნული წნელების ჩათვლით, 0,25 მას.%-ზე ნაკლები ნახშირბადის შემცველობით.

რაც შეეხება პროდუქტის სტანდარტებს, საქართველოში ბაზარზე არმატურის დაშვების ტექნიკური მოთხოვნები განისაზღვრება „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №476 დადგენილებით³².

ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, სამშენებლო პროდუქტებს, რომლებიც ბაზარზე განთავსდება, უნდა გააჩნდეს შესაბამისი დეკლარაცია, რომელშიც აღწერილია, თუ რა მახასიათებლები აქვს პროდუქტს. სამშენებლო პროდუქტები, რომელიც განკუთვნილია საქართველოს ბაზარზე განთავსებისათვის, წარმოებული უნდა იყოს ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტების შესაბამისად და აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს. რეგლამენტი ასევე განსაზღვრავს პროცედურებს იმისათვის, თუ როგორ უნდა გაიაროს სამშენებლო პროდუქტებმა შესაბამისობის შეფასების პროცედურები აკრედიტებულ ლაბორატორიებში.

წარმოდგენილი რეგლამენტის მიხედვით, ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება იმ არმატურაზე, რომლის დანიშნულებაც მხოლოდ ბეტონის არმირებისთვის გამოყენებაა. არმატურის (სეს ესნ სასაქონლო პოზიცია 7214) საქართველოში იმპორტირებისა და ბაზარზე რეალიზაციისთვის აუცილებელია შემოწმების სერტიფიკატისა და შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატის წარმოდგენა.

შემოწმების სერტიფიკატი გაიცემა თავად მწარმოებლის მიერ და მოიცავს მითითებას სტანდარტზე, რომლის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს პროდუქტი, ასევე მითითებას ტექნიკურ კატეგორიებზე, ქიმიურ შემადგენლობაზე, მექანიკურ და ფიზიკურ მახასიათებლებზე.

შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი გაიცემა შესაბამისი აკრედიტაციის მქონე მესამე პირის მიერ პროდუქტისა და საწარმო პროცესის შემოწმების საფუძველზე და საწარმოს ანიჭებს შესაბამისი სტანდარტით არმატურის წარმოების უფლებას (ადასტურებს პროდუქტის და საწარმოო პროცესის შესაბამისობას). არმატურას, რომელიც გამოიყენება ბეტონის არმირებისათვის და რომელიც დაიშვება საქართველოს ბაზარზე განსათავსებლად, აქვს შემდეგი ტექნიკური გრადაციები, კატეგორიები: B400B, B500A, B500B, B500C, B550B.

რაც შეეხება გლინულას, საქართველოში იმპორტირებული გლინულა არ ექვემდებარება სამშენებლო მასალების ბაზარზე განთავსების რეგლამენტს. იმპორტიორი კომპანიების მიერ

³² საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილება „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ და 2018 წლის 14 ნოემბრის N541 დადგენილებით შეტანილი ცვლილება

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საქართველოში შემოტანილი გლინულა საერთაშორისო სტანდარტს ASTM A510/A510M-20 შეესაბამება³³.

ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ სააგენტოსთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს ბაზარზე ძირითადად B500B და B500C კატეგორიის არმატურა არის იმპორტირებული. აღნიშნული დასტურდება, როგორც იმპორტიორი კომპანიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე, შემოსავლების სამსახურიდან მოძიებული მონაცემებით.

შესაბამისად, შესწავლის ობიექტად განისაზღვრა B500B და B500C გრადაციების არმატურა, რომლის ქიმიური შემადგენლობა და მექანიკური მახასიათებლები განსაზღვრულია ცხრილი N4 და ცხრილი N5-ში.

ქიმიური შემადგენლობის შემთხვევაში არმატურის ყველა ტექნიკური კატეგორიისათვის დადგენილია ცხრილში მოცემული შედუღებადობის სპეციფიკაციები, რაც მოიცავს ნახშირბადის ეკვივალენტისა და გარკვეული ქიმიური ელემენტების შემცველობას. აღნიშნული ელემენტების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს წარმოდგენილი ზედა ზღვრების მაჩვენებლებს.

ცხრილი N4. ქიმიური შემადგენლობა - ქიმიური ელემენტების შემცველობა და ნახშირბადის ეკვივალენტის ზედა ზღვრის მნიშვნელობა, მასის %

გამოცდის ობიექტი	C	S	P	N	CU	Ceq
შენადნობის ანალიზი	0,220	0,050	0,050	0,012	0,800	0,500
პროდუქტის ანალიზი	0,240	0,055	0,055	0,014	0,850	0,520.

წყარო: საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილება

ცხრილი N5. მექანიკური თვისებები - ჭიმვადობის თვისებების მახასიათებლის მნიშვნელობები ტექნიკური კლასის მიხედვით

ტექნიკური კლასი	დენადობა კრიტიკული ზღვარი Re (N/mm2)	სიმტკიცისა და დენადობის კრიტიკული ზღვრების თანაფარდობა Rm/Re (-)	ფაქტობრივი დენადობისა და ნომინალური დენადობის კრიტიკული ზღვრის თანაფარდობა Re, act./Re, nom.(-)	ფარდობითი გაფართოება მაქსიმალურ დატვირთვაზე Agt (%)
B400B	400	≥ 1.08*	≤ 1.30	≥ 5.0**
B500A	500	≥ 1.05*	≤ 1.30	≥ 2.5**
B500B	500	≥ 1.08	≤ 1.30	≥ 5.0
B500C	500	≥ 1.15 < 1.35	≤ 1.30	≥ 7.5
B550B	550	≥ 1.08	≤ 1.30	≥ 5.0.

წყარო: საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილება

³³ ASTM International, https://www.astm.org/a0510_a0510m-18.html

ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, საქართველოს ბაზარზე განთავსებული არმატურა სსტ ენ 1992 სერიის სტანდარტისა და სსტ ენ 10080:2005 სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

2.2. მსგავსი პროდუქტი

შესწავლის ობიექტის მსგავსი პროდუქტის იდენტიფიცირების მიზნით სააგენტომ შეისწავლა, როგორც საქართველოში წარმოებული, ასევე რუსეთსა და ირანში ადგილობრივი ბაზრისათვის წარმოებული არმატურის სტანდარტები და მათი შესაბამისობა შესწავლის ობიექტის ტექნიკურ, ქიმიურ, მექანიკურ, თუ ფიზიკურ მახასიათებლებთან.

2.2.1. მსგავსი პროდუქტი - ადგილობრივი წარმოება

სააგენტოში წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობის განხილვის ეტაპზე და შესწავლის პროცესში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და დაზუსტების მიზნით, სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის³⁴ პასუხად, განმცხადებლის მხრიდან წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტაცია, მ.შ. შესწავლის ობიექტის ქიმიური შემადგენლობა, ტექნიკური მახასიათებლები, წარმოების სქემა და სხვა:

ცხრილი N6. ფოლადის და მზა პროდუქციის ქიმიური შემადგენლობა

	C	Mn	Si	P	S	N	AS	CU	Ceq*
EN 10080	0.22 (0.24)	-	-	0.050 (0.055)	0.050 (0.055)	0.012 (0.014)	-	0.80 (0.85)	0.50 (0.55)

წყარო: მწარმოებელთა ასოციაციის განცხადება

ცხრილი N7. მექანიკური თვისებები

ფოლადის მარკა	დენადობა ზღვარი, min, მპა	სიმტკიცის ზღვარი, min, მპა	სიმტკიცის ზღვარი/დენადობის ზღვარი	ფარდობითი წაგრძელება მაქს. დატვირთვაზე Agt, min, %	გამოცდა ღუნვაზე	
					ღუნვის კუთხე, min, გრად.	სამართულის დიამეტრი
B500B	500		≥ 1.08	≥ 5.0	180 გრად.	d=8:16მმ-3d
B500C	500		≥ 1.15 < 1.35	≥ 7.5		d=8:32მმ-6d

წყარო: მწარმოებელთა ასოციაციის განცხადება

2.2.2. მსგავსი პროდუქტი - რუსეთის ფედერაციის ბაზარი

რუსეთის ადგილობრივი ბაზრისათვის განკუთვნილი არმატურისა და გლინულის სტანდარტებთან დაკავშირებით, შესწავლის ორგანომ რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის სამინისტროსგან მიიღო წერილი (წერილის რეგ. N3389, 4 ივლისი, 2024 წელი), სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილულია, რომ რუსეთის ფედერაციაში რკინაბეტონის კონსტრუქციებისათვის ფოლადის პროდუქციის წარმოება რეგულირდება [გოსტ 34028-2016](#) („არმატურული ნაგლინი რკინაბეტონის კონსტრუქციებისათვის. ტექნიკური პირობები“) და

³⁴ სააგენტოს წერილი N02/1657 (24.04.2024)

გოსტ რ 52544-2006 („A500C და B500C კლასის პერიოდული პროფილის შედუღებადი არმატურული ნაგლინი რკინაბეტონის კონსტრუქციების არმირებისათვის. ტექნიკური პირობები“) სტანდარტების მიხედვით.

იმ დროს, როდესაც რუსეთის საწარმოებს შეუძლიათ, აწარმოონ სხვადასხვა სტანდარტის შესაბამისი სხვადასხვა სახეობის არმატურული ნაწარმი და გაიტანონ შიდა თუ საგარეო ბაზარზე, პროდუქციის მიმართ მოთხოვნა მესამე ქვეყნების მხრიდან განსაზღვრავს, თუ რა პროდუქცია და რა ფასად გაიყიდება ამ ბაზრებზე.

აღსანიშნავია, რომ გოსტ 34028-2016 არის სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი, იგი მიღებულია სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფოთაშორისო საბჭოს მიერ (2016 წლის 8 დეკემბრის ოქმი N50). გოსტ 34028-2016 შემუშავებულია გოსტ რ 52544-2006 სტანდარტის საფუძველზე, კერძოდ, ცხლადნაგლინი და თერმომექანიკურად გამყარებული არმატურული ნაგლინის ნაწილში.

გოსტ 34028-2016 სტანდარტში არმატურული ნაგლინი კლასიფიცირდება, შედეგი დანიშნულებით:

- ასაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციის არმირებისათვის და მონოლითური რკინაბეტონის აღსამართად დენადობის ზღვრულ დონეზე დამოკიდებულებით (ნ/მ^2) - კლასები: A240, A400, A500, A600;
- წინასწარდაბული რკინაბეტონის კონსტრუქციების არმირებისათვის დენადობის ზღვრულ დონეზე დამოკიდებულებით (ნ/მ^2) - კლასები: An600, A800, A1000.

გოსტ რ 52544-2006 სტანდარტის შესაბამისად, აღნიშვნა იშიფრება შემდეგნაირად:

- A500C არის ცხლადნაგლინი შემდგომი დამუშავების გარეშე ან თერმომექანიკურად გამყარებული გლინვის ნაკადში. A500C კლასის არმატურის ნომინალური დიამეტრი 6-40მმ შეადგენს;
- B500C მექანიკურად გამყარებული ცივ მდგომარეობაში (ცივად დეფორმირებული). B500C კლასის არმატურის ნომინალური დიამეტრი 4-12მმ შეადგენს.

იმის გათვალისწინებით, რომ შესწავლის ობიექტს ცხლადნაგლინი არმატურა წარმოადგენს, შესწავლის ობიექტის მსგავს პროდუქტად რუსეთის ადგილობრივი ბაზრისათვის წარმოებული A500C კლასის არმატურა განისაზღვრა. წარმოდგენილი კლასის არმატურა, ასევე შეესაბამება შესწავლის ობიექტის ზღვრული დენადობის მაჩვენებელს, რომელიც 500ნ/მ^2 -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. დენადობა არის მასალის ფიზიკური თვისება, რაც მშენებლობაში გამოსაყენებელი დეროებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია და განსაზღვრავს, თუ რა ძალის დატვირთვას უძლებს საქონელი.

გოსტ 34028-2016 სტანდარტის მიხედვით, A500C კლასის არმატურაზე გავრცელებული ქიმიური და მექანიკური მოთხოვნები წარმოდგენილია ცხრილი N8 და ცხრილი N9-ში.

ცხრილი N8. A500 კლასის არმატურის ქიმიური შემადგენლობა, მასის %

ტექნიკური კლასი	C	Si	Mn	P	S	N	Cu	As
A500	0.22 (0.24)	0.90 (0.95)	1.60 (1.70)	0.050 (0.055)	0.050 (0.055)	0.012 (0.013)	0.35 (0.35)	-

წყარო : [გოსტ 34028-2016](#)

ცხრილი N9. A500 კლასის არმატურის მექანიკური თვისებები, პლასტიკურობის მომატებული კატეგორიის მიხედვით

ტექნიკური კლასი	დენადობის ზღვარი $\sigma_T(\sigma_{0.2}) \cdot H/MM^2$. (C _{min})	სიმტკიცის ზღვარი σ_B . H/MM ² . (C _{min})	სიმტკიცის ზღვარი /დენადობის ზღვარი $\sigma_B/\sigma_T (\sigma_{0.2})$	ფარდობითი გააფრთოება. %. (C _{min})	
				δ_5	δ_{max}
A500 (H)	500	600	$\geq 1.08(C_{min})$	16	5
A500 (E)	500	600	1.15 — 1.35 (C _{min} -C _{max})	16	7

* მომატებული - H; მაღალი (სეისმურად მდგრადი ნაგლინისთვის) – E;

წყარო: [გოსტ 34028-2016](#)

2.2.3. მსგავსი პროდუქტი - ირანის ისლამური რესპუბლიკის ბაზარი

ირანის ბაზრისათვის განკუთვნილი არმატურის მოთხოვნები ირანის სტანდარტიზაციისა და ინდუსტრიული კვლევების ინსტიტუტის (INSO) სტანდარტით განისაზღვრება. INSO N3132 სტანდარტის „ცხელი ნაგლინი ფოლადის არმატურა ბეტონის გამაგრებისთვის - სპეციფიკაცია და შემოწმების მეთოდები“ მიხედვით. წარმოდგენილი სტანდარტი ემყარება საერთაშორისო სტანდარტის ISO 100080-ისა და ASTM A615 სპეციფიკაციებს. INSO N3132 მიხედვით განსაზღვრულია 4 ტიპის არმატურა - A1. A2. A3. A4. ხაზგასასმელია. რომ A1 სახეობის არმატურას გლუვი ზედაპირი აქვს. შესაბამისად შესწავლის ობიექტის B500B და B500C კლასის არმატურის მსგავს პროდუქტად ვერ ჩაითვლება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში N10 და ცხრილში N11-ში წარმოდგენილია ირანული სტანდარტის შესაბამისი არმატურის ქიმიური შემადგენლობა და მექანიკური მახასიათებლები.

ცხრილი N10. INSO N3132 მიხედვით წარმოებული არმატურის ქიმიური შემადგენლობა

სახეობა	ტექნიკური კლასი	Carbon	Sulfur	Phosphorus
A2	340	0.32	0.045	0.045
A3	400	0.37	0.045	0.045
A4	500	0.4	0.045	0.045

წყარო: INSO 3132, 2013, Hot – rolled steel bars for reinforcement of concrete – Specification and test methods

ცხრილი N11. INSO N3132 მიხედვით წარმოებული არმატური მექანიკური თვისებები

სახეობა	ტექნიკური კლასი	დენადობა კრიტიკული ზღვარი Re (N/mm ²)	სიმტკიცისა და დენადობის კრიტიკული ზღვრების თანაფარდობა Rm/Re (-)	ფარდობითი გაფართოება მაქსიმალურ დატვირთვაზე Agt (%)
A2	340	340	≥ 1.25	≥ 15
A3	400	400	≥ 1.25	≥ 12
A4	500	500	≥ 1.25	≥ 8

წყარო: INSO 3132, 2013, Hot – rolled steel bars for reinforcement of concrete – Specification and test methods

იმის გათვალისწინებით, რომ შესწავლის ობიექტს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი მახასიათებელი ზღვრული დენადობის მაჩვენებელია, შესწავლის ობიექტის მსგავს პროდუქტად ირანის ადგილობრივი ბაზრისათვის წარმოებული 400 და 500 კლასის არმატურა განისაზღვრა.

2.2.4. შესწავლის ობიექტისა და მსგავსი პროდუქტის შედარება

საქართველოში, რუსეთის ფედერაციასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ბეტონის დაარმატურებისათვის გამოსაყენებელი არმატურის ქიმიური და მექანიკური სტანდარტების შედარება წარმოდგენილია მე-12 და მე-13 ცხრილში. ზემოთხსენებული სტანდარტების მიმოხილვის საფუძველზე იკვეთება, რომ:

- საქართველოში იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების პროდუქცია საქართველოს მთავრობის №476 დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და შესაბამისად მსგავსია არმატურის შესაბამისი გრადაციების მიხედვით.
- რუსეთის ადგილობრივი ბაზრისათვის განკუთვნილი არმატურის სტანდარტის მიხედვით, რომელიც ასევე ვრცელდება რუსეთიდან აზერბაიჯანში ექსპორტირებულ საქონელზე, შესწავლის ობიექტის ქიმიური შემადგენლობისა და მექანიკური თვისებების მსგავს პროდუქტს A500C კლასის არმატურა წარმოადგენს. გოსტ 34028-2016 სტანდარტისა და მთავრობის №476 დადგენილების სპეციფიკაციების შედარების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი კლასის არმატურა შეესაბამება B500B/B500C კლასის არმატურის ქიმიურ შემადგენლობას. რაც შეეხება მექანიკურ თვისებებს გოსტ-ის სტანდარტით განსაზღვრული A500 კლასის მომატებული ჭიმვადობის კატეგორიის არმატურა B500B კლასის არმატურის, ხოლო A500 კლასის მაღალი ჭიმვადობის კატეგორიის არმატურა B500C კლასის არმატურის მსგავსია.
- ირანის ბაზარზე არსებული სტანდარტით ამოზნექილი ან ჩაზნექილი ზედაპირის პროფილირების მქონე სამი კატეგორიის არმატურა არის წარმოდგენილი. აღნიშნული სამი კატეგორიიდან შესწავლის ობიექტის კატეგორიის მსგავს პროდუქტს A3 და A4 კატეგორიის (ტექნიკური კლასი - 400/500) არმატურა წარმოადგენს, რომლის ქიმიური და მექანიკური მახასიათებლები ახლოს არის საქართველოს მთავრობის №476 დადგენილებით განსაზღვრულ B500B/ B500C კლასის არმატურასთან.

ცხრილი N12. ქიმიური შემადგენლობა სტანდარტების შედარება

ტექნიკური კლასი	C	S	P	N	CU	Ceq
B500B/B500C (EN)	0.22 (0.24)	0.050 (0.055)	0.050 (0.055)	0.012 (0.014)	0.800 (0.850)	0.500 (0.520)
A500C (GOST)	0.22 (0.24)	0.050 (0.055)	0.050 (0.055)	0.012 (0.013)	0.35 (0.35)	-
A3/ 400 (INSO)	0.37	0.045	0.045			
A4/ 500 (INSO)	0.40	0.045	0.045	-	-	-

ცხრილი N13. მექანიკური თვისებები სტანდარტების შედარება

ტექნიკური კლასი	დენადობა კრიტიკული ზღვარი Re (N/mm2)	სიმტკიცისა და დენადობის კრიტიკული ზღვრების თანაფარდობა Rm/Re (-)	ფაქტობრივი დენადობისა და ნომინალური დენადობის კრიტიკული ზღვრის თანაფარდობა Re, act./Re, nom.(-)	ფარდობითი გაფართოება მაქსიმალურ დატვირთვაზე Agt (%)
B500B (EN)	500	≥ 1.08	≤ 1.30	≥ 5.0
B500C (EN)	500	≥ 1.15 < 1.35	≤ 1.30	≥ 7.5
A500 (H) (GOST)	500	≥ 1.08	-	≥ 5
A500 (E) (GOST)	500	≥ 1.15 < 1.35	-	≥ 7
A3/400 (INSO)	400	≥ 1.25		≥ 12
A4/500 (INSO)	500	≥ 1.25		≥ 8

დამატებით, დაბალნახშირბადოვანი ფოლადისაგან წარმოებული არმატურისა და გლინულის ფიზიკური მახასიათებლების, სტანდარტებისა და პროდუქტის მოხმარების მიმართულებით არსებული განსხვავებების შედეგად, შესწავლის ობიექტის სავარაუდო დემპინგური ზღვრის, იმპორტის მოცულობისა და ფასებზე გავლენის კუთხით არმატურისა და გლინული ინდივიდუალური შეფასების საჭიროება გამოიკვეთა. შესაბამისად, შესწავლის ორგანოს მიერ წარმოდგენილი ორი პროდუქტის სახეობა ცალ-ცალკე იქნება შეფასებული.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში საერთაშორისო სტანდარტის ASTM A510/A510M-20 შესაბამისი გლინულა არის იმპორტირებული. რუსეთის ბაზარზე გლინულის სტანდარტები რეგულირდება გოსტ 30136-95 სტანდარტით. რუსული სტანდარტი განსაზღვრავს ტექნიკურ მოთხოვნებს დაბალი და საშუალო ნახშირბადოვანი ფოლადის გლინულაზე. ორივე სტანდარტის — ASTM A510/A510M-20 და GOST 30136-95 — შესაბამისად წარმოებული გლინულა მსგავსია ფიზიკური და ქიმიური თვისებებით, ასევე მოხმარების მიზნებით, შესაბამისად, ანტიდემპინგური შესავალის მიზნებისათვის მსგავს პროდუქტად არის მიჩნეული.

3. დემინგის დადგენა

3.1. ნორმალური ღირებულება

განცხადებაში შესწავლის ობიექტის ექსპორტიორი ქვეყნებისა და კომპანიების აღწერისას განმცხადებელი მიუთითებს, რომ მსგავსი პროდუქტის ექსპორტიორ ქვეყნებს საქართველოში წარმოადგენენ რუსეთი, ირანი, აზერბაიჯანი და თურქეთი. განმცხადებელი, ექსპორტიორი კომპანიების მითითების გარეშე, ასახელებს, რომ სავარაუდო დემინგური იმპორტი ხორცილდება რუსეთიდან და ირანიდან. განმცხადებელი წარმოადგენს შესწავლის ობიექტის იმპორტიორების მონაცემებს საქონლის კოდების გათვალისწინებით.

სავარაუდო დემინგის დასაბუთების ნაწილში, განმცხადებელი უთითებს, რომ რუსეთიდან და ირანიდან საქართველოში ყოველთვიურად დიდი ოდენობის იმპორტირებული არმატურა დემინგურ ფასად შემოდის, რამდენადაც ამ ქვეყნებიდან საექსპორტო ბაზარზე პროდუქტი ნორმალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად იყიდება. ირანიდან ექსპორტირებული არმატურის ნორმალური ღირებულების გამოსათვლელად, განმცხადებელი ეყრდნობა ვებგვერდზე www.irsteel.com მოცემული არმატურის ფასების მონაცემებს, ითვალისწინებს ტრანსპორტირების ღირებულებას და წარმოადგენს სხვაობას ირანის არმატურის ბაზარზე გასაყიდ ფასსა და საქართველოში შემოტანის ფასს შორის.

რუსეთთან მიმართებით განმცხადებელი აღნიშნავს, რომ სავარაუდო დემინგური პროდუქტი ექსპორტირებულია არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან (“NME”), ხოლო რუსეთის ბაზარზე არსებული არმატურის ფასების მოპოვება სირთულესთან არის დაკავშირებული, რის გამოც განმცხადებელი ნორმალური ღირებულების დასადგენად ეყრდნობა ანალოგიური ქვეყნის - თურქეთის - ფასებს შემდეგი მიზეზების გამო: თურქეთში ფასები მართულია საბაზრო ძალების მიერ, არსებობს მწარმოებელთა დიდი კონკურენცია, პირველი ქვეყანაა ევროპაში ფოლადის ექსპორტი, აქვს გაყიდვების დიდი მოცულობა შიდა ბაზარზე, რუსეთთან მიმართებით მსგავსია პროდუქტის წარმოების პროცესი, ნედლეულის და კომპონენტების ხელმისაწვდომობა და წარმოების ტექნოლოგია. ამგვარად, განმცხადებელი ეყრდნობა ვებგვერდზე steelorbis.com მოცემულ ფოლადის ბაზრის ანალიზს და 2023 წლისთვის 635 აშშ დოლარს უთითებს, როგორც საშუალო EXW ფასს³⁵ თურქეთის ბაზარზე დღგ-ს გარეშე.

3.1.1. რუსეთის ფედერაცია

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად აღიარების საკითხი

ადგილობრივი ინდუსტრიის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად არის მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებაში არ არის წარმოდგენილი დასაბუთება რუსეთის არასაბაზრო ეკონომიკის ქვეყნად მიჩნევასთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ ადგილობრივი ინდუსტრიისგან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად³⁶, აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძვლად აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის მიერ ანტიდემინგურ

³⁵ EXW (ex works) ქარხნიდან -ამ ტერმინით განისაზღვრება მყიდველის მაქსიმალური, ხოლო გამყიდველის მინიმალური პასუხისმგებლობა. მართალია გამყიდველი ვალდებულია დაენმაროს მყიდველს საექსპორტო დოკუმენტების მომზადებაში, თუმცა მყიდველს უწევს ყველა ხარჯისა და რისკის გაწევა საქონლის დანიშნულების პუნქტამდე ტრანსპორტირებისთვის.

³⁶ სააგენტოს წერილი N02/1657 (24.04.2024)

შესწავლაში რუსეთის საბაზრო ეკონომიკის სტატუსის გაუქმების გადაწყვეტილება³⁷ დასახელდა.

აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია შემდეგი გარემოებები: რუსეთის ხელისუფლების ფართო ჩართულობა სავალუტო ბაზრებზე, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუბლის გაცვლით კურსზე; რუსეთში არარუსული ფირმების ინვესტიციებზე შეზღუდვების გაზრდა; რუსეთის ხელისუფლების მზარდი ჩართულობა ეკონომიკაში, მათ შორის სახელმწიფო ინვესტიციების მქონე საწარმოების გაზრდილი გამოყენება, განსაკუთრებით ენერჯეტიკულ სექტორში, უკრაინაში მისი ომის მხარდასაჭერად; შიდა ფასებზე კონტროლის გაზრდა და საბანკო სექტორში რუსეთის ხელისუფლების გავლენის ზრდა; კორუფციის დონის ზრდა და კანონის უხედავობისა და გამომხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

რუსეთის არასაბაზრო ეკონომიკის ქვეყნად მიჩნევისა და ბაზარზე განსაკუთრებული მდგომარეობის საკითხთან დაკავშირებით სააგენტომ მოსაზრებები, როგორც რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის განვითარების სამინისტროსა და ინდუსტრიისა და ვაჭრობის სამინისტროსგან („რუსული მხარე“)³⁸, ასევე, ადგილობრივი ინდუსტრიისგან³⁹ მიიღო. რუსეთის არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად მიჩნევის საკითხთან დაკავშირებით რუსული მხარე მიუთითებს, რომ აშშ-ს კომერციის დეპარტამენტი, რუსეთის საბაზრო სტატუსის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებამდე 6 თვით ადრე, 2021 წლის ოქტომბერში რუსეთს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად აღიარებდა. რუსული მხარე მიიჩნევს, რომ აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის გადაწყვეტილება „აბსოლუტურად პოლიტიკურია“ და მას არ ჰქონია საკმარისი მტკიცებულებები ამ სტატუსის გასაუქმებლად.

რუსული მხარე, ასევე, მიუთითებს, რომ განმცხადებლის მიერ არასაბაზრო ეკონომიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით შემოთავაზებული მეთოდოლოგია და სუროგატი ფასების მხედველობაში მიღება წინააღმდეგობაში მოდის როგორც GATT-ის VI მუხლთან, ასევე, ADA-ს მე-2 მუხლთან. თავის მხრივ, რუსული მხარე სააგენტოს ყურადღებას ამახვილებს Ukraine - Ammonium Nitrate (Russia) (DS493) და EU - Cost Adjustment Methodologies II (Russia) (DS494) WTO-ს დავების გადაწყვეტის ორგანოს (“DSB”) გადაწყვეტილებებზე.

შპს „რუსთავის ფოლადი“ რუსული მხარის კომენტარებზე წარმოდგენილ შენიშვნებში დემპინგური იმპორტის არსებობის დასაბუთების ნაწილში ნორმალური ღირებულებისა და არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსის საკითხებს ეხება და თავის პოზიციას რამდენიმე არგუმენტით ასაბუთებს. პირველ რიგში, იგი მიუთითებს ADA-ს მე-2 მუხლის მე-2 პარაგრაფზე, რომლიც მიხედვითაც „თუ ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო [...] მსგავსი პროდუქტის გაყიდვები სწორი შედარების საშუალებას არ იძლევა, დემპინგური ზღვარი უნდა დადგინდეს მსგავსი პროდუქტის შესადარებელ ფასზე, როდესაც პროდუქტი ექსპორტირებულია მესამე ქვეყანაში“. შპს „რუსთავის ფოლადი“ განმარტავს, რომ ეს დებულება მოიცავს ორსაფეხუროვან ტესტს: შესწავლის ორგანომ უნდა დაადგინოს „ბაზრის

³⁷ აშშ-ს საერთაშორისო ვაჭრობის ადმინისტრაცია, პრეს რელიზი [2022] იხ. <https://www.trade.gov/press-release/us-department-commerce-revokes-russias-market-economy-status-antidumping-proceedings>

³⁸ სააგენტოში შემოსული წერილი N01/3389 (04.07.2024)

³⁹ სააგენტოში შემოსული წერილი N01/4770 (19.09.2024); წერილი N01/5974 (25.11.2024)

განსაკუთრებული მდგომარეობა“ (1) და უნდა დაადგინოს, რომ ასეთი ბაზარი გამორიცხავს ადგილობრივ და ექსპორტის ფასის სათანადო შედარებას (2).

შპს „რუსთავის ფოლადი“ საუბრობს WTO-ს პანელის გადაწყვეტილებაზე Australia – Anti-Dumping Measures on Paper⁴⁰, სადაც გაზიარებულია EEC- Cotton Yarn-ში⁴¹ განვითარებული მსჯელობა, რომ „ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობა“ მხოლოდ იმდენადაა რელევანტურია, რამდენადაც ის გავლენას ახდენს შიდა გაყიდვებზე სათანადო შედარებისთვის. ასევე, მოცემულ გადაწყვეტილებაში პანელმა დაადგინა, რომ წარმოებისთვის გამოყენებული რესურსების დაბალი ღირებულება შეიძლება წარმოადგენდეს ბაზრის „განსაკუთრებულ მდგომარეობას“. გარდა ამისა, ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნას შემთხვევები, რომლებიც (i) იწვევს იმ პროდუქტის დაბალ ღირებულებას რომელიც გამოიყენება როგორც ექსპორტირებული, ასევე შიდა ბაზარზე გასაყიდი პროდუქტის წარმოებისთვის და (ii) გამომდინარეობს სუბსიდირების ან სხვა სახელისუფლებო ქმედებისგან.

შპს „რუსთავის ფოლადი“ მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე მსგავსია, რადგან პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული რესურსები რუს მწარმოებლებს უფრო დაბალ ფასად მიეწოდება, რაც დაკავშირებულია ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და სარკინიგზო მომსახურების ფასებზე რუსეთის მთავრობის გავლენისა და ჯართის ექსპორტის შეზღუდვასთან. ამგვარად, შპს „რუსთავის ფოლადი“ ვარაუდობს, რომ რუსეთის ბაზარზე შიდა მწარმოებლები იღებენ პროდუქციის წარმოებისთვის გადამწყვეტ პროდუქტებს დაბალ ფასებში. შესაბამისად, არის კონკრეტული საბაზრო სიტუაცია და სააგენტომ უნდა დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა საექსპორტო ფასის შედარება რუსეთის ბაზარზე არსებულ ადგილობრივ ფასთან.

Abinsk Electric Steel Works LTD აღნიშნულ მსჯელობას უსაფუძვლოდ მიიჩნევს. ექსპორტიორი კომპანია ადასტურებს, რომ რუსეთში ნამდვილად არსებობს მონოპოლია სარკინიგზო გადაზიდვებზე, მაგრამ ჯართზე ტარიფები მაღალია, ამიტომ საწარმოები ხშირად ავტოტრანსპორტს იყენებენ, რაც ადასტურებს, რომ სარკინიგზო გადაზიდვაში შეღავათიანი პირობები არ არსებობს. რაც შეეხება ელექტროენერჯის, კომპანია აცხადებს, რომ არმატურა რუსეთში ძირითადად იწარმოება ელექტრომეტალურგიული ხერხით (მოცულობის 80%-ზე მეტი). თუმცა ელექტროენერჯის შესყიდვა ხორციელდება სპოტ ბაზარზე (spot market), სადაც ფასები ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდებით/რეგიონული ბალანსით, ანუ მეტალურგიაზე სპეციალური დოტაცია არ ჩანს. შესაბამისად, არც სარკინიგზო ტარიფების რეგულირება და არც ელექტროენერჯის ფასთა მოდელი არ უზრუნველყოფს რუსული არმატურისთვის დამატებით უპირატესობას საქართველოს ბაზარზე.⁴²

შპს „რუსთავის ფოლადი“ ასევე აცხადებს, რომ აშშ-ს წარსული პრაქტიკა არ არის რელევანტური. აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის დოკუმენტის „რუსეთის საბაზრო ეკონომიკის სტატუსის განხილვა“ შემუშავების შემდეგ კონსისტენტური პრაქტიკა ჩამოყალიბდა. მაგ. ფეროსილიციუმის სამართლიან ღირებულებებზე ნაკლები ფასის შესახებ შესწავლაში აშშ-ს კომერციის დეპარტამენტმა მითითება გააკეთა წარსულ პრაქტიკაზე და რუსეთი NME-დ მიიჩნია. შპს „რუსთავის ფოლადი“ არ იზიარებს რუსული მხარის კომენტარს დოკუმენტის პოლიტიკურ

⁴⁰პანელის გადაწყვეტილება, Australia – Anti-Dumping Measures on A4 Copy Paper (Australia- A4 Copy Paper), WT/DS529/R [2019]

⁴¹ GATT პანელის გადაწყვეტილება, EEC – Cotton Yarn, ADP/137 [1995]

⁴² სააგენტოში შემოსული წერილი N01/4991 (22.08.2025)

ბუნებაზე და აცხადებს, რომ დოკუმენტში შემუშავებულია დეტალური არგუმენტები რუსეთის NME-ად მიჩნევისთვის.

შპს „რუსთავის ფოლადი“ ნორმალური ღირებულების განსაზღვრის საკითხზე რუსული მხარის კომენტარებს ეწინააღმდეგება Ukraine – Anti-Dumping Measures on Ammonium Nitrate WTO-ს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით⁴³. შპს „რუსთავის ფოლადი“-ის განმარტებით, საქმეში პანელს და სააპელაციო ორგანოს არ დაუდგენია, რომ ნორმალური ღირებულების განსაზღვრის *ნებისმიერი* მეთოდის ან რუსული ბუნებრივი აირის ფასის *ნებისმიერი* მისადაგება წარმოადგენდა ADA-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას. არამედ, მოცემულ განსაკუთრებულ სიტუაციაში უკრაინის შესწავლის ორგანომ დაარღვია ADA, როდესაც გამოიყენა რუსეთიდან გერმანიაში ბუნებრივი აირის კორექტირებული საექსპორტო ფასი, ექსპორტიორების მიერ მიწოდებული ფასების გამოყენების ნაცვლად, მსგავსად European Union - Cost Adjustment Methodologies and Certain Anti-Dumping Measures on Imports from Russia გადაწყვეტილებისა⁴⁴.

შპს „რუსთავის ფოლადის“ მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტოში ხელმეორედ იქნა პოზიცია დაფიქსირებული და შემოთავაზებულ იქნა დემპინგური ზღვრის დადგენის მეთოდოლოგია.⁴⁵ კერძოდ, მხარე მიუთითებს, რომ სააგენტო, კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა დაეყრდნოს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. დამატებით, მხარე აცხადებს, რომ რუსული მწარმოებლების მიერ პროდუქტის წარმოების პროცესში, ნედლი მასალისა და ინვესტიციების გათვალისწინებით, ხელშესახები სახელმწიფო ჩარევას. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის ენერგეტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება N3.25-5/69-ზე დაყრდნობით მხარე მიუთითებს, რომ რუსული ბუნებრივი აირის ბაზარი დაყოფილია რეგულირებად (დომინირებულ) და არარეგულირებად სეგმენტებად, სახელმწიფოს მხრიდან რეგულირდება მონოპოლისტი შპს „გაზპრომის“ საბითუმო ფასები, დამოუკიდებელ მწარმოებლებთან ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ტარიფები და მიწოდებისა და გაყიდვების მომსახურების საფასური. მხარე, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი შეზღუდვების შესახებ ევროკომისიის სამუშაო დოკუმენტზე დაყრდნობით, მიუთითებს შპს „გაზპრომის“ ბუნებრივი აირის წარმოების ბაზარზე 75%-იან წილზე. შპს „რუსთავის ფოლადი“ მიუთითებს რუსეთის ინდუსტრიისა და ვაჭრობის სამინისტროს რუსული მეტალურგიის განვითარების სტრატეგიაზე⁴⁶ და აცხადებს, რომ სანქციების შედეგების აღმოფხვრა და ინდუსტრიის გაძლიერება რუსეთის ფედერაციის ინტერესებშია.

შპს „რუსთავის ფოლადი“ კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ შესაბამის მესამე ქვეყანას წარმოადგენს თურქეთი, ხოლო მეორე ალტერნატივად ასახელებს შესაბამისი მესამე ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში, მ.შ. საქართველოში, საექსპორტო ფასის გამოყენებას.

⁴³ პანელის გადაწყვეტილება, Ukraine – Anti-Dumping Measures on Ammonium Nitrate, WT/DS493/R [2018], სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება, Ukraine – Anti-Dumping Measures on Ammonium Nitrate, WT/DS493/AB/R [2019]

⁴⁴ პანელის გადაწყვეტილება, European Union—Cost Adjustment Methodologies and Certain Anti-Dumping Measures on Imports from Russia (Second Complaint), WT/DS494/R

⁴⁵ სააგენტოში შემოსული წერილი N01/5974 (25.11.2024)

⁴⁶ <https://www.garant.ru/products/ipo/prime/doc/70595824/>

რუსული მხარე უარყოფს „რუსთავის ფოლადის“ ბრალდებებს და ამტკიცებს, რომ მიუხედავად რუსი ექსპორტიორების მიერ კითხვარებზე პასუხის არქონისა, საქართველოს, როგორც WTO-ს წევრს, არ აქვს უფლება მიიჩნიოს რუსეთი არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად.⁴⁷

ქართველი მწარმოებელი ითხოვს "ხელმისაწვდომი ფაქტების" გამოყენებას (ADA-ს 6.8 მუხლის შესაბამისად), რადგან რუს ექსპორტიორებს არ წარუდგენიათ პასუხები კითხვარებზე. რუსული მხარე მიიჩნევს, რომ ეს არ აძლევს უფლებას შესწავლის ორგანოს, დაარღვიოს WTO-ს ნორმები. წერილში აღნიშნულია, რომ ეს დებულება არ უნდა განიმარტოს, როგორც გამომძიებელი ორგანოსთვის უფლების მინიჭება, გადაუხვიოს WTO-ს ნორმებს ანტიდემპინგურ წარმოებაში. ასევე ნახსენებია, რომ ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს "განსაკუთრებული სიფრთხილით" და "შეამოწმოს ინფორმაცია სხვა დამოუკიდებელი წყაროებიდან".⁴⁸

რუსული მხარე ამტკიცებს, რომ:

1. ნორმალური ღირებულების გამოთვლისას გადახვევა დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ ეს გათვალისწინებულია WTO-ში გაწევრიანების ოქმში (რუსეთის შემთხვევაში არ არის);
2. თუ ექსპორტიორ ქვეყანაში მთავრობას აქვს სრული მონოპოლია ვაჭრობაზე და სახელმწიფო ადგენს ყველა შიდა ფასს.

რუსული მხარე უარყოფს ბრალდებას, რომ რუსეთის, როგორც არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად განხილვა შეესაბამება მსოფლიო პრაქტიკას.

რუსული მხარე აფასებს რუსთავის ფოლადის მიერ გამოყენებულ კიდევ ერთ არგუმენტს "EU report on distortions in Russia"-ს შესახებ და ამბობს, რომ ევროკავშირის ხარჯების კორექტირების მეთოდოლოგია WTO-სთან შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული. ახალი მეთოდოლოგია, რომელიც "ევროკავშირის ანგარიშს რუსეთის საბაზრო მექანიზმების ხელყოფის შესახებ" ეყრდნობა, წარმოადგენს მხოლოდ ძველის მოდიფიცირებულ ვერსიას.⁴⁹

2020 წლის 22-23 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ანგარიშში წარმოდგენილია სამართლებრივი და ანალიტიკური საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთში სახელმწიფო ჩარევა ეკონომიკაში იწვევს საბაზრო მექანიზმების ხელყოფას (მაგალითად, ენერგორესურსების სუბსიდირება, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიების დომინანტობა, ფასების კონტროლი). ევროკავშირის განმარტებით, კონკრეტული ქვეყნისთვის ანგარიშის არსებობა არ ნიშნავს, რომ ანტიდემპინგური გაანგარიშების ალტერნატიული მეთოდოლოგია ავტომატურად იქნება გამოყენებული. თითოეული საქმე უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად.⁵⁰

⁴⁷ სააგენტოში შემოსული წერილი N01/1453 (04.03.2025)

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ სააგენტოში შემოსული წერილი N01/1453 (04.03.2025)

⁵⁰ Report on significant distortions in the economy of the Russian Federation for the purpose of trade defence investigations" (SWD(2020) 242 final).

ევროკავშირი ამ ანგარიშის მეშვეობით ცდილობს დაასაბუთოს, რომ რუსეთიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე ნორმალური ღირებულების განსაზღვრისას შეუძლებელია მწარმოებლის მიერ მოწოდებული მონაცემების სანდოდ მიღება.⁵¹

რუსული მხარე ევროკავშირის ანგარიშის გასაკრიტიკებლად მიუთითებს WTO-ს პანელის გადაწყვეტილებაზე.⁵² საქმეში DS494 რუსეთმა გაასაჩივრა 'EU report on distortions in Russia'. პანელმა დაადგინა, რომ თუ მწარმოებლის აღრიცხვაზე დაფუძნებული ხარჯები საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, მაშინ ანტიდემპინგური განაკვეთების გამოთვლისას მათი უგულებელყოფა დაუშვებელია. ევროკავშირის მიერ რუსული პროდუქციის მიმართ გამოყენებული "ხარჯების დაზუსტების" მეთოდოლოგია WTO-ს წესებთან შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული. შედეგად, პანელმა ევროკავშირს მიუთითა, რომ მისი ანტიდემპინგური მექანიზმები WTO-ს რეგულაციებთან შესაბამისობაში მოეყვანა.⁵³

რუსული მხარე ევროკავშირის ანგარიშის შეუსაბამობის დასამტკიცებლად ასევე იშველიებს WTO-ს ანტიდემპინგური პრაქტიკის კომიტეტის 2020 წლის 28 ოქტომბრის ოქმს (დოკუმენტი: G/ADP/M/58) სადაც, რუსეთის თქმით, განხილული იყო ევროკავშირის ანგარიშის ხარისხი და დადგინდა, რომ ის შეიცავს უამრავ თვითწინააღმდეგობას, არასწორ ციტირებებს, არასანდო წყაროებს, არარსებულ სამართლებრივ აქტებზე მითითებებს, არარსებულ სიტუაციებს, თარგმანის მნიშვნელოვან შეცდომებსა და ფაქტობრივ უზუსტობებს. კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ მეთოდოლოგიები, რომლისთვისაც ეს ანგარიში შეიქმნა, დისკრიმინაციულია და WTO-ს წესებთან შეუსაბამო.⁵⁴

WTO-ს ანტიდემპინგური პრაქტიკის კომიტეტის ოქმში (G/ADP/M/58) არის რამდენიმე მითითება რუსეთის არგუმენტზე, რომ ევროკავშირის მიერ გამოყენებული ხარჯების კორექტირების მეთოდოლოგია WTO-სთან შეუსაბამოა. ზემოაღნიშნულ ოქმში რუსეთი აცხადებს: "2020 წლის 24 ივლისს WTO-მ გაავრცელა პანელის გადაწყვეტილება საქმეზე EU – Cost Adjustment Methodologies and Certain Anti-Dumping Measures on Imports from Russia (Second Complaint) (DS494). ამ ანგარიშში პანელმა დაადგინა, რომ ევროკავშირმა დაარღვია ანტიდემპინგური შეთანხმების მუხლი 2.2.1.1, როდესაც გამოიყენა "სამთავრობო კონტროლი" ან "ხელოვნურად დაბალი ფასები" როგორც მიზეზი რუსული მწარმოებლის მონაცემების უარყოფისთვის."⁵⁵ ევროკავშირი ასევე აღნიშნავდა, რომ მისი აზრით, ამ საქმის დასკვნებს არ ჰქონდათ პირდაპირი კავშირი კომიტეტში განხილულ საკითხთან. ასევე დაამატა, რომ "პანელის დასკვნები ევროკავშირის მიერ გასაჩივრებულია".⁵⁶

2025 წლის მაისში დაინტერესებული მხარეებისთვის შესწავლის შუალედური ანგარიშის გაზიარების შემდგომ, სადაც წარმოდგენილი იყო ინფორმაცია შესწავლის იმ ეტაპისთვის მოძიებულ და დამუშავებულ ინფორმაციაზე⁵⁷, Abinsk Electric Steel Works-მა წარმოადგინა მისი

⁵¹ იქვე.

⁵² სააგენტოში შემოსული წერილი N01/1453 (04.03.2025)

⁵³ პანელის გადაწყვეტილება, European Union—Cost Adjustment Methodologies and Certain Anti-Dumping Measures on Imports from Russia (Second Complaint), WT/DS494/R

⁵⁴ სააგენტოში შემოსული წერილი N01/1453 (04.03.2025).

⁵⁵ WTO, "Minutes of the Regular Meeting," G/ADP/M/58 (2020), §68.

⁵⁶ WTO, "Minutes of the Regular Meeting," G/ADP/M/58 (2020), §82.

⁵⁷ სააგენტოს წერილი N02/2068, N02/2069 (01/05/2025), N02/2253, N02/2254, N02/2255, N02/2257, N02/2256 (19/05/2025), N02/2266 (20/05/2025)

პოზიცია.⁵⁸ რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მსგავსად, რუსული ექსპორტიორი კომპანიაც ამტკიცებს, რომ მიმდინარე შესწავლაში ქართველი მწარმოებლის (რუსთავის ფოლადის) მხრიდან რუსეთის მიმართ „არასაბაზრო ეკონომიკის“ (NME) მეთოდოლოგიის გამოყენების მოთხოვნა ეწინააღმდეგება WTO-ს წესებს (GATT VI და ADA). კომპანია აცხადებს, რომ საქართველოს არ აქვს სამართლებრივი საფუძველი, რომ აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს გადაწყვეტილებას დაეყრდნოს რუსეთის "არასაბაზრო სტატუსის" დასამტკიცებლად. სხვა სუვერენული სახელმწიფოები, მათ შორის WTO-ს წევრები, არ არიან ვალდებული გამოიყენონ აშშ-ის გადაწყვეტილებები. ამასთან, იგი აცხადებს, რომ ქართულმა მხარემ ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულება რუსეთში "ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის" არსებობის შესახებ. Abinsk Electric Steel Works LTD-ის აზრით საქართველო ცდილობს აშშ-ის პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილება გამოიყენოს სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც წარმოადგენს WTO-ს წესების დარღვევას. ისევე, როგორც რუსული მხარე რუსთავის ფოლადის არგუმენტის გასაკრიტიკებლად, ექსპორტიორი კომპანიაც ევროკავშირის ანგარიშის საწინააღმდეგოდ მიუთითებს საქმეში EU – Cost Adjustment Methodologies II (Russia) (DS494), WTO-ს პანელის გადაწყვეტილებაზე.

საბოლოო ჯამში, რუსეთი კვლავ ამტკიცებს, რომ ქართველი მწარმოებლის მოთხოვნა არასაბაზრო ეკონომიკის მეთოდოლოგიისა და სუროგატული ფასების გამოყენებაზე ეწინააღმდეგება GATT 1994-ის VI მუხლსა და ADA-ს მე-2 მუხლს. მიუხედავად იმისა, რომ რუსმა მწარმოებლებმა არ მიაწოდეს ქართულ მხარეს საჭირო ინფორმაცია, საქართველო, როგორც WTO-ს წევრი, ვალდებულია, დაიცვას ორგანიზაციის წესები, ხოლო მონაცემების არქონა ვერ იქნება ამ ვალდებულებებისგან გადახვევის საფუძველი.⁵⁹

რუსეთი ასევე ადასტურებს 2024 წლის 3 ივლისს წარმოდგენილ პოზიციას, რომ შესწავლა უნდა შეწყდეს ანტიდემპინგური ზომების გარეშე, რადგან დემპინგისა და ქართულ ინდუსტრიაზე მიყენებული ზიანის მტკიცებულებები არ არსებობს.⁶⁰

სააგენტოს შეფასება

სააგენტო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მიმოიხილოს ძირითადი მიგნებები ორივე მხარის მიერ გაჟღერებული DSB-ის გადაწყვეტილება საქმეზე Ukraine – Anti-Dumping Measures on Ammonium Nitrate (“ამონიუმის ნიტრატის საქმე”), რათა დადგინდეს მისი რელევანტურობა მოცემული შესწავლისთვის. სააგენტო, ასევე, ანტიდემპინგურ კანონმდებლობას განმარტავს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რამეთუ განსახილველი დებულებები მიზნად ისახავს დადებული საერთაშორისო შეთანხმების მოქმედების უზრუნველყოფას.

ამონიუმის ნიტრატის საქმეში უკრაინის შესწავლის ორგანომ, MEDT-მა, გამოითვალა დემპინგური ზღვარი ორი რუსი მწარმოებლისთვის. დემპინგის ამ ზღვრების გაანგარიშებისას MEDT-მა მიმართა პირობით ნორმალური ღირებულების განსაზღვრის მეთოდოლოგიას მათი წარმოების ღირებულების საფუძველზე. თუმცა, უკრაინის MEDT-მა უარყო რუსი კომპანიების მიერ წარმოდგენილი ბუნებრივი აირის ღირებულება, როგორც ხარჯი და ჩაანაცვლა სუროგატული გერმანული ფასით, MEDT-ის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ ბუნებრივი აირის ფასი

⁵⁸ სააგენტოში შემოსული წერილი N01/4991 (22.08.2025)

⁵⁹ სააგენტოში შემოსული წერილი N01/1453 (04.03.2025).

⁶⁰ იქვე.

რუსულ ადგილობრივ ბაზარზე იყო კონტროლირებული სახელმწიფოს მხრიდან და არ წარმოადგენდა საბაზრო ფასს, რაც განპირობებდა იმას, რომ შიდა ბაზარზე ბუნებრივი აირის ფასი იყო გაცილებით დაბალი, ვიდრე რუსეთიდან ექსპორტირებული ბუნებრივი აირის გაყიდვის ფასი ან სხვა სახელმწიფოების ბაზრებზე ბუნებრივი აირის ფასი. დამატებით, MEDT-ის შეფასებებმა აჩვენა, რომ JSC Gazprom („გაზპრომი“) ბუნებრივ აირს ყიდდა პროდუქციის თვითღირებულებაზე დაბალ ფასში და რომ ამ მიმწოდებლის მომგებიანობა განპირობებული იყო საექსპორტო გაყიდვებით.⁶¹

ამგვარად, პანელის შეფასების ერთ-ერთ საგანს წარმოადგენდა, თუ რამდენად გააჩნდა MEDT-ს ადეკვატური საფუძველი წარმოდგენილი მონაცემების უგულვებელსაყოფად იმ მოტივით, რომ ისინი გონივრულად არ ასახავდა ამონიუმის ნიტრატის წარმოებასა და გაყიდვებთან დაკავშირებულ ხარჯებს. პანელის მიერ MEDT-ის აღნიშნული ქმედება შეფასდა, როგორც დარღვევა, რადგან ADA-ს 2.2.1.1 მუხლის მეორე პირობის მიხედვით, შესწავლის ორგანოებს აქვთ უფლება, შეამოწმონ, რამდენად გონივრულად ასახავს მწარმოებლის მონაცემები შესწავლის ობიექტის წარმოებასა და გაყიდვებთან დაკავშირებულ ხარჯებს, თუმცა ეს განსხვავდება იმის შემოწმებისგან, წარმოდგენილი ხარჯები გონივრული არის თუ არა იმ მიზეზით, რომ ისინი იმაზე უფრო დაბალია, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში.⁶²

სააპელაციო ორგანომ მხარი დაუჭირა პანელის დასკვნას⁶³. ADA-ს 2.2 მუხლის მიხედვით, პირობითი ნორმალური ღირებულების დადგენის მიზნით გერმანიის საზღვარზე რუსული გაზის საექსპორტო ფასის გამოყენებით MEDT-მა ვერ გამოთვალა წარმოების ღირებულება „წარმოშობის ქვეყანაში“, ანუ რუსეთში. როგორც სააპელაციო ორგანომ ხაზგასმით აღნიშნა, პანელმა დაადგინა, რომ MEDT-ს არ განუმარტავს, თუ რატომ იყო ასეთი კორექტირება ადეკვატური ბუნებრივი აირის საექსპორტო ფასის ადაპტირებისთვის, წარმოშობის ქვეყანაში ღირებულების დასადგენად.⁶⁴

სააგენტო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ ამონიუმის ნიტრატის საქმეში როგორც პანელს, ასევე, სააპელაციო ორგანოს არ უმსჯელია „ბაზრის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე“, როგორც პირობითი ნორმალური ღირებულების მეთოდოლოგიის გამოყენების ერთ-ერთ საფუძველზე, რადგან მოცემული დავის გადაწყვეტა არ მოითხოვდა „ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის“ ცნების განხილვას⁶⁵.

სააგენტო, ასევე, ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან განმასხვავებელ ფაქტორზე გარემოებაზე: მოცემული შესწავლის ფარგლებში სააგენტოს არ მიუღია არანაირი მონაცემი, მ.შ. წარმოების ღირებულებაზე, შესწავლის ქვეშ მყოფი როგორც რუსული, ასევე, ირანული ექსპორტიორი კომპანიებისგან. ამგვარად, სააგენტოს განხილვის ქვეშ არ დამდგარა საკითხი,

⁶¹ პანელის გადაწყვეტილება, Ukraine – Anti-Dumping Measures on Ammonium Nitrate, WT/DS493/R [2018] პარა. 7.73

⁶² იქვე, პარა. 7.4.1.3.2

⁶³ სააპელაციო ორგანოს მიერ დამატებით იქნა აღნიშნული, რომ MEDT-ის მიერ არ იქნა დადგენილი, იყო თუ არა გაზპრომი შესწავლის ქვეშ მყოფი რუსი მწარმოებლების ბუნებრივი აირის მიმწოდებელი ან ახდენდა თუ არა გავლენას გაზპრომის ფასები ამ მწარმოებლების ფასებზე.

⁶⁴ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება, Ukraine – Anti-Dumping Measures on Ammonium Nitrate, WT/DS493/AB/R [2019] პარა. 6.2.5.

⁶⁵ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება, Ukraine – Anti-Dumping Measures on Ammonium Nitrate, WT/DS493/AB/R [2019] სქოლიო 375

ჩვეულებრივ,⁶⁶ მიეღო თუ არა მას კომპანიებისგან მოწოდებული ინფორმაცია როგორც ფაქტობრივი მოცემულობა, თუ მოეხდინა მათი კორექტირება ისე, როგორც ეს განხორციელდა უკრაინის შესწავლის ორგანოს მიერ (ასევე, EU – Biodiesel (Argentina) და EU - Cost Adjustment Methodologies II (Russia) საქმეებში⁶⁷ ევროკომისიის მიერ). შესაბამისად, სააგენტო ვერ შეაფასებს რუსულ ადგილობრივ ბაზარზე არმატურისა და გლინულის წარმოებისას გამოყენებული ენერჯისა თუ ნედლი მასალის ხარჯები არის თუ არა „გამლილი მკლავის პრინციპთან“ შესაბამისი და შესწავლის ამ ეტაპზე, ხელთ არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, ვერ ააგებს პირობით ნორმალურ ღირებულებას. ხაზგასასმელია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც შესწავლის ორგანო მის ხელთ არსებულ ინფორმაციას ეყრდნობა, მას შეუძლია გამოიყენოს „ქვეყანაში“ თუ „ქვეყნის გარეთ“ არსებული ნებისმიერი მტკიცებულება იმ პირობით, რომ ამით დაადგენს „წარმოშობის ქვეყანაში წარმოების ხარჯს“⁶⁸. ეს უკანასკნელი, მოცემულ შემთხვევაში, სააგენტოსთვის ხელთ არსებული ინფორმაციით, არ არის შესაძლებელი.

პირობითი ნორმალური ღირებულების დადგენის ქრილში, სააგენტომ იმსჯელა Abinsk Electric Steel Works LTD პოზიციაზე.⁶⁹ როდესაც სახეზეა სარკინიგზო გადაზიდვების მონოპოლია ეს ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მთავარი ლოჯისტიკური რესურსი (ტრანსპორტი) რეგულირების ქვეშაა. „რეგულირება“ აქ გულისხმობს სახელმწიფო/მარეგულირებლის გავლენას სატარიფო და ოპერაციულ წესებზე; ეს რელევანტურია PMS-ისთვის, მაგრამ უპირატესობას ავტომატურად არ ამტკიცებს, ამისთვის საჭიროა ფაქტობრივი დასაბუთება. მხოლოდ ორი მაგალითი „ჯართზე მაღალი ტარიფი“ და „საწარმოები ხშირად გადადიან ავტოტრანსპორტზე“ ვერ იქნება საკმარისი მთელი სისტემის შეფასებისთვის. აღნიშნულისთვის საჭიროა ისეთი მტკიცებულებები როგორებიცაა: ტარიფების ოფიციალური ცხრილები, ინვოისები, რეალური მარშრუტები/გარბენის კმ-ები, და სხვ. WTO-ს პანელმა საქმეში WT/DS529⁷⁰ აღნიშნა, რომ ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის დასაბუთება უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს და არ უნდა დაეფუძნოს ზოგად ან აბსტრაქტულ შეფასებას. აღნიშნული გარემოება შეიძლება გავლენას ახდენდეს, როგორც შიდა, ისე საექსპორტო ფასებზე, თუმცა შესწავლის ორგანოს ვალდებულებაა განახორციელოს სათანადო ანალიზი და დაასაბუთოს, რა გავლენა მოახდინა კონკრეტულ შემთხვევაში ასეთმა გარემოებამ ფასების შედარებადობაზე. აღნიშნულით სააგენტო კვლავ ადასტურებს, რომ მის ხელთ არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, ვერ ააგებს პირობით ნორმალურ ღირებულებას. ამასთანავე, სააგენტოს აზრით, რუსული ექსპორტიორი კომპანიის განმარტება ზედმეტად ზოგადი და არასაკმარისია. მხოლოდ "სპოტ ბაზრის" და "რეგიონული ბალანსის" ხსენება არ ამტკიცებს უპირატესობის არარსებობას.

რეალური შეფასებისთვის საჭიროა კონკრეტული დოკუმენტები (კითხვარებზე პასუხები), რომლებიც Abinsk Electric Steel Works LTD-ის არ წამოუდგენია, შესაბამისად სააგენტო

⁶⁶ მითითება - ADA-ს 2.2.1.1 "normally".

⁶⁷ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება, European Union-Anti-Dumping Measures on Biodiesel from Argentina (EU—Biodiesel), WT/DS473/AB/R, პანელის გადაწყვეტილება European Union—Cost Adjustment Methodologies and Certain Anti-Dumping Measures on Imports from Russia (Second Complaint), WT/DS494/R, პარა 7.106

⁶⁸ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება, European Union-Anti-Dumping Measures on Biodiesel from Argentina (EU—Biodiesel), WT/DS473/AB/R, პარა. 6.73

⁶⁹ სააგენტოში შემოსული წერილი N01/4991 (22.08.2025)

⁷⁰ პანელის გადაწყვეტილება, WT/DS529 -Australia - Anti-Dumping Measures on A4 Copy Paper from Indonesia

მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს კონკრეტული საწარმოს რეალურ ელექტროენერჯის ღირებულებას მხოლოდ საჯარო ინფორმაციის საფუძველზე.

სააგენტომ შეაფასა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის ენერჯეტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება N3.25-5/69, რომელზეც მხარემ მიუთითა და დაადგინა, რომ მრეწველობაში, წერტილოვანი გამონაკლისების გარდა, შპს „გაზპრომი“ შეზღუდულია რეგულირებადი ფასებით, ხოლო ბუნებრივი აირის დამოუკიდებელ მწარმოებლებს შეუძლიათ ნებისმიერი საფასო პირობების შეთავაზება. სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს შესწავლის ქვეშ მყოფი რუსული ექსპორტიორი კომპანიების ბუნებრივი აირის მიმწოდებლებსა და ხარჯებზე, რადგან აღნიშნულზე სააგენტოს არც ერთი მხარისგან ინფორმაცია არ მიუღია.

ამასთან, სააგენტოს შეფასებით, განცხადებაში წარმოდგენილი მსჯელობა რუსეთის არასაბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ მიჩნევა და შპს „რუსთავის ფოლადის“ პასუხი რუსული მხარის კომენტარებზე, ისევე, როგორც შემდგომი კორექციონები, არ არის თანმიმდევრული, რამდენადაც ვხვდებით ორი განსხვავებული ცნების - „არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნისა“ და „ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის“ - გაიგივებას და მათ შესახებ არგუმენტაციას. ამგვარად, სააგენტოს სურს ყურადღება გაამახვილოს, რომ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-8 მუხლის მოქმედების სფერო ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავდება და ნორმალური ღირებულებისა და დემპინგური ზღვრის განსაზღვრის სხვადასხვა წესს არეგულირებს.

მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოთვლის სამ გარემოებას, რა დროსაც შესწავლის ორგანოს შეუძლია ადგილობრივი ფასების ცვლილება. ერთ-ერთია ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობა (i), რის გამოც მსგავსი პროდუქტის გაყიდვები სწორი შედარების საშუალებას არ იძლევა (ii). ამ ორი კუმულატიური⁷¹ წინაპირობის არსებობისას, დემპინგური ზღვარი უნდა დადგინდეს მსგავსი პროდუქტის შესადარებელ ფასზე, როდესაც პროდუქტი ექსპორტირებულია მესამე ქვეყანაში (1) ან წარმოშობის ქვეყანაში წარმოების ღირებულების გამოყენებით (2). დემპინგური ზღვრის გამოთვლის ეს ორი მეთოდი ალტერნატიულია და შესწავლის ორგანო დისკრეციით სარგებლობს, თუ რომელ მათგანს მიმართავს.

აღნიშნული მუხლი არ განმარტავს „ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის“ ცნებას, ისევე, როგორც ADA და მისი travaux préparatoires. ევროკავშირის რეგულაციის 2.3 მუხლის მიხედვით „ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობა“ [პირველი პარაგრაფის მიზნებისთვის] შესაძლოა სახეზე იყოს, *inter alia*, როდესაც ფასები ხელოვნურად დაბალია, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი ბარტერული ვაჭრობა, ან როდესაც არსებობს წარმოების არაკომერციული ღონისძიებები“. WTO-ს პრაქტიკაში „ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობა“ განმარტებულია საქმეში Australia – Anti-Dumping Measures on Paper⁷², რომელზეც შპს „რუსთავის ფოლადი“ მიუთითებს და სადაც პანელს არ გამოურიცხავს ის შემთხვევა, როდესაც ხელისუფლების ქმედებები, სრულად თუ ნაწილობრივ, შესაძლოა, ქმნიდეს „ბაზრის განსაკუთრებულ მდგომარეობას“, ADA-ს მე-2.2 მუხლის მნიშვნელობით.⁷³

რუსული მხარის მიერ მითითებულ EU - Cost Adjustment Methodologies II (Russia) საქმეში კი პანელმა არ გაიზიარა რუსეთის მხრიდან წარდგენილი „ბაზრის განსაკუთრებული

⁷¹ პანელის გადაწყვეტილება, Australia- A4 Copy Paper [2019], პარა. 7.73

⁷² პანელის გადაწყვეტილება, Australia- A4 Copy Paper [2019]

⁷³ იქვე, Australia- A4 Copy Paper, პარა. 7.56

მდგომარეობის“ ვიწრო, GATT-ის VI:1 მუხლის მე-2 Ad შენიშვნაზე დაფუძნებული განმარტება, რომ ასეთ მდგომარეობად შეიძლება შეფასდეს ისეთი გარემოება, როდესაც სახელმწიფოს გააჩნია სრული ან არსობრივად სრული მონოპოლია ვაჭრობაზე და ყველა ადგილობრივი ფასი ფიქსირებულია სახელმწიფოს მიერ⁷⁴. არამედ, პანელმა გაიზიარა Australia – Anti-Dumping Measures on Paper-ის მსჯელობა, რომ ასეთი მდგომარეობა შესაძლოა იყოს „სხვადასხვაგვარი“⁷⁵.

როდესაც ექსპორტი ხორციელდება არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნიდან, ნორმალური ღირებულება დგინდება კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად. განსხვავებით „ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობისა“, წესის მე-12 მუხლის მე-11 პუნქტი ექსპლიციტურად ჩამოთვლის იმ კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც შესწავლის ორგანოს შეუძლია ექსპორტიორი ქვეყნის NME-დ მიჩნევა⁷⁶. თუ შესწავლის ორგანო ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მივა იმ დასკვნამდე, რომ სახეზეა NME, ასეთ დროს ნორმალური ღირებულება განისაზღვრება ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში შესაბამის საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მოხმარებისთვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის შესადარებელი ფასით (1) ან ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში შესაბამისი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში (მათ შორის, საქართველოში), ექსპორტის განხორციელებისას მსგავსი პროდუქტის შესადარებელი ფასით (2). შესაბამისად, თუკი მე-7 მუხლით შესწავლის ორგანო შესწავლის ქვეშ მყოფი სახელმწიფოდან შესაბამის მესამე ქვეყანაში ექსპორტირებული მსგავსი პროდუქტის შესადარებელ ფასს უყრდნობა, მე-8 მუხლი ნორმალური ღირებულების გამოთვლისას ითვალისწინებს ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში შესაბამისი საბაზრო ეკონომიკის მქონე მესამე ქვეყნის მონაცემებს.

ამასთან, სააგენტომ შეისწავლა რუსეთის ფოლადის ინდუსტრიის არასაბაზრო ეკონომიკად მიჩნევის საკითხი და აშშ-ს გადაწყვეტილებასთან ერთად, სხვა ქვეყნების გამოცდილებაც გაითვალისწინა. სააგენტომ რუსეთის ბაზრის ანალიზის პროცესში ყურადღება ფოლადის წარმოების სექტორში არსებულ ვითარებაზე გაამახვილა და ინდუსტრიის შეფასების ძირითად წყაროდ რუსეთის ინდუსტრიის შესახებ ევროკომისიის დოკუმენტი⁷⁷ გამოიყენა. დოკუმენტში დეტალურად არის მიმოხილული ინფორმაცია ფოლადის ინდუსტრიაში საბაზრო მექანიზმების ხელყოფასთან დაკავშირებით. ანგარიშის მიხედვით იკვეთება, რომ რუსეთის ფოლადის ინდუსტრია მცირე რაოდენობის დიდი საწარმოებისაგან შედგება, რომლებიც კერძო კომპანიებს წარმოადგენენ. დამატებით, მიუხედავად ინდუსტრიაში არსებული სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებისა, სახელმწიფოს მხრიდან გაწეული დახმარების წილი მთლიანი ინვესტიციების

⁷⁴ პანელის გადაწყვეტილება, European Union—Cost Adjustment Methodologies and Certain Anti-Dumping Measures on Imports from Russia (II), WT/DS494/R, პარა. 7.56

⁷⁵ იხ. იქვე, პარა. 7.200

⁷⁶ მსგავს რეგულირებას იცნობს ევროკავშირის, აშშ-ს და სხვა არაერთი სახელმწიფოს კანონმდებლობაც. მაგ., იხ. ევროკავშირის კონსოლიდირებული რეგულაცია 2016/1036, მუხლი 2.6a (significant distortions); აშშ-ს Title VII Of The Tariff Act Of 1930, სექცია 771(18). სააგენტო, აქვე, აღნიშნავს, რომ არ არსებობს NME-დ მიჩნევის რაიმე საერთაშორისო სტანდარტი, ამგვარად, აღნიშნული წარმოადგენს სახელმწიფოს ეროვნული სამართლითა და პოლიტიკით განსაზღვრებად საკითხს. იხ. ვრცლად საქმე C-21/14 P, Commission v Rusal Armenal ZAO [2015], პარა. 53, 59

⁷⁷ აღნიშნულ წყაროს, ასევე, უყრდნობა მქს „რუსეთის ფოლადი“. იხ. ევროკომისია, Commission Staff Working Document On Significant Distortions In The Economy Of The Russian Federation For The Purposes Of Trade Defence Investigations, SWD(2020)242, [2020] იხ. [https://ec.europa.eu/transparency/documents-register/detail?ref=SWD\(2020\)242&lang=en](https://ec.europa.eu/transparency/documents-register/detail?ref=SWD(2020)242&lang=en)

1%-ზე ნაკლებს შეადგენს და სექტორის უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული. ამასთანავე, ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ქვეყნის ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ფასების პოლიტიკამ შესაძლოა იქონიოს გავლენა ინდუსტრიაში წარმოების ღირებულების შემცირებაზე. სააგენტოს შეფასებით, სახელმწიფოს მხრიდან წარმოების ფაქტორების ღირებულებაზე არსებული გავლენების გათვალისწინებით, ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია რუსეთის ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობაზე მიუთითებს და არ არის საკმარისი ქვეყანაში ფოლადის ინდუსტრიის არასაბაზრო ეკონომიკად მიჩნევისათვის.

ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილებისას მხედველობაში იქნა მიღებული რუსეთის წინააღმდეგ ბოლო წლებში წარმოებული ანტიდემპინგური შესწავლები, როგორც ევროკავშირის, ასევე სხვა ქვეყნების მიერ. მაგალითად, უკრაინის მიერ რუსეთის ფედერაციაში წარმომოხილი მავთულის წნელების ანტიდემპინგის საქმეში⁷⁸, ევროკავშირის მიერ რუსეთის ფედერაციაში წარმომოხილი კოროზიის მიმართ მდგრადი ფოლადის ანტიდემპინგის საქმეში⁷⁹, ბრაზილიის მიერ რუსეთის ფედერაციაში წარმომოხილი ბუტილის აკრილატის ანტიდემპინგის საქმეში⁸⁰, რომლებშიც რუსეთი არ არის მოხსენიებული, როგორც არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა.

მხარეების მიერ განხილულია „EU report on distortions in Russia“-ს ანგარიში, WTO-ს ანტიდემპინგური პრაქტიკის კომიტეტის 2020 წლის 28 ოქტომბრის (დოკუმენტი: G/ADP/M/58) ოქმი და WTO-ს პანელის DS494 გადაწყვეტილება.

WTO-ს ანტიდემპინგური პრაქტიკის კომიტეტის სხდომის ოქმში არსებული ინფორმაცია არის წევრი ქვეყნების (ძირითადად რუსეთის, ჩინეთის და ევროკავშირის) პოზიციების ჩანაწერი და არა თავად WTO-ს დასკვნა ან შეფასება ანგარიშის შესახებ. დოკუმენტში უბრალოდ აღწერილია, რომ ევროკავშირმა გამოაქვეყნა ანგარიში რუსეთში არსებული მნიშვნელოვანი საბაზრო მექანიზმების ხელყოფის შესახებ; რუსეთი და ჩინეთი გამოხატავენ უკმაყოფილებას ამ ანგარიშთან დაკავშირებით; ევროკავშირი იცავს თავის პოზიციას; WTO-ს, როგორც ორგანიზაციის, საკუთარი შეფასება ან დასკვნა ამ ანგარიშზე ოქმში არ არის მოცემული. ანტიდემპინგური პრაქტიკის კომიტეტი მხოლოდ აღრიცხავს წევრი ქვეყნების განცხადებებს და არ იძლევა საკუთარ შეფასებას ამ საკითხზე. ოქმები უზრუნველყოფს გამჭვირვალობას WTO-ს წევრებისთვის, რათა ისინი გაეცნონ სხვა წევრების ანტიდემპინგურ ზომებს და შეძლონ საკუთარი პოზიციების გამოხატვა. კომიტეტი აწარმოებს WTO-ს წევრების მიერ ანტიდემპინგური შეთანხმების შესრულების ზედამხედველობას.

ამ საკითხზე დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დოკუმენტი G/ADP/M/58, რომელიც წარმოადგენს ანტიდემპინგური პრაქტიკების კომიტეტის რეგულარული შეხვედრის ანგარიშს („Minutes of the Regular Meeting“), თავისი შინაარსით არის განხილვითი ხასიათის დოკუმენტი და არა ნორმატიული ან სავალდებულო აქტი. ის არ შეიცავს ნორმატიულ დებულებებს, რომლებიც წევრ ქვეყნებს აკისრებს პირდაპირ იურიდიულ ვალდებულებებს. დოკუმენტი შეიძლება

⁷⁸ უკრაინის საერთაშორისო ვაჭრობის კომისიის გადაწყვეტილება, Про внесення зміни до рішення Міжвідомчої комісії з міжнародної торгівлі від 28.12.2017 НАД-382/2017/4411-05N [2017]

⁷⁹ ევროკომისია, Commission Implementing Regulation (EU) 2022/1395 Of 11 August 2022 Imposing A Definitive Anti-Dumping Duty On Imports Of Certain Corrosion Resistant Steels Originating In Russia And Turkey [2022]

⁸⁰ ბრაზილიის საგარეო ვაჭრობის პალატა, Resolução GECEX Nº 454 DE 17/03/2023 [2023]

გამოყენებულ იქნას როგორც ინფორმაციული წყარო, პოლიტიკის დაგეგმვისთვის, ისტორიული პრეცედენტის შესწავლისთვის ან კონკრეტული ანტიდემპინგური საკითხების განხილვისას, მაგრამ ის არ წარმოადგენს სამართლებრივად სავალდებულო აქტს.⁸¹ შესაბამისად რუსული მხარის მსჯელობა, რომ აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე, ევროკავშირის მიერ გამოყენებული ხარჯების კორექტირების მეთოდოლოგია WTO-სთან შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული, არ არის მართებული.

რაც შეეხება საქმეს EU – Cost Adjustment Methodologies and Certain Anti-Dumping Measures on Imports from Russia (Second Complaint) (DS494) ეს საქმე აჩვენებს, რომ ანტიდემპინგური შესწავლისას აუცილებელია მონაცემების სიზუსტე და ობიექტურობა. WTO-ს პანელმა დაადგინა, რომ ევროკავშირის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც რუსული საწარმოო ხარჯების ნაცვლად სხვა ქვეყნების (მაგალითად, ევროპის) ფასებს ეყრდნობოდა, არ შეესაბამება WTO-ს ანტიდემპინგურ წესებს. პანელის გადაწყვეტილება უზრუნველყოფს წარმოების ქვეყნიდან მიღებული მონაცემების მნიშვნელობის ზრდას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ანტიდემპინგურ შესწავლაში „საბაზრო მექანიზმების ხელყოფის“ გამოყენებას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ეს საქმე ევროკავშირმა გაასაჩივრა და არ ვიცით, სააპელაციო ორგანო რა გადაწყვეტილებას მიიღებს. აღნიშნულ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის გავლენას იქონიებს მომავალ ანტიდემპინგურ შესწავლებებზე და მონაცემების გამოყენების წესებზე საერთაშორისო ვაჭრობაში.

ამასთანავე, სააგენტო განმარტავს, რომ ანგარიში “EU report on distortions in Russia” სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებთან ერთად, რუსეთში ფოლადის ინდუსტრიის ბაზარზე განსაკუთრებული მდგომარეობის შეფასების ნაწილში არის გამოყენებული. სააგენტო არ ეყრდნობა ანგარიშში წარმოდგენილ ალტერნატიულ მეთოდოლოგიას ნორმალური ღირებულებების დათვლასთან დაკავშირებით, შესაბამისად პანელის გადაწყვეტილება აღნიშნულის შეუსაბამობაზე სააგენტოსთვის არ არის რელევანტური.

ხელთ არსებული, მ.შ. განცხადებაში წარმოდგენილი, ინფორმაციის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების კუთხით, სააგენტო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ თითოეული საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები ინდივიდუალურია, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მიმდინარე შესწავლის პროცესში. ანტიდემპინგური შესწავლის ინიცირების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველს შესაძლოა განსხვავებული მტკიცებულებები წარმოადგენდეს, როგორებიცაა, მაგ., შესწავლის ქვეშ მყოფი ობიექტის ბაზრის კვლევა, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები და სხვ⁸². ეს ასევე, გულისხმობს, რომ თითოეული შესწავლის ინიცირებას შესაძლოა საფუძველად ედოს განსხვავებული ხარისხის მტკიცებულებები, რომელთა შეფასებაც შესწავლის ორგანოს დისკრეციას წარმოადგენს. შესაბამისად, სააგენტო ვერ გაიზიარებს განმცხადებლის არგუმენტს

⁸¹ WTO Agreement on Anti-Dumping Practices, Article 18.

⁸² იხ. მაგ. მხარის მიერ მითითებული საქმე A-821-824, Certain Carbon and Alloy Steel Wire Rod From the Russian Federation and the United Arab Emirates: Affirmative Preliminary Determinations of Sales at Less Than Fair Value, and Affirmative Preliminary Determination of Critical Circumstances for Imports of Certain Carbon and Alloy Steel Wire Rod From the Russian Federation, Antidumping Duty Investigation Initiation Checklist [2017], სადაც ITA-ს მიერ გამოყენებულ იქნა განცხადებაში მითითებული მონაცემები, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა განმცხადებლის მიერ ბაზრის დაკვეთილ კვლევას.

რუსული არმატურისა და გლინულის ბაზარზე ფასების მოძიების სირთულესთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც ობიექტურად მსგავსი შესაძლებლობა არსებობს.⁸³

სააგენტო განმარტავს, რომ რიგ საკითხებზე პირველადი და განმეორებითი შესწავლის დროს შესწავლის ორგანოს მტკიცებულებითი სტანდარტი ერთმანეთისგან განსხვავდება. განმეორებითი შესწავლა განსხვავდება პირველადი შესწავლისგან განსხვავებული მიზნების გამო, ამდენად, ყველა ის პროცედურა, რომელიც პირველადი შესწავლისას გამოიყენება, ავტომატურად არ ვრცელდება განმეორებითი შესწავლის პროცესზე.⁸⁴ შესაბამისად, სააგენტო ვერ გაიზიარებს პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, შესწავლის ორგანოს მიერ მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემოღებულ იქნა განმეორებითი ანტიდემპინგური ზომა იმ ექსპორტიორი კომპანიების მიმართ, რომლებიც წარსულში უკვე იმყოფებოდნენ შესწავლის ქვეშ და, მეტიც, შესწავლის ორგანოსთან წარსულ პროცესში თანამშრომლობდნენ.⁸⁵ სააგენტო, ასევე, განმარტავს, რომ შესწავლის ინიცირების შემდგომ ახლადგამოვლენილი გარემოებები, მ.შ. დაინტერესებული პირების მიერ მოწოდებული კორექსონდენცია, ცვლის მოცემულობას და, ამგვარად, ხელთ არსებული, ე.წ. მეორეული ინფორმაცია, საჭიროებს დამოწმებას.⁸⁶

ნორმალური ღირებულების დადგენა

კანონის მე-2 მუხლის, “ვ” ქვეპუნქტის მიხედვით, ნორმალური ღირებულება განიმარტება, როგორც “ექსპორტიორ ქვეყანაში ადგილობრივი მოხმარებისთვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის ფასი ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში, ხოლო ასეთი ფასის არარსებობის შემთხვევაში – შესაბამის მესამე ქვეყანაში ექსპორტის განხორციელებისას მსგავსი პროდუქტის შესაძარებელი ფასი ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში”.

განცხადების დასაშვებობის ეტაპზე, რუსეთში შესწავლის ობიექტის მსგავსი პროდუქტის ნორმალური ღირებულების დადგენისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან გამომდინარე, სააგენტომ რუსეთიდან მესამე ქვეყანაში ექსპორტირებული მსგავსი პროდუქტის EXW ღირებულება გამოიყენა.

შესწავლის წარმოების პროცესში სააგენტომ კითხვარით მიმართა რუსეთიდან საქართველოში შესწავლის ობიექტის ექსპორტიორ კომპანიებს⁸⁷, თუმცა კითხვარებზე პასუხი

⁸³ იქვე

⁸⁴ იხ. მაგ., WTO-ს DSB-ს საქმეები: US- Corrosion-Resistant Steel Sunset Review; US- Oil Country Tabular Goods Sunset Reviews

⁸⁵ მხარის მიერ მითითებული საქმე Commission Implementing Regulation (EU) 2023/2758 of 12 December 2023 imposing a definitive anti-dumping duty on imports of certain hot-rolled flat products of iron, non-alloy or other alloy steel originating in the Federative Republic of Brazil, the Islamic Republic of Iran and the Russian Federation following an expiry review pursuant to Article 11(2) of Regulation (EU) 2016/1036 of the European Parliament and of the Council [2023] OJ L, 2023/2758 ეხება განმეორებით შესწავლას.

⁸⁶ მხარის მიერ მითითებულ საქმეში A-821-836 ნატრიუმის ნიტრიტი წინასწარი ტარიფი შემოღებულ იქნა განცხადებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით იმის გათვალისწინებით, რომ შესწავლის ორგანოს არ მიუღია რაიმე წინააღმდეგობრივი ინფორმაცია [detracting information], რაც მიმდინარე შესწავლისგან განსხვავებულ ფაქტობრივ მოცემულობას ქმნის, რამეთუ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა რუსული მხარის პოზიცია ნორმალური ღირებულების დადგენის ნაწილში. იხ. A-821-836, Decision Memorandum for the Preliminary Determination of the Sales at Less-Than-Fair-Value Investigation of Sodium Nitrite from the Russian Federation [2022] გვ. 5

⁸⁷ იხ. თავი 1.6.1.

არც ერთი კომპანიისგან არ მიუღია. დამატებით, სააგენტომ ექსპორტიორ კომპანიებს გაუზიარა ინფორმაცია მესამე ქვეყანაში ექსპორტირებული მსგავსი პროდუქტის EXW ღირებულების დადგენისათვის გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე⁸⁸ და მხარეებს დამატებითი ინფორმაციისა და კორექტირებების წარდგენის შესაძლებლობა მისცა.

შესწავლის წარმოების პროცესში ექსპორტიორი კომპანიების მხრიდან თანამშრომლობაზე უარის გათვალისწინებით, წესის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ნორმალური ღირებულების დადგენის მიზნით მის ხელთ არსებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენების უფლება აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა ნორმალური ღირებულების დადგენისათვის საჭირო ინფორმაცია არ წარადგინეს, არც კითხვარების გაგზავნის და არც გამოყენებული მეთოდოლოგიით დათვლილი ნორმალური ღირებულების გაზიარების შედეგად, შესწავლის ორგანომ ნორმალური ღირებულება მის ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენების საფუძველზე დაადგინა.

როგორც უკვე აღინიშნა, განცხადების დასაშვებობის შეფასების ეტაპზე სააგენტომ ნორმალური ღირებულების დასადგენად რუსეთიდან აზერბაიჯანში ექსპორტირებული პროდუქტის ფასი გამოიყენა.

აზერბაიჯანის საექსპორტო ფასის გამოყენებასთან დაკავშირებით, რუსული მხარის მიერ წარმოდგენილ კომენტარებში მითითებულია, რომ შეტყობინება არ შეიცავს დასაბუთებას აზერბაიჯანის მესამე ქვეყნად გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით, ხაზგასასმელია, რომ შესაბამის მესამე ქვეყნად აზერბაიჯანის შერჩევა რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული, მათ შორის:

1. მესამე ქვეყნის შერჩევისას შესწავლის პერიოდში რუსეთიდან არმატურის იმპორტიორი ქვეყნების გათვალისწინება. მესამე ქვეყნის არჩევისას არ იქნა გათვალისწინებული ევრაზიული კავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტი განსხვავებული საბაჟო პროცედურების გათვალისწინებით. დანარჩენ ქვეყნებში შედარებით დიდი მოცულობის არმატურის იმპორტიორ ქვეყნებს შორის, საქართველოს გარდა, ისრაელი, ეგვიპტე, ბრაზილია და აზერბაიჯანი მოხვდნენ. წარმოდგენილი ქვეყნებიდან კი როგორც გეოგრაფიულად, ასევე ეკონომიკური განვითარების კუთხით, საქართველოსთან ყველაზე ახლოს სწორად აზერბაიჯანი იქნა მიჩნეული.
2. დამატებით, საქართველოში რუსეთიდან შესწავლის ობიექტის იმპორტი, ძირითადად, რკინიგზის საშუალებით აზერბაიჯანის ტერიტორიიდან ხდება. კერძოდ, 2023 წელს შესწავლის ობიექტის მთლიანი იმპორტის 98% გარდაბნის სარკინიგზო/საერთაშორისო სასაზღვრო გამტარი პუნქტიდან შემოვიდა. შესაბამისად, რუსეთიდან აზერბაიჯანში ექსპორტირებული პროდუქტი მსგავსი ტრანსპორტირების საშუალებისა და მანძილის ფაქტორების საფუძველზე, რელევანტური შესადარისი ქვეყანაა საქართველოსთვის.

რუსული მხარის განცხადებით, ნორმალური ღირებულების დასადგენად შესაბამის მესამე ქვეყნად ყაზახეთი უნდა ჩაითვალოს, როგორც უფრო დიდი საექსპორტო ბაზრის მქონე სახელმწიფო. როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტომ შესაბამისი მესამე ქვეყნის შერჩევის პროცესში გაითვალისწინა, როგორც გეოგრაფიული, ასევე სავაჭრო რეჟიმებთან დაკავშირებული მსგავსებები. სააგენტოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მესამე ქვეყნად ყაზახეთის შერჩევა, იმის

⁸⁸ სააგენტოს წერილი N02/2068, N02/2069 (01/05/2025), N02/2253, N02/2254, N02/2255, N02/2257, N02/2256 (19/05/2025), N02/2266 (20/05/2025)

გათვალისწინებით, რომ ყაზახეთი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრია, რომელიც ასევე მოიცავს საბაჟო კავშირის წევრობას. რუსეთ-ყაზახეთის სავაჭრო რეჟიმი განსხვავდება რუსეთ-საქართველოს სავაჭრო რეჟიმისაგან, რაც განსხვავებულ საბაჟო პროცედურებსა და ექსპორტის გადასახადის განსხვავებულ ტარიფებს გულისხმობს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო ვერ გაითვალისწინებს რუსეთის მხარის მოსაზრებას ყაზახეთის შერჩევასთან დაკავშირებით.

დამატებით, რუსული მხარე მიუთითებს, რომ აზერბაიჯანი იყენებს GOST 34028-2016-ის სტანდარტს თავის ბაზარზე, რაც განსხვავდება სსტ ენ 10080:2005 სტანდარტისაგან, რომელიც გამოყენებულია საქართველოში. რუსული მხარის ინფორმაციით, აზერბაიჯანელი მომხმარებლები ყიდულობენ A500C კლასის პროდუქტებს. აქედან გამომდინარე, რუსული მხარის შეფასებით, ფასების შედარება საქართველოში ტრანსპორტირებულ B500B/B500C კლასის პროდუქციასა და აზერბაიჯანში მიწოდებულ A500C კლასის პროდუქტებს შორის მთლად სწორი არ არის. სააგენტოს დასაბუთება GOST სტანდარტის A500C კლასისა და ევროკავშირის სტანდარტის B500B/B500C კლასის არმატურის მსგავს პროდუქტად მიღებაზე წარმოდგენილია „2.2.4. შეჯამება შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი“ ქვეთავში.


დამატებით გასათვალისწინებელია, Abinsk Electric Steel Works-ის მიერ რუსეთიდან მესამე ქვეყანაში ექსპორტირებული პროდუქტის ფასის გამოყენებით ნორმალური ღირებულების დადგენის ალტერნატიული ქვეყნის შემოთავაზება. კომპანია ალტერნატივად უზბეკეთს ასახელებს და განმარტავს, რომ ქვეყანა არ არის ევრაზიული ეკონომიკური კავშირისა და საბაჟო კავშირის წევრი; ის წარმოადგენს რუსეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორს მეტალოპროდუქციით ვაჭრობაში; უზბეკეთის ბაზარზე მოქმედებს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი საკუთარი საბაჟო რეჟიმები და სატარიფო პროცედურები; შესაბამისად, მხარე მიიჩნევს, რომ უზბეკეთში მიწოდების საფასო პირობები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ობიექტურ ორიენტირად საბაზრო საექსპორტო ფასების განსასაზღვრად, რაც უზრუნველყოფს შედარების კორექტულობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესწავლის ორგანო მიიჩნევს, რომ ექსპორტიორი კომპანიის მიერ წარმოდგენილ პოზიციაში არ არის დასაბუთებული აზერბაიჯანში განხორციელებული ექსპორტის მონაცემების გამოყენების მიზანშეუწონლობა. უზბეკეთის მსგავსად, აზერბაიჯანიც არ არის ევრაზიული ეკონომიკური და საბაჟო კავშირის წევრი, ასევე წარმოადგენს შესწავლის ობიექტის მსგავსი პროდუქტის საექსპორტო ბაზარს. დამატებით გასათვალისწინებელია, რომ შესაბამის მესამე ქვეყნად აზერბაიჯანის შერჩევა განპირობებული იყო ორივე ქვეყნისათვის მსგავსი ტრანსპორტირების ხარჯების სტრუქტურით. იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთიდან საქართველოში ექსპორტირებული პროდუქტის დიდი ნაწილი აზერბაიჯანის გავლით რკინიგზით შემოდის, შესწავლის ორგანოსათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია აზერბაიჯანში ექსპორტირებული პროდუქტის ტრანსპორტირების საშუალო ხარჯების გათვლის შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება უზბეკეთში ექსპორტირებული პროდუქტის ტრანსპორტირების ღირებულებას, შესწავლის ორგანოს არ აქვს ინფორმაცია აღნიშნულ ხარჯებთან დაკავშირებით. ზემოთ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, შესწავლის ორგანო არ ეთანხმება შესაბამის მესამე ქვეყნად უზბეკეთის შერჩევის წინადადებას და მიზანშეუწონილად მიაჩნია აზერბაიჯანში ექსპორტირებული პროდუქტის ღირებულების გამოყენება.

იმის გათვალისწინებით, რომ არც აზერბაიჯანის და არც რუსეთის ოფიციალური სტატისტიკის ვებგვერდებზე ინფორმაცია ექსპორტ/იმპორტზე თვეებისა და სასაქონლო კოდების მიხედვით არ არის ხელმისაწვდომი, განცხადების დასაშვებობის ეტაპზე, ნორმალური ღირებულების დადგენის მიზნით, გამოყენებული იყო UN comtrade-ის მონაცემთა ბაზა. აღნიშნულ ეტაპზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ 2023 წლისთვის, თუმცა შესწავლის პროცესში ინფორმაციის განახლების შედეგად შესაძლებელი გახდა მთლიანი შესწავლის პერიოდისათვის ყოველთვიური მონაცემების ანალიზი.

რუსეთიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ექსპორტირებული შესწავლის ობიექტის მსგავს პროდუქტად საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 6-ნიშნა კოდების შესაბამისი პროდუქცია განისაზღვრა, რომელიც მოიცავს 721420 და 721499 კოდის ექსპორტირებულ არმატურასა და 731491 კოდით ექსპორტირებულ გლინულას.

გრაფიკი N1. შესწავლის პერიოდში რუსეთიდან აზერბაიჯანში ექსპორტირებული პროდუქტის რაოდენობა (ტონა)



წყარო: UN Comtrade Database, ავტორის გამოთვლები

რუსეთის ფედერაციიდან აზერბაიჯანში ექსპორტირებული პროდუქტის ღირებულების EXW ფასების დონეზე კორექტირების მიზნით, სააგენტომ შესწავლის ობიექტის მსგავსი პროდუქტის საბაჟო ღირებულებას გამოაკლო რუსეთიდან აზერბაიჯანში პროდუქტის რკინიგზით ტრანსპორტირების სავარაუდო ხარჯი, 2023 წლის ოქტომბრიდან რუსეთში მოქმედი ექსპორტის გადასახადი და ასევე საბაჟო გაფორმების სავარაუდო ხარჯები.

ექსპორტის გადასახადი აზერბაიჯანში რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს⁸⁹ მიერ დაწესებული ტარიფისა (2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში 7%, ხოლო 2023 წლის დეკემბერსა და 2024 წლის იანვარში - 5,5%) და აზერბაიჯანში ექსპორტირებული პროდუქტის ყოველთვიური ღირებულების მიხედვით იქნა გამოთვლილი.

ტრანსპორტირების ხარჯთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ საქართველოში იმპორტირებული შესწავლის ობიექტი რკინიგზით აზერბაიჯანის გავლით შემოდის. სააგენტომ

⁸⁹ ტარიფის შემოდების შესახებ რუსეთის ფედერაციის 2023 წლის 21 სექტემბრის N1538 დადგენილება, <http://static.government.ru/media/files/xvETAZEiRAJlRMO5DsH3S2ZbwlwBA0Ts.pdf>

ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოიანგარიშა რუსეთიდან აზერბაიჯანის საბაჟო საზღვრამდე, იალამას სადგურამდე, რკინიგზის სავარაუდო ხარჯები. რუსეთიდან აზერბაიჯანის საზღვარზე არმატურის ტრანსპორტირების ღირებულების დადგენისათვის, სააგენტომ შესწავლის პერიოდში საქართველოში იმპორტირებული ერთი ტონა პროდუქტის საშუალო ხარჯი გამოიანგარიშა და აღნიშნული მაჩვენებლის გამოყენებით აზერბაიჯანში რუსეთიდან ექსპორტის სატრანსპორტო ხარჯი იმპორტის მოცულობის შესაბამისად გამოთვალა.


რაც შეეხება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ღირებულებას, სააგენტომ სავარაუდო ხარჯის დადგენისათვის სს „აზერბაიჯანის რკინიგზის“ ღირებულების კალკულატორი გამოიყენა. რუსეთ-აზერბაიჯანის ტრანსპორტირების ღირებულების მსგავსად, იალამას სადგურიდან ბაქომდე მანძილის გათვალისწინებით ერთი ტონა არმატურის საშუალო ტრანსპორტირების ხარჯის გამოთვლის საფუძველზე, სააგენტომ დაადგინა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არმატურის ტრანსპორტირების სავარაუდო ხარჯები.

სააგენტომ მსგავსი მიდგომა გამოიყენა საბაჟო გაფორმების ხარჯებთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟო გაფორმების ხარჯები რუსეთიდან საქართველოსა და აზერბაიჯანში პროდუქტის ექსპორტისას არ იცვლება, შესწავლის პერიოდში საქართველოში ერთ ტონა პროდუქტზე საშუალოდ გადახდილი საბაჟო მოსაკრებელი გამოყენებულ იქნა რუსეთიდან აზერბაიჯანში ექსპორტირებული პროდუქტის რაოდენობის გათვალისწინებით.

შესწავლის პერიოდში რუსეთის ექსპორტმა აზერბაიჯანში 14.2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 23,252 ტონა არმატურა და 22.4 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 37,177 ტონა გლინულა შეადგინა. ამ პერიოდში ერთი ტონა არმატურის საშუალო სატრანსპორტო და საბაჟო ხარჯმა 43 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო გლინულის შემთხვევაში 47 აშშ დოლარი.

შეჯამების სახით, შეილება ითქვას, რომ შესწავლის პერიოდში რუსეთიდან აზერბაიჯანში ექსპორტირებული არმატურის საშუალო EXW ფასმა 566 აშშ დოლარი, ხოლო გლინულის ფასმა 557 აშშ დოლარის შეადგინა. რუსეთიდან აზერბაიჯანში ექსპორტირებული საქონლის ტრანსპორტირების და სხვა საბაჟო ხარჯებმა საშუალოდ 45 დოლარი შეადგინა.

გრაფიკი N2. შესწავლის პერიოდში შესწავლის ობიექტის ნორმალური ღირებულება თვეების მიხედვით



წყარო: UN Comtrade Database, ავტორის გამოთვლები

რუსეთის ფედერაციიდან მესამე ქვეყანაში ექსპორტირებული საქონლის ღირებულების გამოყენებით ნორმალური ღირებულების დადგენის ალტერნატივასთან დაკავშირებით ადგილობრივი ინდუსტრიის პოზიცია დაფიქსირებულია რუსთავის ფოლადის მიერ წარმოდგენილ წერილში⁹⁰. რუსთავის ფოლადი ეწინააღმდეგება რუსეთიდან აზერბაიჯანში საქსპორტო ფასის გამოყენებას, იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს, არის თუ არა აღნიშნული ფასი ასევე დემპინგური. ადგილობრივი ინდუსტრია ასევე აღნიშნავს, რომ ევროკავშირს არასდროს არ გამოუყენებია წარმოდგენილი მეთოდოლოგია ნორმალური ღირებულების დადგენისათვის.

სააგენტომ ითვალისწინებს ადგილობრივი ინდუსტრიის კომენტარს აღნიშნული მეთოდით ნორმალური ღირებულების დადგენასთან დაკავშირებით. აზერბაიჯანის მხრიდან რუსეთიდან იმპორტირებულ არმატურაზე ანტიდემპინგური შესწავლა არ განხორციელებულა, შესაბამისად, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას დაადგინოს არის თუ არა წარმოდგენილი ფასი დემპინგური.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ფასებთან დაკავშირებით, სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით, ანტიდემპინგური შესწავლის პერიოდში რუსეთის ინდუსტრიისა და ვაჭრობის სამინისტროს განცხადებით⁹¹ რუსეთის ბაზარზე არმატურის ფასების უსაფუძვლო ზრდა ფიქსირდება. აღნიშნული საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით რუსეთის სამინისტრომ რუსეთის ფედერალურ ანტიმონოპოლიურ სამსახურს მიმართა. დამატებით, გასათვალისწინებელია, რომ 2021 წელს რუსეთის ფედერალურმა ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ბაზარზე ძირითად მოთამაშეებს შორის კარტელური შეთანხმების მიმანიშნებელი გარემოებები დაადგინა⁹², რაც საქონლის გასაყიდი ფასის ზრდას ემსახურებოდა.

სააგენტომ ვერ მოიძია რუსეთის ფედერალური ანტიმონოპოლიურ სამსახურის დოკუმენტაცია და დასკვნები ინდუსტრიაში განხორციელებულ და მიმდინარე შესწავლასთან დაკავშირებით. ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, სააგენტომ რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართა⁹³, თუმცა რუსული მხარის განმარტებები ფოლადის წარმოების ბაზრის კონკურენტულ გარემოზე არ მიუღია.

სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ადგილობრივ ბაზარზე არსებული ფასების სამართლიანი შედარების უზრუნველყოფის მიზნით ნორმალური ღირებულების დადგენის პროცესში შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინება, მათ შორის, წარმოებაში ენერჯის ხარჯების, ტრანსპორტირების ხარჯებისა და ბაზარზე კონკურენციის პირობების პროდუქტის ფასებზე გავლენის შესწავლა. თუმცა, სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა აღნიშნული ფაქტორების მიხედვით ფასის დადგენის შესაძლებლობას.

⁹⁰ სააგენტოში შემოსული წერილი N01/5974 (25.11.2024)

⁹¹ RosBiznesConsulting, პრეს რელიზი, 03.2023, <https://www.rbc.ru/business/10/03/2023/640b3d879a7947a39b6884c3>

⁹² რუსული ანტიმონოპოლიური ორგანო, NLMK PJSC / Tulachermet-Steel / PMH Management, პრეს რელიზი, 08.2021, <https://www.concurrences.com/en/bulletin/news-issues/august-2021/the-russian-competition-authority-conducts-anticartel-inspections-of-the>


⁹³ სააგენტოს წერილი N02/3376 (13/09/2024)

3.1.2. ირანის ისლამური რესპუბლიკა

ირანში ადგილობრივი მოხმარებისათვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის ფასის დადგენისათვის გამოყენებულია განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაცია. კერძოდ, შესწავლის ობიექტის ნორმალური ღირებულების საშუალო ღირებულება დადგენილია www.irsteel.com - ვებგვერდზე არსებული არმატურის EXW საშუალო თვიური ღირებულების მიხედვით. აღნიშნული პლატფორმა მიზნად ისახავს ირანში ბაზრის სიახლეებზე, სექტორის ეკონომიკურ ანალიზზე და ადგილობრივ და გლობალურ ფასებზე ინფორმაციის უზრუნველყოფას. საზგასამელია, რომ ვებგვერდზე წარმოდგენილი პროდუქტის საშუალო ფასები ეფუძნება ირანის მეტალის ბირჟის მონაცემებს.⁹⁴

გრაფიკი N3-ზე წარმოდგენილია შესწავლის პერიოდში, ირანის ადგილობრივ ბაზარზე ფოლადისაგან წარმოებული არმატურის საშუალო თვიური ღირებულება EXW-ის დონეზე. 2023 წლის პირველი სამი თვის მანძილზე არმატურის საშუალო ღირებულების მზარდი ტენდენცია ფიქსირდება და ერთი ტონის ღირებულება, პერიოდის მაქსიმუმს, 883 აშშ დოლარს აღწევს. 2023 წლის აპრილიდან ადგილობრივ ბაზარზე კლების ტენდენცია ვლინდება და 690 აშშ დოლარიდან, 2024 წლის იანვრისათვის 572 აშშ დოლარამდე მცირდება (11%-იანი კლება).

გრაფიკი N3. ირანის ადგილობრივ ბაზარზე შესწავლის ობიექტის მსგავსი პროდუქტის ნორმალური ღირებულება (EXW, USD)



წყარო: საქართველოს მწარმოებელთა ასოციაციის განცხადება

ანტიდემპინგური შესწავლის პროცესში არმატურისა და გლინულის ფიზიკური მახასიათებლების, სტანდარტებისა და პროდუქტის მოხმარების მიმართულებით არსებული განსხვავებების გამოვლენის შედეგად, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია დემპინგური ზღვრის დადგენის პროცესში წარმოდგენილი ორი პროდუქტის ცალ-ცალკე განხილვა.

საყურადღებოა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებულ ვებგვერდზე ირანის ადგილობრივ ბაზარზე გლინულის ღირებულებაზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. სააგენტომ გლინულის ფასზე ინფორმაცია ასევე ვერ მოიძია სხვა საჯარო წყაროებიდან. აღნიშნულის

⁹⁴ ირანის სავაჭრო ბირჟა - <https://en.ime.co.ir/IMEataGlance.html>

გათვალისწინებით, სააგენტოს არ გააჩნია ირანის ბაზარზე გლინულის ნორმალური ღირებულების დადგენისათვის საკმარისი ინფორმაცია.

3.2. საექსპორტო ფასი

შესწავლის ობიექტის საექსპორტო ფასის დასადგენად გამოყენებულია შემოსავლების სამსახურიდან მოძიებული ინფორმაცია პროდუქტის იმპორტის საბაჟო ღირებულებაზე. აღსანიშნავია, რომ შემოსავლების სამსახურის მონაცემები მოიცავს მიწოდების პირობების INCOTERMS-ის CPT (ფრანტი გადახდილია მითითებულ დანიშნულების ადგილამდე) ფასებს⁹⁵. შესაბამისად, ფასების EXW-ის მიწოდების პირობებამდე შესწორების მიზნით, იმპორტის ღირებულებას გამოაკლდა ტრანსპორტირების და სხვა საბაჟო ხარჯები.

3.2.1. რუსეთის ფედერაცია

შესწავლის პერიოდში რუსეთიდან იმპორტირებული შესწავლის ობიექტის საექსპორტო ფასის დასადგენად გამოყენებულია ინფორმაცია რუსეთიდან პროდუქტის იმპორტის ღირებულებაზე, რომლის მიწოდების პირობების EXW დონეზე კორექტირება რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა.

პირველ ეტაპზე შესწავლის ორგანომ შესწავლის პერიოდში რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქტი ტრანსპორტირების სახეობის, საქართველოში საზღვრის გადმოკვეთის პუნქტისა და ტვირთის წარმოშობის რეგიონის მიხედვით შეაფასა. როგორც ცხრილი N14-ის მიხედვით იკვეთება, შესწავლის პერიოდში შესწავლის ობიექტის მოცულობის %-ის იმპორტი სარკინიგზო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა. ძირითად საბაჟო გამშვებ პუნქტს გარდაბანის სადგური წარმოადგენდა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ შესწავლის პერიოდში რუსეთიდან იმპორტის მოცულობის % ტულას რეგიონიდან, % კრასნოდარის რეგიონიდან, % სარატოვის რეგიონიდან, ხოლო დარჩენილი % სხვა რეგიონებიდან ხორციელდებოდა.

ცხრილი N14. რუსეთიდან იმპორტირებული შესწავლის ობიექტი წარმოშობის რეგიონისა და ტრანსპორტის სახეობის მიხედვით

რეგიონი	ტრანსპორტის სახეობა	საბაჟო გამშვები პუნქტი	შესწავლის ობიექტის მოცულობა (ტონა)
ტულა	სარკინიგზო ტრანსპორტი	გარდაბანი	
ტულა	სარკინიგზო ტრანსპორტი	სადახლო	
კრასნოდარი	სარკინიგზო ტრანსპორტი	გარდაბანი	
კრასნოდარი	სახმელეთო ტრანსპორტი	წითელი ხიდი	
კრასნოდარი	სახმელეთო ტრანსპორტი	ყაზბეგი	
სარატოვი	სარკინიგზო ტრანსპორტი	გარდაბანი	

⁹⁵ CPT (carriage paid to ...) ფრანტი გადახდილია (მითითებულ დანიშნულების ადგილამდე) მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ნებისმიერი ტიპის ტრანსპორტით, ასევე შესაძლებელია მულტიგადაზიდვაც. გამყიდველი იხდის საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადებისა და შიდა ტრანსპორტირების ხარჯებს, აგრეთვე დასახელებულ ადგილამდე საქონლის მისატანად აუცილებელ ხარჯებს, მაგრამ არ იღებს თავის თავზე საქონლის დაკარგვა/დაზიანების რისკს. მყიდველი თავის თავზე იღებს საქონლის მისატანად აუცილებელ ხარჯებს და რისკს მას შემდეგ, რაც საქონელი მიეწოდება მის მიერ დასახელებულ პირველ გადამზიდვას.

სარატოვი	სახმელეთო ტრანსპორტი	ყაზბეგი	
დანარჩენი	სარკინიგზო ტრანსპორტი	გარდაბანი	
დანარჩენი	სახმელეთო ტრანსპორტი	ყაზბეგი	
დანარჩენი	სახმელეთო ტრანსპორტი	სარფი	
დანარჩენი	სახმელეთო ტრანსპორტი	წითელი ხიდი	

წყარო: შემოსავლების სამსახური

იმპორტიორი კომპანიების მიერ წარმოდგენილ საბაჟო დოკუმენტაციასა და შემოსავლების სამსახურიდან მოძიებულ დოკუმენტაციაში ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით, საექსპორტო ფასის დადგენისათვის გამოვიყენეთ ტულას, კრასნოდარისა და სარატოვის რეგიონიდან სარკინიგზო ტრანსპორტით გარდაბნის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით იმპორტირებული შესწავლის ობიექტის ფასი. შესწავლის პერიოდში, აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული იმპორტი შესაბამისი პროდუქტის მთლიანი იმპორტის 97%-ს შეადგენს. შერჩეული რეგიონებიდან იმპორტირებული პროდუქტის ფასის საფუძველზე საექსპორტო ფასის დადგენა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სააგენტოს საბაჟო დოკუმენტაციიდან მხოლოდ აღნიშნული სამი რეგიონიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე სარკინიგზო ტრანსპორტის ღირებულებაზე ჰქონდა ინფორმაცია.

იმპორტის საბაჟო ღირებულების EXW ფასის დონეზე კორექტირებისათვის, პირველ რიგში პროდუქტის ღირებულებაში რუსეთში მოქმედი ექსპორტის გადასახადი იქნა გათვალისწინებული. რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით 2023 წლის 1 ოქტომბრიდან ფოლადის განსაზღვრულ პროდუქტებზე დოლარის გაცვლით კურსზე მიბმული ექსპორტის გადასახადი დაწესდა. მთავრობის 2023 წლის 21 სექტემბრის N1538 დადგენილების მიხედვით⁹⁶, ექსპორტის გადასახადი ცხრილი N15-ში მოცემული სქემით განისაზღვრება.

ცხრილი N15. რუსეთის ფედერაციის ექსპორტის გადასახადის განაკვეთი

ექსპორტის გადასახადი, %	აშშ დოლარი/რუბლის გაცვლითი კურსი
0	<80
4	80-85
4.5	85-90
5.5	90-95
7	>95

წყარო: რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილება N1538

ექსპორტის გადასახადის გარეშე შესწავლის ობიექტის საბაჟო ღირებულების გამოთვლის შემდეგ, სააგენტომ ასევე გაითვალისწინა რუსეთში არსებული საბაჟო გაფორმების ხარჯები და თითოეული ტრანზაქციის მიხედვით საქონლის ღირებულებას შესაბამისი ხარჯი გამოაკლო. საბაჟო გაფორმების ხარჯები დგინდება ექსპორტირებული ტვირტის ღირებულების მიხედვით რუსეთის ფედერაციის მთავრობის 2020 წლის 26 მარტის N342 დადგენილების⁹⁷ საფუძველზე.

⁹⁶ ტარიფის შემოდების შესახებ რუსეთის ფედერაციის 2023 წლის 21 სექტემბრის N1538 დადგენილება, <http://static.government.ru/media/files/xvETAZEiRAjIRmO5DsH3S2ZbwlwBA0Ts.pdf>

⁹⁷ რუსეთის ფედერაციის მთავრობის 2020 წლის 26 მარტის N342 დადგენილება, <https://normativ.kontur.ru/document?moduleId=1&documentId=448659#l2>

შემდეგ ეტაპზე შესწავლის ობიექტის ღირებულება სატრანსპორტო ხარჯების გათვალისწინებით დაკორექტირდა. როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთის ფედერაციიდან აზერბაიჯანის სასაზღვრო გამშვებ პუნქტ იალამას სადგურამდე ტრანსპორტირების ღირებულება იმპორტიორი კომპანიების საბაჟო დოკუმენტაციის საფუძველზე განისაზღვრა. სააგენტომ შესწავლის პერიოდში ტულას, კრასნოდარისა და სარატოვის რეგიონების შესაბამისი ქალაქებიდან ექსპორტირებული პროდუქტის ტრანზაქციებზე ხელმისაწვდომი ინფორმაციით ერთ ვაგონზე საშუალო ფასი გამოითვალა.

შესწავლის ობიექტის საბაჟო ღირებულებიდან ექსპორტის გადასახადის, საბაჟო მოსაკრებლისა და რუსეთის ტერიტორიაზე რკინიგზის ღირებულების გამოკლების მიზნით, სააგენტომ საქონლის ღირებულება დოლარიდან რუბლში გადაიტანა. ვალუტის კონვერტაციისთვის, სააგენტომ ტრანზაქციის თარიღის მიხედვით რუსეთის ცენტრალური ბანკის ყოველდღიური გაცვლითი კურსი⁹⁸ გამოიყენა.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რკინიგზით ტრანსპორტირების ღირებულების დადგენის მიზნით სააგენტომ გამოიყენა სს „აზერბაიჯანის რკინიგზის“ ვებგვერდზე წარმოდგენილი [ტარიფის კალკულატორი](#). იმის გათვალისწინებით, რომ შესწავლის ობიექტის გარდაბნის საბაჟო გამშვები პუნქტიდან შემოტანისას ყველა ტვირთი აზერბაიჯანის გავლით იალამას სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან ბეიუკ-კასიკის სასაზღვრო გამშვებ პუნქტამდე არის ტრანსპორტირებული, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ტარიფი დადგინდა წარმოდგენილ ორ სადგურს შორის ერთი ვაგონის საშუალო ღირებულების გათვალისწინების საფუძველზე.

რაც შეეხება საქართველოს რკინიგზის ტარიფებს, იგი რეგულირდება სს „საქართველოს რკინიგზის“ ღირუქტორთა საბჭოს 29 ნოემბრის №30/50 დადგენილებით „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები“⁹⁹. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, ტვირთის გადაზიდვის ღირებულება განისაზღვრება სადგურებს შორის გადაზიდვის მანძილის შესაბამისად. საქართველოს რკინიგზის მეშვეობით გადაზიდვისას სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში აზერბაიჯანის გავლით ტრანსპორტირების მანძილი აითვლება საზღვრიდან გარდაბნის სადგურამდე 9 კმ და გარდაბნიდან თბილისამდე 37 კმ. აღნიშნული მანძილის გათვალისწინებით, სააგენტომ დადგენილებაში წარმოდგენილი კოეფიციენტების გამოყენებით გამოითვალა ერთი ვაგონის გადაზიდვის საშუალო ღირებულება.

ზემოთ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, რუსეთიდან შესწავლის ობიექტის საქსპორტო ფასის გამოთვლის შედეგები წარმოდგენილია ცხრილი N16-ში. პროდუქტის საბაჟო ღირებულების INCOTERMS-ის CPT ფასიდან, EXW ფასამდე მისადაგების პროცესში გამოიკვეთა, რომ შესწავლის პერიოდში არმატურის ექსპორტის, საბაჟო და ტრანსპორტირების ხარჯებმა 60.7 აშშ დოლარი, ხოლო გლინულის შემთხვევაში 59.4 აშშ დოლარი შეადგინა.

⁹⁸ რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი, https://www.cbr.ru/eng/currency_base/dynamics/

⁹⁹ იხ. <https://www.railway.ge/satarifo-politika/>

ცხრილი N16. შესწავლის პერიოდში რუსეთიდან შესწავლის ობიექტის საექსპორტო ფასი (აშშ დოლარი)

თარიღი	მოცულობა (ტონა)	ღირებულება (CPT)	ღირებულება (EXW)	საექსპორტო ფასი (CPT)	საექსპორტო ფასი (EXW)
არმატურა					
01.2023	4,616	2,882,519	2,690,888	625	583
02.2023	4,337	2,649,419	2,502,629	611	577
03.2023	3,405	2,232,801	2,088,851	656	614
04.2023	3,549	2,342,082	2,179,224	660	614
05.2023	7,745	4,740,284	4,382,748	612	566
06.2023	7,464	4,372,679	4,071,293	586	545
07.2023	11,003	6,446,088	5,963,150	586	542
08.2023	3,889	2,200,843	2,035,812	566	523
09.2023	12,637	6,867,563	6,304,511	543	499
10.2023	4,375	2,395,256	2,086,484	547	477
11.2023	18,551	10,403,283	8,886,031	561	479
12.2023	15,569	9,166,928	7,958,465	589	511
01.2024	22,932	13,937,049	12,196,097	608	532
IP	120,070	70,636,793	63,346,183	588	528
გლინულა					
01.2023	268	173,298	161,135	646	601
02.2023	197	128,888	122,965	655	625
03.2023	2,088	1,253,074	1,160,535	600	556
04.2023	523	343,569	313,988	657	600
05.2023	261	161,871	147,357	620	564
06.2023	1,179	700,143	634,775	594	539
07.2023	389	223,777	207,567	575	533
08.2023					
09.2023	1,042	567,929	519,041	545	498
10.2023	529	296,275	253,200	560	479
11.2023					
12.2023	2,988	1,673,514	1,439,942	560	482
01.2024					
IP	9,465	5,522,338	4,960,505	583	524

წყარო: შემოსავლების სამსახური, ავტორის გამოთვლები

3.2.2. ირანის ისლამური რესპუბლიკა

შესწავლის პერიოდში ირანიდან იმპორტირებული პროდუქტის საშუალო ფასები წარმოდგენილია ცხრილი N17-ში. შესწავლის ობიექტის საექსპორტო ფასის ნორმალურ ღირებულებასთან შესადარისი მიწოდების პირობების (EXW) დონეზე კორექტირებისათვის პროდუქტის საბაჟო ღირებულებას გამოკლებულია სავარაუდო ტრანსპორტირების ხარჯები.

შემოსავლების სამსახურის მონაცემებით შესწავლის ობიექტის საბაჟო ღირებულება INCOTERMS-ის CPT ფასების დონეზეა წარმოდგენილი. სააგენტომ ღირებულების EXW დონეზე მისადაგების მიზნით, შეისწავლა როგორც იმპორტიორი კომპანიების მიერ წარმოდგენილი საბაჟო დოკუმენტაცია, ასევე მისთვის საჯაროდ ხელმისაწვდომი სხვა წყაროები. აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ იმპორტიორების მიერ წარმოდგენილი კითხვარების პასუხები და საბაჟო დოკუმენტაცია ტრანსპორტირების ღირებულების დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა.

დამატებით აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტირებასა და სხვა საბაჟო ხარჯებზე ინფორმაცია გამოთხოვილი იყო ექსპორტიორი კომპანიებისათვის გაგზავნილი კითხვარებით, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, არც ერთმა კომპანიამ არ წარმოადგინა შესაბამისი ინფორმაცია. ექსპორტიორი კომპანიების მხრიდან თანამშრომლობაზე უარის გათვალისწინებით, სააგენტომ შესწავლის ობიექტის საბაჟო დოკუმენტაციიდან დააიდენტიფიცირა სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიები, რომლებიც შესწავლის პერიოდში უზრუნველყოფდნენ აღნიშნული ტვირთის ტრანსპორტირებას. ტრანსპორტირების ხარჯებზე ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით სააგენტომ 5 კომპანიას მიმართა, თუმცა არცერთმა კომპანიამ არ ითანამშრომლა შესწავლის პროცესში.

ირანიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქტის ტრანსპორტირების ხარჯებთან დაკავშირებით, სააგენტოსთვის ცნობილია მხოლოდ განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც გადამოწმდა ერთ-ერთი კომპანიის მიერ 2023 წელს ირანის ქალაქ თავრიზიდან თბილისამდე ერთი სატვირთო მანქანის, 24 ტონა არმატურის, ტრანსპორტირების ღირებულების დადგენით. კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოთხოვილი ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია შესაბამისი დასკვნა მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიმუშაოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ განცხადებაში წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმებისა და სატრანსპორტო კომპანიისგან სატელეფონო კომუნიკაციით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოითვალა ირანიდან საქართველოში ერთი ტონა ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯი და შესწავლის ობიექტის საბაჟო ღირებულება აღნიშნული ფასის გათვალისწინებით დააკორექტირა. სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით, ირანიდან საქართველოში ერთი ტონა არმატურის ტრანსპორტირების საშუალო ფასი 56 აშშ დოლარს შეადგენს.

ცხრილი N17. შესწავლის პერიოდში ირანიდან იმპორტირებული შესწავლის ობიექტის საექსპორტო ფასი (აშშ დოლარი)

არმატურა					
თარიღი	მოცულობა (ტონა)	ღირებულება (CPT)	ღირებულება (EXW)	საექსპორტო ფასი (CPT)	საექსპორტო ფასი (EXW)
01.2023	3,328	1,872,587	1,685,409	563	506
02.2023	2,985	1,736,620	1,568,709	582	526
03.2023	4,244	2,497,932	2,259,218	589	532
04.2023	2,594	1,587,284	1,441,357	612	556
05.2023	4,258	2,549,939	2,310,420	599	543
06.2023	3,863	2,277,061	2,059,753	589	533
07.2023	3,223	1,846,094	1,664,824	573	517
08.2023	5,020	2,789,503	2,507,138	556	499
09.2023	4,053	2,204,747	1,976,783	544	488
10.2023	5,017	2,713,945	2,431,756	541	485
11.2023	8,850	4,893,807	4,396,014	553	497
12.2023	8,069	4,511,267	4,057,360	559	503
01.2024	10,892	5,959,170	5,346,482	547	491
IP	66,395	37,439,955	33,705,222	564	508

წყარო: შემოსავლების სამსახური, ავტორის გამოთვლები

3.3. ფასების შედარება

რუსეთიდან და ირანიდან იმპორტირებული შესწავლის ობიექტის საექსპორტო ფასისა და ნორმალური ღირებულების შედარებისათვის, კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოყენებულია სააგენტოს ხელთ არსებული მონაცემები.

ხაზგასასმელია, რომ სააგენტომ ყველა დაინტერესებულ მხარეს წერილობით გაუგზავნა შუალედური ანგარიში¹⁰⁰, სადაც წარმოდგენილი იყო ინფორმაცია ნორმალური ღირებულებისა და საექსპორტო ფასის დადგენის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. ანგარიში, ასევე მოიცავდა მითითებას იმაზე, რომ სააგენტო აგრძელებდა მუშაობას დამატებითი მონაცემების დამუშავების კუთხით. აღნიშნული წერილის მეშვეობით სააგენტომ კიდევ ერთხელ მისცა შესაძლებლობა დაინტერესებულ მხარეებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია და წარედგინათ ნორმალური ღირებულების დადგენისათვის საჭირო ინფორმაცია.

მიუხედავად ამისა, ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით კომენტარი მხოლოდ Abinsk Electric Steel Works-მა წარმოადგინა. როგორც უკვე აღინიშნა, მხარის პოზიცია არ იყო დაკავშირებული განხორციელებული გამოთვლების შესწორებებთან, არამედ ნორმალური ღირებულების დათვლის პროცესში აზერბაიჯანის ნაცვლად, სხვა ქვეყანაში ექსპორტის ფასის გამოყენებაზე იყო მიმართული, რაც დეტალურად არის განხილული რუსეთის ფედერაციაში ნორმალური ღირებულების დადგენის 3.1.2. ქვეთავში.

¹⁰⁰ სააგენტოს წერილი N02/2068, N02/2069 (01/05/2025), N02/2253, N02/2254, N02/2255, N02/2257, N02/2256 (19/05/2025), N02/2266 (20/05/2025)

იმის გათვალისწინებით, რომ წესის მე-8 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, იმპორტიორთა და ექსპორტიორთა დიდი რაოდენობის გამო, სააგენტოს მიერ განხორციელდა დაინტერესებული პირების შერჩევა და ამასთანავე, ექსპორტიორმა კომპანიებმა არ წარმოადგინეს გამოთხოვილი ინფორმაცია, დემპინგური ზღვრის დადგენისთვის გამოყენებული იმპორტირებული პროდუქტის საშუალო შეწონილი საექსპორტო ფასები. რაც შეეხება ნორმალური ღირებულების განსაზღვრას, რუსეთის შემთხვევაში გამოყენებულია მესამე ქვეყანაში ექსპორტირებული მსგავსი პროდუქტის საშუალო შეწონილი ფასები, ხოლო ირანის შემთხვევაში ადგილობრივი ბაზრისათვის განკუთვნილი არმატურის საშუალო ღირებულება.

შესაბამისად, სააგენტოსათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ცხრილი N18-ში წარმოდგენილია EXW ფასების დონეზე კორექტირებული რუსეთიდან საქართველოსა და აზერბაიჯანში ექსპორტირებული პროდუქტის საშუალო შეწონილი ღირებულება, ასევე, EXW ფასების დონეზე კორექტირებული ირანიდან საქართველოში ექსპორტირებული პროდუქტის საშუალო შეწონილი ღირებულება და ირანის ადგილობრივი მოხმარებისათვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის საშუალო ღირებულება. დემპინგური ზღვარი შემუშავებულია – ნორმალურ ღირებულებასა და საექსპორტო ფასს შორის სხვაობის საფუძველზე, რომელიც CPT- დონეზე საექსპორტო ფასის მიმართ პროცენტული მაჩვენებლით არის გამოსახული.

ცხრილი N18. დემპინგური ზღვარი

	ნორმალური ღირებულება	საექსპორტო ფასი (EXW)	საექსპორტო ფასი (CPT)	დემპინგური ზღვარი
რუსეთის ფედერაცია	566	528	588	6%
ირანის ისლამური რესპუბლიკა	645	508	564	24%

წყარო: შემოსავლების სამსახური, განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ავტორის გამოთვლები

რაც შეეხება გლინულას, 2023 წელს საქართველოში მოხმარებული პროდუქტის 60%-მდე, ხოლო 2024 წელს 90% ირანიდან იყო იმპორტირებული. იმის გათვალისწინებით, რომ ძირითად ექსპორტიორ ქვეყანაში გლინულას ნორმალურ ღირებულებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია, ფასების შედარების ნაწილში მხოლოდ იმპორტირებული არმატურის საექსპორტო ფასისა და მისი მსგავსი პროდუქტის ნორმალური ღირებულების შედარება.

4. ზიანი

კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, დემპინგური იმპორტით ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანის ან მისთვის ზიანის მიყენების საფრთხის დადგენა და მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ხორციელდება დემპინგური იმპორტის მოცულობის, აგრეთვე დემპინგური იმპორტის ადგილობრივ ბაზარზე მსგავსი პროდუქტის ფასებზე გავლენისა და ამ პროდუქტის ადგილობრივ მწარმოებლებზე გავლენის ანალიზის საფუძველზე.

ზიანის შეფასების მიმართულებით გამოყენებული მაჩვენებლები მოიცავს 2021-2024 წლებსა და შესწავლის პერიოდს. ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის შეფასება მოიცავს სამ ძირითად საკითხს, კერძოდ, საქართველოში პროდუქტის მოხმარებისა და ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების დინამიკის, დემპინგური იმპორტის ფასების ადგილობრივი ინდუსტრიის ფასებზე გავლენისა და ადგილობრივი ინდუსტრიის ეკონომიკური ინდიკატორების შეფასებას. ადგილობრივი ინდუსტრიის ეკონომიკური ინდიკატორების მიმართულებით, წესის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რელევანტურია გაყიდვების, საბაზრო წილის, წარმოების, საწარმოო სიმძლავრეთა დატვირთულობის, დასაქმებისა და პროდუქტიულობის, მოგების, საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და განხორციელებული ინვესტიციების დინამიკის შეფასება.

ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის ინდიკატორები ცალ-ცალკე გლინულასა და არმატურაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიხედვით არის წარმოდგენილი. პროდუქტის სახეობები გამოყოფილია საქართველოში შესწავლის ობიექტისა და მსგავსი პროდუქტის მოხმარების, იმპორტისა და ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების მიმართულებით. იმის გათვალისწინებით, რომ დანარჩენი ინდიკატორების შეფასება ადგილობრივი მწარმოებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა და მათი სეგრეგირება გლინულისა და არამტურის წარმოებისათვის ცალ-ცალკე სირთულეებთან არის დაკავშირებული, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული ინდიკატორების ერთიანი შეფასება.

დამატებით, იმის საფუძველზე, რომ ზიანი დადგენის ნაწილში შესწავლისათვის გათვალისწინებულ პერიოდად 2021 წლიდან შესწავლის დასრულებამდე პერიოდი არის განსაზღვრული, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ანგარიშში წარმოდგენილია 2025 წლის 8 თვის მაჩვენებლებიც.

4.1. შესწავლის ობიექტის მოხმარება საქართველოში

საქართველოში დაბალნახშირბადოვანი ფოლადისაგან წარმოებული არმატურისა და გლინულის მთლიანი მოხმარების შეფასებისათვის გამოყენებულია გათვალისწინებულ პერიოდში სააგენტოსთვის ცნობილი ადგილობრივი მწარმოებლების გაყიდვების მაჩვენებლები და შერჩეული HS კოდების მიხედვით შესაბამისი დასახელების მქონე პროდუქტის სახეობის მთლიანი იმპორტის მაჩვენებლები. მთლიანი მოხმარების დადგენისათვის, ადგილობრივი მწარმოებლებისა და იმპორტიორი კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია გადამოწმებულია შემოსავლების სამსახურიდან მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე.

ცხრილი N19-ში იკვეთება რომ 2021-2024 წლებში, საქართველოში არმატურის მოხმარება რაოდენობრივ ჭრილში მკვეთრად არის გაზრდილი. ამ პერიოდში, ნაერთი წლიური ზრდის მაჩვენებელმა (CAGR) 14% შეადგინა. ამასთანავე, საზგასასმელია, რომ შესწავლის პერიოდში

არმატურის მოხმარების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება და 2021 წლის მაჩვენებელს 38%-ით აღემატება.

რაც შეეხება მოხმარებული არმატურის ჯამური ღირებულებას, ამ მიმართულებით 2021-2023 წლების პერიოდში უარყოფითი ტენდენცია ვლინდება, რაც გაზრდილი მოცულობის ფონზე, საქონლის საშუალო ღირებულების შემცირებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება 2021-2024 წლებს, არმატურის ჯამური ღირებულების ნაერთი წლიური ზრდა 3%-ს შეადგენს.

ცხრილი N19. არმატურის მოხმარება საქართველოში

	2021	2022	2023	2024	IP
მოხმარება (ტონა)	406,093	445,830	508,977	609,329	559,271
ინდექსი	100	110	125	150	138
მოხმარება (ლარი)	899,844,231	957,365,432	827,448,395	976,274,730	908,994,780
ინდექსი	100	106	92	108	101

წყარო: შემოსავლების სამსახური

დამატებით, მნიშვნელოვანია 2025 წელს საქართველოში არმატურის მოხმარების ტენდენციების გათვალისწინება. 2025 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, არმატურის მთლიანმა მოხმარებამ 366.5 ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, მთლიანი მოხმარების 3%-იან კლებაზე მიუთითებს. რაც შეეხება მთლიანი მოხმარების ტენდენციას ღირებულების ნაწილში, 2025 წელს წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით მოხმარება ასევე 3%-ით არის შემცირებული.

2021-2024 წლებში გლინულის გაყიდვების რაოდენობრივი შეფასებით (ცხრილი N20), იკვეთება, რომ ამ პერიოდში საქონლის მოხმარების ნაერთმა წლიურმა ზრდამ 15% შეადგინა, ხოლო ღირებულებით ჭრილში, შესაბამისი ზრდის მაჩვენებელი 1%-ია. შესწავლის პერიოდში გლინულის წილი არამტურისა და გლინულის მთლიან მოხმარებაში 6% იყო. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ 2023-2024 წლებში გლინულის მოხმარების მაჩვენებელი 4%-ით არის შემცირებული.

ცხრილი N20. გლინულის მოხმარება საქართველოში

	2021	2022	2023	2024	IP
მოხმარება (ტონა)	22,176	26,889	34,813	33,571	36,272
ინდექსი	100	121	157	151	164
მოხმარება (ლარი)	51,273,173	55,363,637	55,098,560	52,367,277	57,393,314
ინდექსი	100	108	107	102	112

წყარო: შემოსავლების სამსახური

4.2. იმპორტის მოცულობა და საბაზრო წილი

იმპორტის მოცულობის შეფასებისათვის გამოყენებულია შემოსავლების სამსახურის ბაზიდან მოძიებული მონაცემები. იმპორტის საბაზრო წილი დადგენილია საქართველოში პროდუქტის მთლიან მოხმარებასთან მიმართებით.

ცხრილი N21-ში წარმოდგენილია ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებიდან არმატურის იმპორტის მაჩვენებლები გათვალისწინებულ და შესწავლის პერიოდებში. აღნიშნულ წლებში ძირითად იმპორტიორ ქვეყნებს ირანი, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა წარმოადგენდნენ.

არმატურის იმპორტის მაჩვენებლების შეფასებისას, იკვეთება, რომ გათვალისწინებულ პერიოდში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების განაწილება მნიშვნელოვნად არის შეცვლილი. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონში ფოლადის ინდუსტრიის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთ-უკრაინის ომმა იქონია, აუცილებელია აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება ზიანისა და მიზეზშედეგობრივი კავშირის ანალიზისას.

გათვალისწინებულ პერიოდში მკვეთრად არის გაზრდილი ირანიდან იმპორტირებული პროდუქტის მოცულობა და 2021 წლის 69 ტონიდან, 2024 წლისათვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა 129.6 ათასი ტონა შეადგინა.

რუსეთიდან იმპორტირებული საქონლის შემთხვევაში მსგავსი ტენდენცია იკვეთება, 2021 წელს მთლიანი მოხმარების 1%-იანი წილიდან, 2024 წლისათვის აღნიშნული ქვეყნის წილმა მთლიანი არმატურის მოხმარებაში 32% შეადგინა. 2021-2024 წლებში, იმპორტირებული საქონლის რაოდენობა 194 ათასი ტონით არის გაზრდილი.

წარმოდგენილ პერიოდში მკვეთრად არის შემცირებული დანარჩენი ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტის წილი. როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წელს ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო პარტნიორს ამ მიმართულებით უკრაინა წამოადგენდა, თუმცა 2022 წელს ომის დაწყების შემდეგ უკრაინიდან არმატურის იმპორტი შეწყდა.

ასევე, მკვეთრად არის შემცირებული თურქეთიდან იმპორტირებული არმატურის რაოდენობა და წილი მთლიან მოხმარებაში. 2021 წელს თურქეთიდან 23.2 ათასი ტონა არმატურა შემოდიოდა, რაც მთლიანი ბაზრის 6% შეადგენდა, აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლისათვის 1.4 ათას ტონამდე და ბაზრის 2%-მდე შემცირდა. 2024 წლის 9 თვის მონაცემით თურქეთის წილი ბაზარზე უმნიშვნელო 0.2%-მდე შემცირდა.

აზერბაიჯანიდან იმპორტირებული საქონლის წილი 2021-2023 წლებში 10-15%-ის ფარგლებში მერყეობდა, თუმცა 2024 წელს მკვეთრი კლების ტენდენცია დაფიქსირდა და ქვეყნის წილი არმატურის მთლიან მოხმარებაში 3%-მდე შემცირდა.

ცხრილი N21. არმატურის იმპორტი ქვეყნების მიხედვით

	2021	2022	2023	2024	IP
ირანი					
ტონა	69	21,106	55,503	129,619	66,395
ინდექსი	100	30,434	80,033	186,906	95,739
საბაზრო წილი	0%	5%	11%	21%	12%
რუსეთი					
ტონა	4,106	51,505	98,696	197,996	121,627
ინდექსი	100	1,255	2,404	4,823	2,963
საბაზრო წილი	1%	12%	19%	32%	22%
თურქეთი					
ტონა	23,234	14,133	9,547	1,418	9,941
ინდექსი	100	61	41	6	43
საბაზრო წილი	6%	3%	2%	0.2%	2%
უკრაინა					
ტონა	28,485	2,026		2,927	
ინდექსი	100	7	-	10	-
საბაზრო წილი	7%	0.5%	0%	0%	0%
აზერბაიჯანი					
ტონა	43,338	68,297	51,267	18,948	52,443
ინდექსი	100	158	118	44	121
საბაზრო წილი	11%	15%	10%	3%	9%
სხვა					
ტონა	-	0.10	0.04	31	0.04
ინდექსი	100	100	37	30,371	37
საბაზრო წილი	0%	0%	0%	0%	0%
იმპორტი სულ					
ტონა	99,232	157,068	215,013	350,940	250,406
ინდექსი	100	158	217	354	252
საბაზრო წილი	24%	35%	42%	58%	45%


წყარო: შემოსავლების სამსახური

რაც შეეხება 2025 წლის პირველი 8 თვის მაჩვენებლებს, ვითარება მკვეთრად არის შეცვლილი. გრაფიკი N4-ში წარმოდგენილია 2023-2025 წლებში იანვარ-აგვისტოს პერიოდის განმავლობაში იმპორტირებული არმატურის მოცულობის დინამიკა. 2025 წლის მაჩვენებლების მიხედვით, მნიშვნელოვნად არის შეცვლილი ექსპორტიორი ქვეყნების განაწილება. 2024-2025 წლებში რუსეთიდან და ირანიდან იმპორტირებული პროდუქტის რაოდენობა მკვეთრად არის შემცირებული. ასევე მნიშვნელოვანია, თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქტის მოცულობის მკვეთრი ზრდა. 2025 წლის იანვარ-აგვისტოში თურქეთიდან 113 ათასი ტონა არმატურა შემოვიდა, მაშინ როდესაც წინა წელს შესაბამისმა მაჩვენებელმა უმნიშვნელო 744 ტონა შეადგინა.

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ 2025 წლის 25 იანვრიდან ამოქმედდა შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევის საფასური, რომელიც 1 ტონა არმატურაზე 420 ლარის შეადგენს. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ საფასური არ ვრცელდება პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1-ის ან წარმოშობის დეკლარაციის საფუძველზე საგადასახადო შეღავათის გამოყენების შემთხვევაში, რაც განაპირობებს თურქეთიდან პროდუქტის იმპორტის მკვეთრ ზრდას¹⁰¹.

2025 წლის შესაბამის პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიანი იმპორტის მოცულობა როგორც რაოდენობრივ, ასევე ღირებულებით ქრილში 10%-ით არის შემცირებული.

გრაფიკი N4. 2023-2025 წლებში პირველი იანვარი-აგვისტოს პერიოდში იმპორტირებული არმატურის მოცულობა



წყარო: შემოსავლების სამსახური

ცხრილი N22-ში წარმოდგენილია გლინულის იმპორტის დინამიკა 2021-2024 წლებში. 2021-2023 წლების პერიოდში ირანიდან იმპორტირებული გლინულის წილი მთლიან მოხმარებაში 58-59%-ის ფარგლებში მერყეობდა. 2021-2023 წლებში ირანიდან იმპორტირებული საქონლის რაოდენობა 50%-ით არის გაზრდილი. ამ მიმართულებით, გასათვალისწინებელია, რომ 2024 წლის მონაცემებით, ირანი გლინულის ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა გახდა და მთლიანი მოხმარების 90% შეადგინა.

რაც შეეხება რუსეთიდან იმპორტირებული საქონლის დინამიკას, 2021-2023 წლებში გლინულის რაოდენობა მკვეთრად არის გაზრდილი. ქვეყნის წილი მთლიანი მოხმარებაში 25% პუნქტით არის გაზრდილი და 2023 წლისათვის 27%-ს აღწევს. თუმცა იმპორტის მაჩვენებელი მკვეთრად არის შემცირებული 2024 წელს.

ხაზგასასმელია, რომ რუსეთისა და სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული გლინულის წილი მთლიან მოხმარებაში 2024 წლის მაჩვენებლებით უმნიშვნელოა. ამ პერიოდში გლინულის იმპორტი მხოლოდ რუსეთიდან და თურქეთიდან ფიქსირდება და მათი წილი მთლიან მოხმარებაში 1%-ს შეადგენს.

¹⁰¹ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №96.

ცხრილი N22. გლინულის იმპორტი ქვეყნების მიხედვით

	2021	2022	2023	2024	IP
ირანი					
ტონა	13,673	16,364	20,449	30,381	21,612
ინდექსი	100	120	150	222	158
საბაზრო წილი	62%	61%	59%	90%	60%
რუსეთი					
ტონა	462	6,743	9,536	257	9,536
ინდექსი	100	1,459	2,064	56	2,064
საბაზრო წილი	2%	25%	27%	1%	26%
თურქეთი					
ტონა	376	914	453	395	513
ინდექსი	100	243	121	105	137
საბაზრო წილი	2%	3%	1%	1%	1%
უკრაინა					
ტონა	1,389				
ინდექსი	100	0			
საბაზრო წილი	6%	0%	0%	0%	0%
აზერბაიჯანი					
ტონა	1,488	71	70		70
ინდექსი	100	5	5	0	5
საბაზრო წილი	7%	0%	0%	0%	0%
სხვა					
ტონა	3	23	4	0	4
ინდექსი	100	756	130	0	130
საბაზრო წილი	0%	0%	0%	0%	0%
იმპორტი სულ					
ტონა	17,391	24,114	30,513	31,033	31,736
ინდექსი	100	139	175	178	182
საბაზრო წილი	78%	90%	88%	92%	87%

წყარო: შემოსავლების სამსახური

4.3. შესწავლის ობიექტისა და მსგავსი პროდუქტის ფასები

იმპორტირებული არმატურის საშუალო ღირებულების დადგენის მიზნით სააგენტომ გამოიყენა შემოსავლების სამსახურის მონაცემები. ფასები წარმოდგენილია იმპორტის ღირებულების საფუძველზე. ცხრილი N23-ში და N24-ში წარმოდგენილია ერთი ტონა არმატურისა და გლინულის ღირებულება აშშ დოლარში CPT დონეზე ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით.

2021-2024 წლებში შესწავლის ობიექტის იმპორტის ღირებულების შეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ ირანიდან იმპორტირებული პროდუქტის ფასი 2021 წლიდან იწყებს კლებას. 2021-2024 წლებში, ირანიდან იმპორტირებული არმატურის საშუალო ღირებულება 144 აშშ დოლარით არის შემცირებული. აღნიშნულ პერიოდში ფასების კლების ნაერთმა წლიურმა მაჩვენებელმა (CAGR) 7% შეადგინა.

რუსეთიდან იმპორტირებული საქონლის ღირებულების მიმართულებით, 2021-2022 წლებში ფასების მკვეთრი ზრდა ფიქსირდება. ერთი ტონა არმატურის ღირებულება, 99 აშშ დოლარით ზრდის საფუძველზე, 710 აშშ დოლარს აღწევს. ტენდენცია 2023 წლიდან მკვეთრად იცვლება და სხვა ექსპორტიორი ქვეყნების მსგავსად რუსეთიდან იმპორტირებული საქონლის ფასიც კლებას იწყებს. 2022 წლიდან 2024 წლისათვის საქონლის საშუალო შეწონილი ფასი 138 აშშ დოლარით არის შემცირებული.

რაც შეეხება დანარჩენი ორი ქვეყნიდან იმპორტირებული არმატურის საშუალო ფასს, ორივე ქვეყნის შემთხვევაში 2021-2022 წლებში ფასების ზრდის შემდეგ, 2022 წლიდან 2023 წლისათვის კლების ტენდენცია ვლინდება. ამ პერიოდში თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქტის ღირებულება 133 აშშ დოლარით, ხოლო აზერბაიჯანიდან იმპორტირებული პროდუქტის ღირებულება 91 აშშ დოლარით არის შემცირებული.

შესწავლის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია შესწავლის პერიოდში ერთ ტონა არმატურის საშუალო ღირებულების შედარება ქვეყნების მიხედვით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც ირანიდან, ასევე რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქტის ღირებულება სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტის ღირებულებაზე ნაკლებია. ირანის შემთხვევაში ეს სხვაობა 60-64 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს, ხოლო რუსეთის შემთხვევაში 35-39 აშშ დოლარის ფარგლებში.

2025 წლის 25 იანვრიდან შემოსავლების სამსახურის მომსახურები საფასურის ზრდის გათვალისწინებით, ასევე საინტერესოა მოცემულ წელს იმპორტირებული პროდუქტის საშუალო ღირებულების დადგენა. 2025 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, ექსპორტიორი ქვეყნებიდან შემოტანილი არმატურის CPT დონეზე საშუალო ღირებულება, 2024 წლის ფასებთან შედარებით, მკვეთრად არის შემცირებული. ირანის შემთხვევაში ფასი 24 აშშ დოლარით, რუსეთის შემთხვევაში 59 აშშ დოლარით, ხოლო თურქეთის შემთხვევაში 66 აშშ დოლარით არის შემცირებული (აღნიშნული ფასი არ მოიცავს საბაჟო გაფორმების ხარჯებსა და დღგ-ს).

ცხრილი N23. იმპორტირებული არმატურის საშუალო ღირებულება

	2021	2022	2023	2024	2025 (I-VIII)	IP
ირანი						
ფასი (USD/ტონა)	690	632	567	546	522	564
ინდექსი	100	92	82	79	76	82
რუსეთი						
ფასი (USD/ტონა)	611	710	585	572	513	589
ინდექსი	100	116	96	94	84	96
თურქეთი						
ფასი (USD/ტონა)	747	755	622	649	583	624
ინდექსი	100	101	83	87	78	83
აზერბაიჯანი						
ფასი (USD/ტონა)	698	720	628	627	556	628
ინდექსი	100	103	90	90	80	90

წყარო: შემოსავლების სამსახური

რაც შეეხება გლინულის ბაზარზე არსებულ ვითარებას, ცხრილი N24-ში წარმოდგენილია ერთი ტონა იმპორტირებული გლინულის საშუალო ფასი ქვეყნებისა და წლების მიხედვით.

არმატურის ღირებულებასთან შედარებისას იკვეთება, რომ შესწავლის პერიოდში გლინულის ფასი ირანის შემთხვევაში 23 აშშ დოლარით უფრო მაღალია, ხოლო რუსეთის შემთხვევაში 4 აშშ დოლარით ნაკლებია არმატურის საშუალო ფასზე.

ფასების განვითარების ტენდენციასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ ირანის შემთხვევაში ფასების კლების ტენდენცია ფიქსირდება. 2021-2024 წლებში ნაერთი წლიური კლების მაჩვენებელმა 8% შეადგინა. რუსეთის შემთხვევაში 2021-2023 წლებში ფასების კლების შემდეგ 2024 წლისათვის ფასი 20 აშშ დოლარით არის გაზრდილი, თუმცა რუსეთიდან აღნიშნული საქონლის იმპორტის უმნიშვნელო მოცულობიდან გამომდინარე აღნიშნულ ზრდას ბაზარზე არსებულ საშუალო ფასებზე გავლენა არ აქვს.

ცხრილი N24. იმპორტირებული გლინულის საშუალო ღირებულება

	2021	2022	2023	2024	IP
ირანი					
ფასი (USD/ტონა)	728	687	589	561	587
ინდექსი	100	94	81	77	81
რუსეთი					
ფასი (USD/ტონა)	726	706	585	604	585
ინდექსი	100	97	81	83	81
თურქეთი					
ფასი (USD/ტონა)	828	866	793	758	787
ინდექსი	100	105	96	91	95
აზერბაიჯანი					
ფასი (USD/ტონა)	718	701	667	-	667
ინდექსი	100	98	93	-	93

წყარო: შემოსავლების სამსახური

დამატებით, სააგენტომ შესწავლის პერიოდში შესწავლის ობიექტის ფასის ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ფასთან შედარებისათვის გამოიყენა:

- ადგილობრივი მწარმოებლების მიერ პირველ დამოუკიდებელ მყიდველზე გაყიდული საქონლის წმინდა ღირებულება, რომელიც წარმოდგენილია ქარხნიდან გატანის (EXW) დონეზე;
- ექსპორტიორის მიერ შესწავლის ობიექტის პირველ დამოუკიდებელ მყიდველზე გაყიდული საქონლის ღირებულება, რაც მოიცავს შესწავლის ობიექტის საბაჟო ღირებულებას იმპორტის შემდგომი ხარჯების გათვალისწინებით.

ხაზგასასმელია, რომ იმპორტის შემდგომი ხარჯების დადგენის მიზნით გამოყენებულია 5 იმპორტიორი კომპანიის მიერ კითხვარების პასუხებში წარმოდგენილი ინფორმაცია. კერძოდ, იმპორტირებული არმატურის საშუალო ფასს დამატებულია იმპორტის შემდგომი ხარჯები, რაც ძირითადად დამატებით სატრანსპორტო ხარჯებთან და საბაჟო გადასახადებთან არის დაკავშირებული და შესწავლის ობიექტის საშუალო ფასის %-ს შეადგენს.

ფასების სამართლიანი შედარების უზრუნველყოფის მიზნით სააგენტომ გაითვალისწინა სავაჭრო ოპერაციის სტადიის მიმართულებით არსებული განსხვავებები. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ შესწავლის ობიექტის მსგავსი პროდუქტის გაყიდვისას


მომხმარებლების ორი ძირითადი კატეგორია იკვთება, მათ შორის არიან სამშენებლო მასალებით მოვაჭრე სუბიექტები და სამშენებლო კომპანიები. იმის გათვალისწინებით, რომ შესწავლის პროცესში შერჩეული იმპორტიორი კომპანიები მოვაჭრე სუბიექტებს წარმოადგენენ, მიზანშეწონილია ადგილობრივი ინდუსტრიის შესაბამის სავაჭრო სტადიაზე დაფიქსირებული ფასების გათვალისწინება. ადგილობრივი ინდუსტრიის მთლიანი გაყიდვების საშუალო ფასისა და სამშენებლო მასალებით მოვაჭრე სუბიექტებზე გაყიდული პროდუქტის საშუალო ფასის შედარების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამშენებლო მასალებით მოვაჭრე სუბიექტების მიერ შეძენილი პროდუქტის ღირებულება, მთლიანი გაყიდვების საშუალო ფასთან მიმართებით %-მდე ნაკლებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილობრივი ინდუსტრიის ფასების ერთ სავაჭრო დონეზე დაყვანის მიზნით, 1 ტონა არმატურის საშუალო ღირებულება დაკორექტირებულია წარმოდგენილი სხვაობის გათვალისწინებით.

ადგილობრივი მწარმოებლების მიერ პირველ დამოუკიდებელ მყიდველზე გაყიდული პროდუქტის საშუალო ფასი დადგენილია ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ კითხვარებში წარმოდგენილი ინფორმაციისა და შემოსავლების სამსახურიდან მოძიებული ინფორმაციის მიხედვით. ამ მიმართულებით ხაზგასასმელია, რომ EXW დონეზე პროდუქტის საშუალო ფასის დადგენისათვის სატრანსპორტო ხარჯები წარმოდგენილია გლინულისა და არმატურისთვის ერთიანად. ადგილობრივი მწარმოებლების მიერ გაყიდული არმატურის ქარხნიდან გატანის ფასის განსაზღვრის მიზნით დადგენილია ტრანსპორტირების საშუალო ხარჯი 1 ტონა პროდუქტისათვის, რის საფუძველზეც პროდუქტის საბოლოო ღირებულება დაკორექტირებულია აღნიშნული სხვაობის გათვალისწინებით.

გრაფიკი N5-ში მოცემულია შესწავლის პერიოდში თვეების მიხედვით, რუსეთიდან და ირანიდან იმპორტირებული არმატურის, ხოლო ადგილობრივი ინდუსტრიის დონეზე ორი კომპანიის მიერ წარმოდგენილი შესწავლის ობიექტის ფასების შედარება.

შესწავლის პერიოდში ადგილობრივი წარმოების, შესაბამის სავაჭრო დონეზე კორექტირებული არმატურის საშუალო EXW ღირებულებამ ლარი შეადგინა. ამ პერიოდში რუსეთიდან იმპორტირებული არმატურის ღირებულებამ ლარი შეადგინა, რაც ადგილობრივი ინდუსტრიის ღირებულებაზე მცირედით (3%-ით) დაბალი ფასია. რაც შეეხება ირანიდან იმპორტირებული არმატურის ღირებულებას ლარი შეადგინა და 7%-ით დაბალი იყო შესწავლის პერიოდში.

გრაფიკი N5. შესწავლის პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიისა და იმპორტირებული საქონლის ფასების შედარება



წყარო: ადგილობრივი ინდუსტრიის განცხადება, შემოსავლების სამსახური

მსგავსია იმპორტიორი კომპანიების მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით დათვლილი ფასების ტენდენციაც. გასათვალისწინებელია, რომ შერჩეული კომპანიებიდან სააგენტოსთან არ ითანამშრომლა ირანიდან შესწავლის ობიექტის ძირითადი წილის მქონე იმპორტიორმა კომპანიებმა. რაც შეეხება, რუსეთიდან იმპორტირებული არმატურის საშუალო ღირებულებას, დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შესწავლის პერიოდში აღნიშნული პროდუქტის საშუალო ღირებულებამ, იმპორტის შემდგომი ხარჯების გათვალისწინებით ლარი შეადგინა.

ადგილობრივი ინდუსტრიის მიხედვით იმპორტირებული პროდუქტის ფასებთან შედარებით მცირე სხვაობა, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სავარაუდო დემპინგურ ფასად იმპორტირებული შესწავლის ობიექტისათვის კონკურენციის გაწევის მიზნით, ადგილობრივ ინდუსტრია არმატურას წარმოების ღირებულებაზე დაბალ ფასად ყიდის, რაც დეტალურად არის განხილული ანგარიშის 6.3.1. ქვეთავში - ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების ფასების დინამიკა.

რაც შეეხება გლინულის ფასების დადგენასა და შედარებას, იმის გათვალისწინებით, რომ ძირითად ექსპორტიორ ქვეყანაში გლინულის ნორმალურ ღირებულებასთან დაკავშირებით საკმარისი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია, ზიანის ნაწილში ფასებთან დაკავშირებული ვითარების შეფასებისას არმატურაზე კონცენტრირება.

4.4. ადგილობრივი ინდუსტრიის ეკონომიკური ინდიკატორები

საქართველოს ფოლადის წარმოების ეკონომიკური ინდიკატორებთან დაკავშირებით (წარმოება, საწარმოო სიმძლავრეები, წარმოების დატვირთულობა, გაყიდვების მოცულობა, ფასებზე გავლენა, ბაზრის წილი, მარაგები, დასაქმება, საწარმოო დანახარჯები, პროდუქტიულობა, ფულადი ნაკადები და ინვესტიციები) სააგენტოს მიერ დამუშავებული მონაცემები ეფუძნება ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოდგენილ და შემოსავლების სამსახურის ბაზაში მოძიებულ ინფორმაციას.

4.4.1. წარმოება, საწარმოო სიმძლავრეები და მათი დატვირთულობის ხარისხი

ცხრილი N25-ში წარმოდგენილია 2021-2023 წლებსა და შესწავლის პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიის წარმოებასთან დაკავშირებული მონაცემები. ადგილობრივი ინდუსტრიის მთლიანი წარმოების მაჩვენებელი დათვლილია ადგილობრივი კომპანიების მიერ კითხვარებზე მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით. ადგილობრივი ინდუსტრიის წარმოების შეფასების პროცესში არ არის გათვალისწინებული იმ კომპანიების მაჩვენებლები, რომლებმაც შესწავლის პროცესში არ ითანამშრომლეს სააგენტოსთან, იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს არ ჰქონდა შესაძლებლობა დაედგინა განცხადებაში წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტე.

2021 წელს ადგილობრივი წარმოების მოცულობა შეადგენდა ტონას, ხოლო სიმძლავრე - ტონას. ამ პერიოდში წარმოების დატვირთულობამ 84% შეადგინა. მომდევნო წლებში, მიუხედავად იმისა, რომ წარმოების სიმძლავრე 21%-ით გაიზარდა, წარმოების მოცულობა უფრო ნაკლებად გაიზარდა, რამაც წარმოების სიმძლავრის მთლიანი დატვირთულობა შეამცირა. კერძოდ, 2022 წელს წარმოება მხოლოდ 8%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც წარმოების მთლიანი სიმძლავრე ტონას შეადგენდა, შესაბამისად, დატვირთულობა მხოლოდ 75% იყო. ეს მაჩვენებელი 2023 წელს უფრო შემცირდა, წარმოების მთლიანმა მოცულობამ ტონა შეადგინა და წარმოების მთლიანი სიმძლავრის იგივე

მაჩვენებლის ფონზე დატვირთულობა მხოლოდ 69% იყო. ადგილობრივი ინდუსტრიის მიხედვით, 2024 წლის იანვარში წარმოების დატვირთულობამ 52% შეადგინა. შესწავლის პერიოდის განმავლობაში (2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით) წარმოების მთლიანი სიმძლავრე ტონას შეადგენდა, წარმოების მოცულობა - ტონას, ხოლო წარმოების სიმძლავრის მთლიანი დატვირთულობა 68%-ს.

როგორც ვხედავთ, განსახილველ პერიოდში წარმოების მოცულობა ჯერ გაიზარდა (2022 წელს 2021 წელთან შედარებით 8%-ით), თუმცა შემდეგ შემცირდა და 2023 წლის განმავლობაში 2021 წლის მაჩვენებელსაც ჩამოცდა.

ცხრილიდან ჩანს, რომ 2022 წლიდან წარმოების სიმძლავრე გაზრდილია. ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოო სიმძლავრის ზრდა დაკავშირებულია შპს „რუსთავის ფოლადის“ მიერ განხორციელებულ საინვესტიციო პროექტთან „ლომი 3“, რომელიც ითვალისწინებდა 35 ტონიანი რკალური ღუმელის, ჟანგბადის საამქროს, უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარის, ვაკუუმატორის, ასპირაციისა და ციცხვლუმელის ექსპლუატაციაში მიღებას. თუმცა, განაცხადში მითითებულია, რომ გაწეული დიდი ოდენობის ინვესტიციის მიუხედავად, ეს ღუმელი 50%-იანი დატვირთვით მუშაობს.

ცხრილი N25. წარმოება, წარმოების მთლიანი სიმძლავრე და სიმძლავრეების დატვირთულობა

	2021	2022	2023	IP
წარმოების მთლიანი რაოდენობა (ტონა)				
ინდექსი (2021=100)	100	108	100	108
წარმოების მთლიანი სიმძლავრე (ტონა)				
ინდექსი (2021=100)	100	121	121	134
წარმოების სიმძლავრის მთლიანი დატვირთულობა	84%	75%	69%	68%

წყარო: ადგილობრივი ინდუსტრიის კითხვარი

4.4.2. ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების მოცულობა და საბაზრო წილი

ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების საბაზრო წილის დადგენის მიზნით სააგენტო ცალ-ცალკე განიხილავს არმატურასა და გლინულას. საბაზრო წილი დათვლილია, როგორც ადგილობრივი წარმოების რეალიზების პროცენტული წილი საერთო მოხმარებაში. 2021-2024 წლებში, საქართველოს ბაზარზე არმატურის მთლიანი მოხმარების 203 ათასი ტონით ზრდის ფონზე, ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების მაჩვენებლების წლიურმა კლებამ 6% შეადგინა. 2024 წელს ადგილობრივმა ინდუსტრიამ ათასი ტონით ნაკლები პროდუქცია გაყიდა 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

რაც შეეხება, გაყიდული საქონლის ღირებულებას, ამ მიმართულებით იკვეთება შემოსავლების წლიური კლების 14%-იანი მაჩვენებელი, რაც ნაწილობრივ ბაზარზე არმატურის საშუალო ღირებულების კლებასთან არის დაკავშირებული.

ადგილობრივი წარმოების წილი საერთო მოხმარების მოცულობაში, 2021 წლის -იანი მაჩვენებლიდან, 2024 წლისათვის %-მდე არის შემცირებული, ხოლო შესწავლის პერიოდში - %-ს შეადგენდა. 2021 წელთან შედარებით, შესწავლის პერიოდში ადგილობრივი წარმოების წილი მთლიან მოხმარებაში 20% პუნქტით არის შემცირებული. რეალიზებული არმატურიდან მიღებული შემოსავლების მიმართულებით, 2021 წელს ადგილობრივი ინდუსტრიის 76%-იანი მაჩვენებელი, შესწავლის პერიოდისთვის 57%-მდეა შემცირებული.

ცხრილი N26. ადგილობრივი ინდუსტრიის არმატურის გაყიდვები და საბაზრო წილი

	2021	2022	2023	2024	IP
ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების რაოდენობა (ტონა)					
ინდექსი (2021=100)	100	94	96	84	101
ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების მოცულობა (ლარი)	680,019,263	634,537,187	492,064,142	436,112,581	517,713,492
ინდექსი (2021=100)	100	93	72	64	76
საბაზრო წილი მოხმარების რაოდენობა (ტონა)					
საბაზრო წილი მოხმარების მოცულობა (ლარი)	76%	66%	59%	45%	57%

წყარო: ადგილობრივი ინდუსტრიის კითხვარი, შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია

აღსანიშნავია, 2024-2025 წლის იანვარ-აგვისტოში ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების ტენდენციები. ამ პერიოდში გაყიდული არმატურის მოცულობამ ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 3%-იანი ზრდის მაჩვენებელია. რაც შეეხება მთლიან მოხმარებაში ადგილობრივი წარმოების წილს, ამ მიმართულებითაც დადებითი ტენდენცია იკვეთება და 2024 წლის 42%-იანი მაჩვენებლიდან, ადგილობრივი წარმოების წილი ბაზარზე 54%-მდე გაიზარდა.

ამ პერიოდში მნიშვნელოვან განვითარებას ბაზარზე ახალი კომპანიის შპს „ჯორჯია მეტალის“ გამოჩენა წარმოადგენდა, რომელმაც ადგილობრივად წარმოებული არმატურის გაყიდვა ბაზარზე 2025 წლის იანვრიდან დაიწყო. კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით¹⁰², საწარმო 30%-იანი დატვირთვით მუშაობს. ახალი მწარმოებლის გამოჩენა თავის მხრივ დაკავშირებულია, როგორც ადგილობრივი გაყიდვების ზრდასთან, ასევე ადგილობრივი ინდუსტრიის ბაზარზე მნიშვნელოვანი წილის მოპოვებასთან.

სააგენტომ, ასევე შეაფასა გლინულის ბაზარზე არსებული ტენდენციები. ამ მიმართულებით, გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი წარმოების წილი მთლიან მოხმარებაში შედარებით მცირეა. 2021 წელს ბაზრის %-დან, ადგილობრივი წარმოების წილი მთლიან

¹⁰² სააგენტოში შემოსული წერილი N01/2671 (29.04.2025)

გაყიდვებში 2024 წლისათვის %-მდეა შემცირებული. ამ მიმართულებით, ასევე იკვეთება გაყიდვების მოცულობის წლიური 19%-იანი კლების ტენდენცია, რის საფუძველზეც 2024 წელს 2021 წელთან შედარებით ათასი ტონით ნაკლები საქონელი გაიყიდა.

ცხრილი N27. ადგილობრივი ინდუსტრიის გლინულის გაყიდვები და საბაზრო წილი

	2021	2022	2023	2024	IP
ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების რაოდენობა (ტონა)					
ინდექსი (2021=100)	100	58	90	53	95
ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების მოცულობა (ლარი)					
ინდექსი (2021=100)	100	58	69	40	73
საბაზრო წილი მოხმარების რაოდენობა (ტონა)					
საბაზრო წილი მოხმარების მოცულობა (ლარი)	22%	12%	14%	9%	14%

წყარო: ადგილობრივი ინდუსტრიის კითხვარი, შემოსავლების სამსახური

4.4.3. ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების ფასების დინამიკა

ადგილობრივი ინდუსტრიის მიხედვით სავარაუდო დემპინგურ ფასად იმპორტირებული შესწავლის ობიექტისათვის კონკურენციის გაწევის მიზნით, ადგილობრივ ინდუსტრია შესწავლის ობიექტის მსგავს პროდუქტს წარმოების ღირებულებაზე დაბალ ფასად ყიდის. შესწავლის პერიოდში, ადგილობრივი ინდუსტრიის კითხვარებში წარმოდგენილი ინფორმაციით, გაყიდული პროდუქტის საშუალო ფასი ერთ ტონაზე აღნიშნული პროდუქტის წარმოების საშუალო ღირებულებაზე დაბალი იყო. შესაბამისად, განმცხადებელი საჭიროდ მიიჩნევს სამიზნე ფასის დადგენას და აღნიშნულ ფასთან იმპორტირებული პროდუქტის საშუალო ღირებულების შედარებას.

წესის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დემპინგური იმპორტის ადგილობრივ ბაზარზე მსგავსი პროდუქტის ფასებზე გავლენის შეფასების მიზნით, შესწავლის ორგანომ უნდა გაითვალისწინოს:

- ა) არის თუ არა შესწავლის ობიექტის ფასი არსებითად დაბალი საქართველოს ბაზარზე მსგავსი პროდუქტის ფასებთან შედარებით;
- ბ) განაპირობა თუ არა დემპინგურმა იმპორტმა მსგავსი პროდუქტის ფასების შემცირება საქართველოს ბაზარზე;
- გ) არსებითად უშლიდა თუ არა ხელს დემპინგური იმპორტი საქართველოს ბაზარზე მსგავსი პროდუქტის ფასების ზრდას.

ადგილობრივი წარმოების ხარჯებისა და შესაბამისი პროდუქტის გასაყიდი ფასების შედარებისათვის სააგენტომ გამოიყენა, როგორც ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, ასევე შემოსავლების სამსახურიდან მოძიებული მონაცემები. ადგილობრივი ინდუსტრიის კითხვარებში ადგილობრივი წარმოების ხარჯები შედარებულია

პროდუქტის საშუალო EXW ღირებულებასთან. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი კომპანიების წარმოების მთლიანი ხარჯები, ასევე მოიცავს გაყიდვების, ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებს, რაც თავის მხრივ გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯებსაც ფარავს. შესაბამისად, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროდუქტის საშუალო ღირებულებაში ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინება.

შესწავლის პროცესში ადგილობრივ მწარმოებლებს დაეგზავნათ კითხვარში წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებული დაზუსტებები, რის საფუძველზეც მპს „რუსთავის ფოლადის“ მიერ წარმოდგენილ იქნა განახლებული ინფორმაცია¹⁰³ შესწავლის ობიექტის მსგავსი პროდუქტის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით. დოკუმენტში განახლებულია წარმოების ხარჯებთან დაკავშირებული მონაცემები. კერძოდ, ტანსპორტირების ხარჯები გადატანილია საწარმოო ზედნაღები ხარჯების კომპონენტში და შესაბამისად შეყვანილია წარმოების ხარჯების ნაწილში. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კომპანიის საადრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ტრანსპორტირების ხარჯი გაყიდული საქონლის თვითღირებულების ნაწილია და არა საქონლის გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯი. განახლებულ დოკუმენტში, ასევე დაზუსტებულია გაყიდვების და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯებისა და სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტები. დამატებით, ამოღებულია ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული მაჩვენებლები. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ხარჯი ძირითადად ბანკის სესხებზე საპროცენტო განაკვეთთან არის დაკავშირებული, ნაკლებად თვალსაჩინოა მისი პირდაპირი კავშირი პროდუქტის წარმოებისა და გაყიდვის ხარჯებთან.

ზემოთხსენებული ფინანსური მაჩვენებლების წარმოების ხარჯებიდან ამოღების გადაწყვეტილების საფუძველზე, ასევე განახლდა მპს „ჯეოსთილის“ მონაცემებიც. სააგენტოს შეფასებით, ფინანსურ და საგანგებო მოგება/წაგებასთან დაკავშირებული მონაცემები არ არის პირდაპირ დაკავშირებული პროდუქტის წარმოებასთან, შესაბამისად, მიზანშეწონილია საქონლის წარმოების მთლიანი ხარჯებიდან მისი გამორიცხვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მპს „ჯეოსთილის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმების პროცესში გამოიკვეთა, რომ წარმოების ხარჯებში მოცემული ინფორმაცია კორექტირებას საჭიროებს. კერძოდ, საწარმოო ზედნაღებ ხარჯებსა და ადმინისტრაციულ ხარჯებში არსებული შეუსაბამობის გათვალისწინებით განახლდა ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილი. პირველ ეტაპზე, ადგილობრივი მწარმოებლის ფინანსური ანგარიშგების გამოყენებით განისაზღვრა ის კომპონენტები, რომელიც გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციულ ხარჯებში. შემდეგ ეტაპზე, განმეორებით ჩათვლილი კომპონენტების გათვალისწინებით განახლდა შესაბამისი მონაცემები. ადმინისტრაციულ ხარჯს გამოაკლდა არაპირდაპირ შრომასთან და საგანგებო წაგებასთან დაკავშირებული ხარჯები.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, სააგენტომ გამოიყენა ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია პროდუქტის წარმოების ღირებულებასა და შემოსავლების ბაზიდან მოძიებული ინფორმაცია პროდუქტის საშუალო გასაყიდ ფასთან დაკავშირებით. 2021-2023 წლებსა და შესწავლის პერიოდში ფასების შედარების საფუძველზე, ადგილობრივი წარმოების მოგების მარჟის ყოველწლიური კლების ტენდენცია გამოიკვეთა. 2023 წლებსა და შესწავლის პერიოდში გაყიდული პროდუქტის საშუალო ფასი ერთ ტონაზე

¹⁰³ სააგენტოში შემოსული წერილი N01/1756 (18.03.2025)

წარმოების საშუალო ღირებულებაზე დაბალი იყო, რაც წესის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვითარების მიმანიშნებელია.

ადგილობრივი ინდუსტრიის ფასებზე გავლენის დადგენის ნაწილში, წესის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი ინდუსტრიის სამიზნე ფასის განსაზღვრის ერთ-ერთ მეთოდს ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ მსგავსი პროდუქტის წარმოების ღირებულების გამოყენება წარმოადგენს, რომელიც უნდა მოიცავდეს ადმინისტრაციულ, გაყიდვებისა და სხვა ხარჯებს, ასევე მოგების გონივრულ მარჟას. მოგების გონივრული მარჟის დადგენისათვის სააგენტომ გამოიყენა ადგილობრივი კომპანიების კითხვარებში წარმოდგენილი სასურველი მარჟების საშუალო მაჩვენებლები, რომელიც შპს „რუსთავის ფოლადისთვის“ 19%-ს, ხოლო შპს „ჯეოსთილისთვის“ 17%-ს შეადგენდა. შესაბამისად, ცხრილი N28-ში წარმოდგენილი სამიზნე ფასი გაანგარიშებულია წარმოების ხარჯებისა და ადგილობრივი ინდუსტრიის სასურველი მოგების საშუალო 18%-იანი მარჟის გათვალისწინებით. ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, შესწავლის პერიოდისთვის შემუშავებული სამიზნე ფასი არსებულ გასაყიდ ფასს 23%-ით აღემატება.


ცხრილი N28. ადგილობრივი ინდუსტრიის სამიზნე ფასი

	2021	2022	2023	01/2024	IP
არმატურის საშუალო გასაყიდი ფასი/ ტონა					
ინდექსი (2021=100)	100	99	76	78	76
წარმოების მთლიანი ხარჯი / ტონა					
ინდექსი (2021=100)	100	114	98	98	98
სამიზნე ფასი					
ინდექსი (2021=100)	100	114	98	98	98

წყარო: ადგილობრივი ინდუსტრიის კითხვარი, შემოსავლების სამსახური

2025 წლის იანვრიდან მოქმედი მომსახურების საფასურის საფუძველზე, საბოლოო მომხმარებლისათვის იმპორტირებული პროდუქტის ფასის შესაძლო ზრდის გათვალისწინებით, ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინდუსტრიის ფასებზე აღნიშნული ცვლილების გავლენის შეფასება. გრაფიკი N6-ში მოცემულია 2024-2025 წლების პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ გაყიდული პროდუქტის ღირებულება დღგ-ს გარეშე თვეების მიხედვით. წარმოდგენილი მაჩვენებლების მიხედვით იკვეთება, რომ 2024 წლის ბოლოს ფასების კლების ტენდენციის შემდეგ, 2025 წლის იანვარი-მარტის პერიოდში ფიქსირდება ფასების 8%-იანი ზრდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ აპრილის თვიდან ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ გაყიდული 1 ტონა არმატურის საშუალო შეწონილი ღირებულება სტაბილურად მცირდება.

გრაფიკი N6. ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ გაყიდული არმატურის საშუალო შეწონილი ღირებულება დღგ-ს გარეშე, 2024-2025 წლების თვეების მიხედვით



წყარო: შემოსავლების სამსახური

ბაზარზე მოქმედი მომსახურების საფასურის შესწავლის ობიექტის იმპორტზე გავრცელება, მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ საფასო ზეწოლა არმატურის ადგილობრივ ინდუსტრიაზე უნდა შემცირებულიყო. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ სამიზნე ფასად ადგილობრივი წარმოების არმატურის საშუალო ღირებულებაზე მკვეთრად მაღალი ფასი განისაზღვრა. მიუხედავად ამისა, იმპორტირებული პროდუქტის საბაჟო მომსახურების საფასურის ზრდის შემდეგ არსებული ფასების ტენდენცია, იმაზე მიუთითებს, რომ ბაზარზე ადგილობრივი ინდუსტრიის განცხადებით დაფიქსირებული დაბალი ფასი არამხოლოდ დემპინგური იმპორტით, არამედ სხვა საბაზრო ფაქტორებითაც არის განპირობებული. სხვა ფაქტორებს შორის, სხვა ქვეყნებიდან განხორციელებული იმპორტისა და ბაზარზე ახალი მოთამაშეების ფასების გავლენებია. შესაბამისად, შესწავლის ორგანო თვლის, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოდგენილი სამიზნე ფასები არ შეესაბამება ბაზარზე არსებულ რეალობას.

4.4.4. დასაქმება, შრომითი დანახარჯები და პროდუქტიულობა

სააგენტო დასაქმებისა და შრომითი დანახარჯების მიმართულებით არსებული ტენდენციების შეფასებისას ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას დაეყრდნო. დამატებით, სააგენტომ დაადგინა პროდუქტიულობის მაჩვენებელი, რომელიც დათვლილია წარმოების მოცულობისა და დასაქმების მაჩვენებლების შეფარდების საფუძველზე.

2021 წელს არმატურისა და გლინულის ადგილობრივ წარმოებაში დასაქმებული იყო 1,802 თანამშრომელი, 2022 წელს - 1,862, 2023 წელს - 1,870, 2024 წლის იანვარში - 1,873. გათვალისწინებულ პერიოდში ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა 71 ადამიანით გაიზარდა, რაც ნაერთი წლიური დასაქმების 2%-იან ზრდას წარმოადგენს.

შრომითი ხარჯების მიმართულებით გამოვლენილი ტენდენცია განსხვავდება სხვა ზიანის ინდიკატორებისაგან. მთლიანი შრომითი ხარჯები 2021 წელს 34.3 მილიონ ლარიდან, 2023 წლისათვის 46.9 მილიონ ლარამდე გაიზარდა. შესწავლის პერიოდში შრომითი დანახარჯების ოდენობამ 50.8 მილიონი ლარი შეადგინა. ხაზგასასმელია, რომ გათვალისწინებულ პერიოდში

ინდუსტრიის რთული ვითარების მიუხედავად, შრომითი ხარჯების საშუალო წლიურმა ზრდამ 17% შეადგინა.

წარმოების პროდუქტიულობის მაჩვენებელი 2021 წელს ერთ დასაქმებულზე 154 ტონას შეადგენდა, 2022 წელს ეს მაჩვენებელი 161 ტონამდე გაიზარდა, თუმცა 2023 წელს - 149 ტონამდე შემცირდა.

ცხრილი N29. დასაქმება, შრომითი დანახარჯები და პროდუქტიულობა

	2021	2022	2023	2024 წლის იანვარი
თანამშრომლების რაოდენობა სულ (კაცი)	1,802	1,862	1,870	1,873
ინდექსი (2021=100)	100	103	104	
მთლიანი შრომითი ხარჯები (ლარი)	34,311,214	40,681,852	46,904,232	3,899,437
ინდექსი (2021=100)	100	119	137	
წარმოება (ტონა)	278,079	299,299	277,841	22,656
ინდექსი (2021=100)	100	108	100	
პროდუქტიულობა (წარმოება/დასაქმება)	154.32	160.74	148.58	
ინდექსი (2021=100)	100	104	96	

წყარო: ადგილობრივი ინდუსტრიის კითხვარი

ადგილობრივი მწარმოებლები აღწერენ საწარმოში დასაქმების ხარისხს, კერძოდ, შპს „ჯეოსთილი“ მიუთითებს, რომ „კომპანია აგრძელებს მუშახელის იგივე დონის შენარჩუნებას 2023 წლის განმავლობაში, მიუხედავად არმატურის დემპინგური იმპორტის გამო გაყიდვების მნიშვნელოვნად დაბალი მარჟისა. თუმცა, დემპინგური იმპორტის იგივე ტენდენციის შემდგომმა განვითარებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის მუშახელზე შემცირებული მოგების მარჟის გამო და ადგილობრივი დასაქმების პერსპექტივაზე უარყოფითად აისახოს“. შპს „რუსთავის ფოლადის“ განმარტებით კი - „კომპანიისთვის დამახასიათებელია თანამშრომელთა დენადობა. ხელფასის ხარჯის ტენდენცია მზარდია საბაზრო მოთხოვნებისა და კვალიფიციური კადრის შენარჩუნების შესაბამისად.“

4.4.5. მარაგები

ადგილობრივი წარმოების მარაგების შესახებ ინფორმაცია დამუშავებულია მათ მიერ მოწოდებული კითხვარებიდან. 2021 წლის ბოლოს ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული პროდუქციის მარაგები შეადგენდა ტონას, რაც მთლიანი წარმოების 7% იყო. 2022 წლის ბოლოს - , რაც მთლიანი წარმოების 11% იყო, 2023 წლის ბოლოს - ტონას, რაც მთლიანი წარმოების 8% შეადგენდა. 2021-2023 წლების პერიოდში მარაგების რაოდენობის ზრდის ნაერთმა წლიურმა მაჩვენებელმა 7% შეადგინა.

ცხრილი N30. მარაგები

	2021	2022	2023	IP
საბოლოო მარაგების რაოდენობა (ტონა)				
ინდექსი (2021=100)	100	164	114	153
წარმოების მთლიანი რაოდენობა (ტონა)				
საბოლოო მარაგები, როგორც წარმოების წილი	7%	11%	8%	10%
ინდექსი (2021=100)	100	153	114	141

წყარო: ადგილობრივი ინდუსტრიის კითხვარი

ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მარაგების ზრდის ტენდენცია 2021-2022 წლებში ვლინდება, ამ პერიოდში მარაგების რაოდენობა 64%-ით არის გაზრდილი, თუმცა ვითარება გაუმჯობესებულია 2023 წლისათვის. გათვალისწინებულ პერიოდში არსებული საქონლის მარაგების შეფასების საფუძველზე, იკვეთება, რომ 2023 წლის ბოლოს მარაგების მოცულობა ათასი ტონით აღემატება 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

4.4.6. მომგებიანობა და სხვა ფინანსური მაჩვენებლები

ადგილობრივი ინდუსტრიის მოგების მაჩვენებელი და ფინანსური ინდიკატორები შეფასებულია მთლიანი კომპანიებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის კითხვარებში წარმოდგენილი კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშებიდან ცალკე მსგავს პროდუქტზე ხარჯების გამიჯვნა ვერ ხდება;

ცხრილი N31-ში წარმოდგენილია 2023-2024 წლების პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიის მომგებიანობის მაჩვენებლების განვითარების ტენდენცია. ცხრილის მიხედვით იკვეთება, რომ 2021 წელთან შედარებით 2023 წლისათვის ინდუსტრიის მოგების მაჩვენებელი 161 მილიონი ლარით არის შემცირებული, რის საფუძველზეც 2023 წელს კომპანიების წაგებამ 34 მილიონი ლარი შეადგინა. რაც შეეხება მოგების მაჩვენებლების ბრუნვასთან მიმართებით განვითარებას, აღნიშნული ინდიკატორის უარყოფითი ტენდენციით განვითარება 2022 წლიდან იწყება, როდესაც მოგების ზღვარი 9% პუნქტით შემცირდა. 2023 და 2024 წლების იანვრის თვის მაჩვენებლებით ადგილობრივი ინდუსტრიის წაგებამ ამ პერიოდში შესაბამისად, 6.7% და 2% შეადგინა.

ცხრილი N31. ადგილობრივი ინდუსტრიის მოგების მაჩვენებლები

	2021	2022	2023	იანვარი 2024
მოგება/ წაგება	127,235,173	64,438,708	-34,354,525	-662,969
ინდექსი	100	51	-27	-1
მოგების ზღვარი	18.5%	9.5%	-6.7%	-2.0%

წყარო: ადგილობრივი ინდუსტრიის კითხვარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზანს გარკვეული პერიოდის განმავლობაში საწარმოო ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასვლის შესახებ ინფორმაციის ჩვენება წარმოადგენს. აღნიშნული ინდიკატორის იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად შესწევს კომპანიას

უნარი, გამოიმუშაოს თავისუფალი ფული და დააფინანსოს მათი საქმიანობა. ადგილობრივი ინდუსტრიის საოპერაციო ფულადი ნაკადების დინამიკას გათვალისწინებულ პერიოდში უარყოფითი ტენდენცია აქვს, რის საფუძველზეც აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლიდან შესწავლის პერიოდისათვის 97%-ით არის შემცირებული.

2023 წელს ინვესტიციების მაჩვენებლის 2021 წლის მაჩვენებელთან შედარების საფუძველზე კლების ტენდენცია ფიქსირდება. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ 2021-2022 წლებში ინვესტიციების მოცულობის 40%-იანი კლების შემდეგ, 2023 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 27%-ით გაიზარდა.

განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით, ადგილობრივი ინდუსტრიის ანგარიშგების მიხედვით იკვეთება, რომ 2020 წელს რუსთავის ფოლადმა დაიწყო 35 ტონიანი მოცულობის ახალი რკალური ღუმელის მშენებლობა. 2021 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში კომპანიამ დაასრულა ახალი ღუმელის მშენებლობა, რამაც ფოლადის წარმოების მთლიანი მოცულობა გაზარდა 400,000 ტონამდე წელიწადში. ახალი რკალური ღუმელი აწარმოებს მრგვალ ნამზადებს უნაკერო მილებისთვისაც, რაც მთლიანი წარმოების პროცესის ოპტიმიზაციას შეუწყობს ხელს. დამატებით, 2022 წელს კომპანიამ დაიწყო ახალი გამათბობელი ღუმელის შექმნა არმატურის გლინვისთვის, საწარმოს ეფექტურობის და წარმადობის გაზრდის მიზნით.

ცხრილი N32. ფულადი ნაკადები და ინვესტიციები

	2021	2022	2023	IP
საოპერაციო ფულადი ნაკადები				
ინდექსი	100	62	3	2
მთლიანი ინვესტიციები მსგავსი პროდუქტის წარმოებაში				
ინდექსი	100	60	77	87

წყარო: ადგილობრივი ინდუსტრიის კითხვარი

4.5. ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის ინდიკატორების შეჯამება

პროდუქტის სახეობების მიხედვით შესწავლის ობიექტისა და მსგავსი პროდუქტის მოხმარების, ქვეყნების მიხედვით იმპორტისა და ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების შეფასების საფუძველზე, ასევე დემპინგურ ზღვარზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ადგილობრივ ინდუსტრიაზე მიყენებული ზიანის დადგენისას არმატურის ბაზარზე არსებულ ვითარებაზე ყურადღების გამახვილება.

არმატურისა და გლინულის ბაზრების შედარების საფუძველზე იკვეთება, რომ შესწავლის პერიოდში ადგილობრივი წარმოების გაყიდვებში არმატურის წილი 95%-ს, ხოლო გლინულის წილი 5%-ს შეადგენს. ამასთანავე, შესწავლის პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიის წილი გლინულის მთლიან მოხმარებაში მცირეა. დამატებით, იმის გათვალისწინებით, რომ შესწავლის პერიოდში გლინულის ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა ირანი იყო, თუმცა ინფორმაცია აღნიშნული პროდუქტის დემპინგთან დაკავშირებით სააგენტოს არ გააჩნია, ზიანის ინდიკატორებში წარმოდგენილი ბაზრის გათვალისწინება ნაკლებად აქტუალურია.

მთლიანი მოხმარება - 2021-2024 წლებში, საქართველოში არმატურის მოხმარება რაოდენობრივ ჭრილში მკვეთრად არის გაზრდილი. ამ პერიოდში, ნაერთი წლიური ზრდის მაჩვენებელმა (CAGR) 14% შეადგინა. არმატურის მოხმარება 2021 წელს 406 ათასი ტონიდან 2024 წლისათვის 609 ათას ტონამდე გაიზარდა.

გასათვალისწინებელია, რომ არმატურის მოხმარების დინამიკა შეიცვალა 2025 წელს. 2024-2025 წლების იანვარი-აგვისტო მაჩვენებლების შედარებისას იკვეთება, რომ მთლიანი მოხმარება 3%-ით არის შემცირებული.

იმპორტის დინამიკა - 2021-2024 წლებში მკვეთრად არის გაზრდილი ირანიდან იმპორტირებული პროდუქტის მოცულობა და 2021 წლის 69 ტონიდან, 2024 წლისათვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა 129.6 ათასი ტონა შეადგინა, რაც მთლიანი მოხმარების 21%-ია. რუსეთიდან იმპორტირებული საქონლის შემთხვევაში მსგავსი ტენდენცია იკვეთება, 2021 წელს მთლიანი მოხმარების 1%-იანი წილიდან, 2024 წლისათვის აღნიშნული ქვეყნის წილმა მთლიანი არმატურის მოხმარებაში 32% შეადგინა.

2025 წლისათვის არსებული ტენდენციები შეიცვალა. მოცემული წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, თურქეთიდან 113 ათასი ტონა არმატურა შემოვიდა, მაშინ როდესაც წინა წელს შესაბამისმა მაჩვენებელმა უმნიშვნელო 744 ტონა შეადგინა. 2025 წელს, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რუსეთიდან იმპორტირებული არმატურის რაოდენობა 40 ათასი ტონით, ხოლო ირანიდან იმპორტირებული პროდუქტის რაოდენობა 82.6 ათასი ტონით არის შემცირებული. 2025 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიანი იმპორტის მოცულობა როგორც რაოდენობრივ, ასევე ღირებულებით ჭრილში 10%-ით შემცირდა (2024 – 293.5 მლნ ლარი, 2025 - 263.4 მლნ. ლარი).

ფასების დინამიკა - 2021-2024 წლებში, ირანიდან იმპორტირებული არმატურის საშუალო ღირებულება 144 აშშ დოლარით არის შემცირებული. 2024 წელს საშუალო ფასი (CPT) 546 აშშ დოლარი იყო. 2022-2024 წლებში, რუსეთიდან იმპორტირებული ერთი ტონა არმატურის ღირებულება(CPT) 138 აშშ დოლარით შემცირდა. 2024 წელს საშუალო ფასი 572 აშშ დოლარი იყო. როგორც ირანიდან, ასევე რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქტის ღირებულება სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტის ღირებულებაზე ნაკლებია. ირანის შემთხვევაში ეს სხვაობა 60-64 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს, ხოლო რუსეთის შემთხვევაში 35-39 აშშ დოლარის ფარგლებში.

შესწავლის პერიოდში ადგილობრივი წარმოების საშუალო EXW ღირებულებამ ლარი შეადგინა. ამ პერიოდში რუსეთიდან იმპორტირებული არმატურის ღირებულებამ ლარი შეადგინა, რაც ადგილობრივი ინდუსტრიის ღირებულებაზე უმნიშვნელოდ დაბალია. რაც შეეხება ირანიდან იმპორტირებული არმატურის ღირებულებას ლარი შეადგინა და 7%-ით დაბალი იყო შესწავლის პერიოდში. ადგილობრივი ინდუსტრიის განცხადებით, 2023-2024 წლებში არმატურას წარმოების ღირებულებაზე დაბალ ფასად ყიდის.

წარმოება და საწარმოო სიმძლავრეების დატვირთულობა - 2021 წლიდან 2022 წლისათვის წარმოების ზრდის, ხოლო 2023 წლისათვის კლების ტენდენცია ვლინდება. გათვალისწინებულ პერიოდში მეტნაკლებად შენარჩუნებულია ადგილობრივი წარმოების მაჩვენებელი და 2021-2023 წლების შედარების საფუძველზე წარმოების მოცულობის უმნიშვნელო შემცირება იკვეთება.

ადგილობრივი ინდუსტრიის საბაზრო წილი - ადგილობრივი წარმოების არმატურის რეალიზების მოცულობის წილი საერთო მოხმარებაში, 2021 წლიდან 34% პუნქტით არის შემცირებული. 2021-2024 წლებში, საქართველოს ბაზარზე არმატურის მთლიანი მოხმარების 203 ათასი ტონით ზრდის ფონზე, ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების მაჩვენებლების ნაერთმა წლიურმა კლებამ 6% შეადგინა.

გასათვალისწინებელია, რომ 2025 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში ადგილობრივი კომპანიების მიერ გაყიდული არმატურის მოცულობამ ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 3%-იანი ზრდის მაჩვენებელია. რაც შეეხება მთლიან მოხმარებაში ადგილობრივი წარმოების წილს, ამ მიმართულებითაც დადებითი ტენდენცია ფიქსირდება. 2024 წლის 42%-იანი მაჩვენებლიდან, ადგილობრივი წარმოების წილი ბაზარზე 54%-მდე გაიზარდა.

დასაქმება, შრომითი დანახარჯები და პროდუქტიულობა - 2021-2023 წლების პერიოდში ფიქსირდება დასაქმებულთა რაოდენობის ყოველწლიური მცირე 2%-იანი ზრდა. დამატებით, ინდუსტრიის რთული ვითარების მიუხედავად, შრომითი ხარჯების ნაერთმა წლიურმა ზრდამ 17% შეადგინა.

მარაგები - გათვალისწინებულ პერიოდში არსებული საქონლის მარაგების შეფასების საფუძველზე, იკვეთება რომ 2023 წლის ბოლოს მარაგების მოცულობა 14%-ით აღემატება 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

მოგება - 2023 წელს კომპანიების წაგებამ 34 მილიონი ლარი შეადგინა. 2021 წელს კომპანიების მოგების მაჩვენებელმა 18.5%, ხოლო 2023 წელს წაგებამ 6.7% შეადგინა.

ფინანსური ინდიკატორები - ადგილობრივი ინდუსტრიის საოპერაციო ფულადი ნაკადების დინამიკას გათვალისწინებულ პერიოდში უარყოფითი ტენდენცია აქვს. აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლიდან შესწავლის პერიოდისათვის 97%-ით არის შემცირებული.

2023 წელს ინვესტიციების მაჩვენებლის 2021 წლის მაჩვენებელთან შედარების საფუძველზე კლების ტენდენცია ფიქსირდება. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ 2021-2022 წლებში ინვესტიციების მოცულობის 40%-იანი კლების შემდეგ, 2023 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 27%-ით გაიზარდა.

5. დემპინგური იმპორტის კავშირი ზიანთან

წესის მე-17 მუხლის მიხედვით, დემპინგურ იმპორტსა და ადგილობრივ ინდუსტრიას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენისათვის, შესწავლის ორგანომ უნდა დაასაბუთოს, რომ ადგილობრივ ინდუსტრიაზე ზიანის გამომწვევ მიზეზს დემპინგური იმპორტი წარმოადგენს. დემპინგური იმპორტის გარდა, შესწავლის ორგანო, ასევე აფასებს მისთვის ცნობილ სხვა ფაქტორებს, რომლებიც შესაძლოა ზიანს აყენებდეს ადგილობრივ ინდუსტრიას.

ამ მიმართულებით სააგენტომ შეაფასა არადემპინგური იმპორტის ფასი და მოცულობა, პროდუქტზე მოთხოვნის ცვლილება, ადგილობრივი ინდუსტრიის მწარმოებლურობის ხარისხი, ექსპორტის მაჩვენებლები და გათვალისწინებულ პერიოდში არმატურის ბაზარზე არსებული ცვლილებები.

5.1. სავარაუდო დემპინგური იმპორტის გავლენა

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ადგილობრივი მწარმოებლების მდგომარეობის გაუარესება რუსეთიდან და ირანიდან იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდის პერიოდს ემთხვევა. ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვებისა და მოგების მაჩვენებლების შემცირების ტენდენციები 2022 წლიდან იწყება, სწორად ამ პერიოდში დაიწყო რუსეთიდან და ირანიდან იმპორტირებული არმატურის მოცულობის ზრდაც. 2021-2022 წლებში რუსეთის წილი არმატურის მთლიან იმპორტში 4%-დან 33%-მდე გაიზარდა. 2021 წელს ირანიდან არმატურის იმპორტი თითქმის არ ფიქსირდება, ხოლო 2022 წლისათვის ქვეყნის წილი მთლიან იმპორტში 13% აღწევს (გრაფიკი N7).

აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან იწყება შესწავლის ობიექტის ფასების მკვეთრი შემცირება, რის საფუძველზეც ადგილობრივ ინდუსტრიას დაბალფასიანი პროდუქტისათვის კონკურენციის გაწვევისათვის, ასევე, მოუწია ფასების შემცირება და დაბალი მოგების მარჯობით პროდუქტის გაყიდვა. ცხრილი N23-ში წარმოდგენილი შესწავლის ობიექტის ფასების დინამიკისა და ცხრილი N28-ში წარმოდგენილი ადგილობრივი ინდუსტრიის ფასებისა და პროდუქტის წარმოების ღირებულების ტენდენციების შედარება, მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობაზე მიანიშნებს.

რუსთავის ფოლადის მიერ წარმოდგენილ პოზიციაში¹⁰⁴, განმცხადებელი მიუთითებს ADA-ს მე-3 მუხლის მე-5 პარაგრაფის „b“ ქვე-პარაგრაფზე, ასევე, კანონის მე-14 მუხლის 1-ლ პუნქტზე და მიიჩნევს, რომ დემპინგურ იმპორტსა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. მხარე აცხადებს, რომ 2021-2023 წლებში, რუსეთიდან დემპინგური იმპორტი გაიზარდა აბსოლუტური თვალსაზრისით, საქართველოში პროდუქტის წარმოებასთან მიმართებით და საქართველოში პროდუქტის მოხმარებასთან მიმართებით. მხარე აცხადებს, რომ მისი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ყველაზე ძლიერი გაუარესება 2023 წელს რუსეთიდან იმპორტის მოცულობის პიკს ემთხვევა, თუმცა გაუარესება უკვე 2022 წლიდან დაიწყო.

5.2. ზიანის სხვა შესაძლო ფაქტორები

5.2.1. სხვა ქვეყნებიდან იმპორტის დინამიკა

დემპინგურ იმპორტსა და ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენის მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს იმპორტის სტრუქტურის ცვლილება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2021-2024 წლებში, იმპორტში ქვეყნების წილების გადანაწილება სრულიად შეიცვალა.


პირველ რიგში, გასათვალისწინებელია რეგიონში ფოლადის ინდუსტრიაზე რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა. საქართველოზე გავლენა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ომის დაწყების შემდეგ უკრაინიდან იმპორტის შეფერხებასთან, ხოლო მეორე მხრივ, ომის შედეგად ევროკავშირის ბაზარზე რუსეთიდან ექსპორტის (მათ შორის ფოლადის ექსპორტის) შეზღუდვასთან, რამაც გამოიწვია ქვეყნისათვის ახალი ბაზრების მოძიების საჭიროება.

¹⁰⁴ სააგენტოში შემოსული წერილი N 01/4770 (19.09.2024)

შესაბამისად, რუსეთისა და ირანის წილის ზრდა ნაწილობრივ მოსალოდნელი იყო ბაზარზე უკრაინიდან იმპორტირებული პროდუქტის ჩანაცვლების საჭიროებით. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტომ მიიღო ინფორმაცია იმპორტიორი კომპანიებისგანაც¹⁰⁵. 2021 წლიდან ბაზარზე გავლენის მქონე ფაქტორებად იმპორტიორები ასახელებენ რუსეთ-უკრაინის ომს, რამაც განაპირობა მომხმარებლისთვის არმატურის „ძალიან მაღალ ფასებში“ მიწოდება და სტაბილიზაციისთვის, უკრაინული იმპორტის ჩანაცვლება რუსული ბაზრით.

უკრაინის წილი 2021 წელს 29% -ს შეადგენდა, მაშინ როდესაც რუსეთისა და ირანის წილი უმნიშვნელო იყო. 2024 წლისათვის რუსეთის და ირანის წილები 48% და 44%-მდე გაიზარდა, ხოლო დანარჩენი წამყვანი იმპორტიორების წილები მკვეთრად შემცირდა (აზერბაიჯანი 44%-დან 6%-მდე, ხოლო თურქეთი 23%-დან 1%-მდე).

გრაფიკი N7. იმპორტი ქვეყნების მიხედვით



წყარო: შემოსავლების სამსახურის მონაცემები

2021-2024 წლების ტენდენციის გათვალისწინებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია 2025 წლის 8 თვის მონაცემების განხილვაც. როგორც უკვე აღინიშნა, შემოსავლების სამსახურის მომსახურების საფასურის დაწესების შედეგად მნიშვნელოვნად არის შემცირებული ირანიდან და რუსეთიდან იმპორტირებული საქონლის რაოდენობა. ამავდროულად, ხაზგასასმელია, რომ ამ პერიოდში თურქეთიდან იმპორტის მკვეთრი ზრდა, წარმოდგენილი ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტის ჩანაცვლების მანიშნებელია.

2025 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იმპორტის ჯამური მოცულობის 10%-იანი კლება ფიქსირდება, ხოლო ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვები 3%-ით არის გაზრდილი. ბაზარზე არსებული ცვლილებები მიანიშნებს, რომ ირანიდან და რუსეთიდან იმპორტირებულ პროდუქტთან ერთად, ადგილობრივი ინდუსტრიის გამოწვევები, შეიძლება სხვა ქვეყნებიდან იმპორტის ფაქტორთან იყოს დაკავშირებული, თუმცა დაკვირვების შედარებით მცირე პერიოდი (8 თვე) არ იძლევა სრულყოფილი დასკვნის გაკეთების საშუალებას.

¹⁰⁵ სააგენტოში შემოსული წერილი N01/3992 (07.08.2024), წერილი N01/4260 (21.08.2024)

5.2.2. ადგილობრივი მწარმოებლების ექსპორტის განვითარება

რეგიონის დონეზე ფოლადის ინდუსტრიაში არსებულმა ტენდენციებმა გავლენა იქონია საქართველოში ფოლადის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობაზე. ამ მიმართულებით ხაზგასასმელია, რომ 2022 წელთან შედარებით, 2023 წელს მკვეთრად არის შემცირებული ადგილობრივი ინდუსტრიის ექსპორტის მაჩვენებლები. 2022-2023 წლებში ექსპორტის მოცულობის 92%-იანი კლება ფიქსირდება. დამატებით, საექსპორტო პროდუქტის ღირებულება 82 აშშ დოლარით არის შემცირებული. 2024 წლისათვის ადგილობრივი ინდუსტრიის ექსპორტის მაჩვენებლები გაუმჯობესებულია. ადგილობრივი ინდუსტრიის ძირითად საექსპორტო ბაზარს 2024 წელს სომხეთი წარმოდგენდა.

ცხრილი N33. ადგილობრივი ინდუსტრიის ექსპორტი

	2021	2022	2023	2024
რაოდენობა (ტონა)	9,654	20,875	1,679	13,682
ინდექსი	100	216	17	142
ღირებულება (აშშ დოლარი)	7,242,874	15,749,583	1,129,606	9,462,650
ინდექსი	100	217	16	131
საშუალო ფასი	750	754	673	692
ინდექსი	100	101	90	92

წყარო: შემოსავლების სამსახური

ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ ექსპორტის წილი ადგილობრივი ინდუსტრიის მთლიან გაყიდვებში შედარებით მცირეა და გათვალისწინებულ პერიოდში 1%-დან 7%-მდე მერყეობს. 2021-2023 წლებში უარყოფითი ტენდენციის მიუხედავად, სააგენტოს მიაჩნია, რომ ექსპორტის განვითარების ტენდენცია, ადგილობრივი ინდუსტრიაზე ზიანის კუთხით, ნაკლებად არის მნიშვნელოვანი.

5.2.3. ადგილობრივი ინდუსტრიის გამოწვევები

შესწავლის დაწყების შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილ იქნა კომენტარები რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის განვითარების სამინისტროსა და ინდუსტრიისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ¹⁰⁶. რუსული მხარე, საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნავს ადგილობრივი ინდუსტრიის წინააღმდეგ 2023 წლის გაფიცვებზე. დასაქმებულთა მოთხოვნების გათვალისწინებით, როგორცაა ხელფასისა და ზეგანაკვეთური ანაზღაურების საშუალოდ 40%-იანი ზრდა, რუსული მხარე ასკვნის, რომ კომპანიები იძულებულნი იყვნენ, გადაეწყვიტათ ასეთი დავები მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის და წასულიყვნენ დათმობებზე. კომპანიების ფინანსურ შედეგებს იგი არასტაბილურ კორპორატიულ გარემოს უკავშირებს.

გარდა ამისა, რუსული მხარე აღნიშნავს, რომ 2023 წელს ქართულ კომპანიებს შეექმნათ სერიოზული მარეგულირებელი ზეწოლა, მკაცრი გარემოსდაცვითი სტანდარტების გამო. კერძოდ, საქართველოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2023 წელს გამოვლენილი არაერთი დარღვევის გამო, ქართულ კომპანიას შპს „ამბიკონ სტილსი“,

¹⁰⁶ სააგენტოში შემოსული წერილი N 01/3389 (04.07.2024)

რომელმაც მხარი დაუჭირა განცხადებას, ჩამოერთვა საქმიანობის ნებართვა. რუსული მხარის შეფასებით, წარმოების შეფერხებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, როგორც კომპანიას, ასევე მთლიანად ქართულ ინდუსტრიას.

იგივე მსჯელობა იკვეთება Abinsk Electric Steel Works-ის პოზიციაში. ექსპორტიორი კომპანია აღნიშნავს, რომ „რუსთავის ფოლადის“ წარმოებისა და გაყიდვების მოცულობის შემცირება, ფინანსური მაჩვენებლებისა და ბაზრის წილის გაუარესება დაკავშირებულია შიდა გარემოებებთან, რომლებიც იმპორტს არ უკავშირდება. კომპანია აღნიშნავს, რომ იკვეთება ღია წყაროებში დაფიქსირებული შრომითი კონფლიქტები საწარმოში, ხელფასის დაგვიანების გამო მუშათა გაფიცვების ჩათვლით, რაც ობიექტურად იწვევს საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის შემცირებას ან შეჩერებას. გარდა ამისა, დაგვიანებული კაპიტალური შეკეთება ან აღჭურვილობის მოდერნიზაცია ასევე ღრობით ამცირებს წარმოებას, ასეთი გარემოებები არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც გარე კონკურენციისგან მიყენებული ზიანი.¹⁰⁷

Abinsk Electric Steel Works LTD უარყოფს „რუსთავის ფოლადის“ პოზიციას, რომ 2021-2023 წლებში რუსული პროდუქციის დემპინგური იმპორტი პირდაპირ დაკავშირებულია ადგილობრივი წარმოების მდგომარეობის გაუარესებასთან. ექსპორტიორი კომპანია აღნიშნავს, რომ ფინანსური მაჩვენებლების ნეგატიური დინამიკის ნაწილი აიხსნება საწარმოს საინვესტიციო პროცესებით და არა იმპორტის მხრიდან კონკურენციით. ღია წყაროების თანახმად, შპს „რუსთავის ფოლადმა“ აღნიშნულ პერიოდში განახორციელა მოდერნიზაცია და სიმძლავრეების გაფართოება. ნებისმიერი მოდერნიზაცია იწვევს საწარმოო სიმძლავრეების ღრობით შეჩერებას ან დატვირთვის შემცირებას, მნიშვნელოვან კაპიტალურ დანახარჯებს, ხარჯების ზრდას, რაც გარდაუვლად იწვევს მოკლევადიანი ფინანსური მაჩვენებლების კლებას. კომპანია ასევე ხაზს უსვამს, რომ „რუსთავის ფოლადის“ მხრიდან მოხდა ფინანსური შედეგების შეფასების დამახინჯება. რაც გამოიხატება იმაში, რომ განმცხადებელს მოჰყავს საწარმოს ზოგადი ფინანსური მაჩვენებლები და არ განაცალკევებს მათ ოპერაციულ და საინვესტიციო შედეგებად. თუმცა, საკრედიტო ტვირთის ან კაპიტალური ხარჯების ზრდის შედეგად საერთო მოგების შემცირება არ მოწმობს ოპერაციული ეფექტიანობის შემცირებას და არ შეიძლება, ინტერპრეტირებულ იქნეს, როგორც ზიანი იმპორტის კონკურენციის გამო.¹⁰⁸

ექსპორტიორი კომპანიის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებთან დაკავშირებით, ხაზგასასმელია, რომ რუსთავის ფოლადის მიერ მოწოდებული ინფორმაციით საწარმოს მოდერნიზაციის პროცესი 2021 წელს მიმდინარეობდა. შესაბამისად, კომპანიას ჰქონდა შესაძლებლობა 2022 წლიდან გაზრდილი მწარმოებლურობის გათვალისწინებით, გაეზარდა მისი წარმოების მოცულობაც.

რუსთავის ფოლადი, ასევე, ეხმაურება რუსული მხარის კომენტარებს 2023 წელს დასაქმებულთა გაფიცვასა და შპს „ამბიკონ სტილსის“ მიმართ გარემოსდაცვითი ზომების შესახებ და, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ ეს ორივე ფაქტორი 2023 წელს დაფიქსირდა, როდესაც ქართული ადგილობრივი ინდუსტრიის წარმომადგენლების ეკონომიკური ინდიკატორების ძირითადი ნაწილის გაუარესება 2022 წელს დაიწყო. დამატებით, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ შპს „ამბიკონ სტილსის“ მაჩვენებლების მხედველობაში მიღების გარეშე, ეკონომიკური ინდიკატორების გაურესება მაინც აშკარაა. ამგვარად, მხარე

¹⁰⁷ სააგენტოში შემოსული წერილი N01/4991 (22.08.2025)

¹⁰⁸ იქვე.

მიიჩნევს, რომ ზიანი გამოწვეულია ფაქტორებით, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვს შპს „ამბიკონ სტილსზე“ განხორციელებულ მარეგულირებელ წნეხთან.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ამბიკონ სტილსის“ მიერ სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი პასუხები მიწოდებულ კითხვარებზე, სააგენტომ არ გაითვალისწინა აღნიშნული კომპანიის ეკონომიკური მაჩვენებლები (მათ შორის წარმოების მოცულობა) ზიანის ფაქტორებში. წარმოდგენილი კომპანიის გაყიდვების მაჩვენებლები მხოლოდ მთლიან მოხმარებაში ადგილობრივი წარმოების წილის ინდიკატორში არის გათვალისწინებული. აღნიშნული კომპანიის წილი მთლიან მოხმარებაში 2021-2023 წლების პერიოდში 3-6%-ის დიაპაზონში მერყეობდა და შესაბამისად შედარებით მცირე გავლენა აქვს ინდუსტრიის ზიანზე ამ მიმართულებით.

5.2.4. ფოლადის ინდუსტრიის საერთაშორისო ტენდენციები

რუსული მხარე აცხადებს, რომ მოგების მარჟის და წმინდა შემოსავლის შემცირება არის აქტუალური საკითხი ფოლადის მწარმოებელი ინდუსტრიისთვის გლობალურ დონეზე და სავარაუდო დემპინგურ პრაქტიკას არავითარი გავლენა არ აქვს საქართველოს ინდუსტრიის მდგომარეობაზე. რუსული მხარე ეყრდნობა OECD-ის შეფასებას, რომლის მიხედვითაც გლობალური ფოლადის ბაზრები ტურბულენტურ პერიოდში შედის, ასევე, იზრდება ნედლეულისა და ენერჯის ღირებულება, მაგ., ქვანახშირის კოქსის ფასის 2023 წლის ივნისიდან 50%-ით ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ფოლადის წარმოების სიმძლავრე იზრდება, ფოლადზე მოთხოვნა მუდმივად მცირდება, რაც სამომხმარებლო ფასებს წნეხის ქვეშ აყენებს.¹⁰⁹

OECD-ის ანგარიშის¹¹⁰ მიხედვით, გლობალური ფოლადის ინდუსტრიისათვის გამოწვევას წარმოების ჭარბი სიმძლავრე და მოთხოვნის ნელი ზრდა წარმოადგენს. გასათვალისწინებელია, რომ გლობალური მოთხოვნის ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საწარმოო სიმძლავრეების ზრდის ტემპს და გავლენას ახდენს საქონლის ფასებისა და ფოლადის მწარმოებლებისთვის შემოსავლის შემცირებაზე.

ადგილობრივ ბაზარზე გლობალური ტენდენციების გავლენების გათვალისწინებასთან დაკავშირებით პოზიცია, ასევე Abinsk Electric Steel Works-მა წარმოადგინა¹¹¹. კომპანია აღნიშნავს, რომ მიუხედავად მიწოდება-მოთხოვნის მიმართულებით არსებული დისბალანსისა, საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებისას აუცილებელია საქართველოზე გლობალური ფასების დინამიკის გავლენის გათვალისწინებაც. მხარე მიუთითებს, რომ საქართველოში მოთხოვნის ზრდის მიუხედავად, გლობალურ დონეზე არსებული კონკურენციის ზრდისა და ფასების მერყეობის შედეგად, მოსალოდნელი იყო ადგილობრივი ფასის შემცირება.

მხარის წერილში წარმოდგენილ პოზიციასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ანგარიშში იმპორტირებული პროდუქტის ღირებულების კლების ტენდენცია, რომელიც ასევე შეესაბამება გლობალური ფასების დინამიკას, განხილულია 4.4 ქვეთავში (შესწავლის ობიექტისა და მსგავსი პროდუქტის ფასები). მოცემულ ნაწილში წარმოდგენილი მაჩვენებლების მიხედვით 2022-2023 წლებში ფასების კლება ფიქსირდება ყველა იმპორტიორი ქვეყნიდან, შესაბამისად სააგენტო არ უარყოფს გლობალური ფასების გავლენას საქართველოში

¹⁰⁹ სააგენტოში შემოსული წერილი N 01/3389 (04.07.2024)

¹¹⁰ OECD. 2024. Latest developments in steelmaking capacity and outlook until 2026

¹¹¹ სააგენტოში შემოსული წერილი N01/4991 (22.08.2025)

არსებულ ტენდენციებზე. რაც შეეხება, მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენის ნაწილში რუსეთიდან და ირანიდან იმპორტირებული პროდუქტის უარყოფით გავლენებს, აქ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ზემოთ ხსენებული ორი ქვეყნიდან იმპორტირებული პროდუქტის ღირებულება მკვეთრად დაბალი იყო სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტის ღირებულებაზე. ირანის შემთხვევაში ეს სხვაობა 60-64 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო რუსეთის შემთხვევაში 35-39 აშშ დოლარის ფარგლებში. შესაბამისად, ადგილობრივი ინდუსტრიის ფასზე ზეწოლა ძირითადად ირანიდან და რუსეთიდან იმპორტირებულ პროდუქციას უკავშირდებოდა.

სააგენტო მიიჩნევს, რომ საქართველოს ბაზარზე ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობის გაუარესებისა და პროდუქტის დაბალი ღირებულების მხოლოდ გლობალურ ტენდენციასთან დაკავშირება არ არის გამართლებული. 2021-2023 წლებში საქართველოში არმატურაზე მოთხოვნის ზრდა აჩვენებს, რომ ადგილობრივ ბაზარს ჰქონდა განვითარების პოტენციალი.

5.2.5. საქართველოში არმატურის იმპორტის ხარჯების ცვლილება

ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანისა და დემპინგური იმპორტის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენის პროცესში მნიშვნელოვანია საქართველოში ფოლადის ბაზარზე არსებული რეგულაციური ცვლილებების განხილვა, რომელიც დაემთხვა ზიანის დადგენისათვის გათვალისწინებულ პერიოდს. აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს 2025 წლის იანვრიდან შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევის საფასურის გაზრდა, რომელიც სხვა ქვეყნებთან ერთად, შესწავლის ობიექტის ექსპორტიორი ქვეყნებიდან, კერძოდ რუსეთიდან და ირანიდან შემოტანილ არმატურაზეც ვრცელდება. წარმოდგენილი ცვლილების შედეგად იმპორტირებული პროდუქტის საბოლოო ფასის ზრდის საფუძველზე, შემცირდა შესწავლის ობიექტის საფასო ზეწოლა ადგილობრივ ინდუსტრიაზე. გათვალისწინებულ პერიოდში შემოღებული მომსახურების საფასური ზრდის იმპორტის ადმინისტრაციულ ხარჯებს, ცვლის ბაზარზე არსებულ ვითარებას და ამცირებს ადგილობრივ ინდუსტრიაზე დემპინგური ფასით იმპორტირებული პროდუქტისაგან ზიანის მიყენების შესაძლებლობას.

შესაბამისად, 2025 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში არსებული ტენდენციები მიუთითებს ადგილობრივ ინდუსტრიაზე იმპორტირებული შესწავლის ობიექტის გავლენის შემცირებაზე. კერძოდ, სამიზნე ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა: ირანის წილი მთლიან მოხმარებაში 2024 წლის 21%-იდან 2025 წელს 3%-მდე, რუსეთის წილი კი 32%-იდან 11%-მდე შემცირდა. პარალელურად, გაიზარდა ადგილობრივი ინდუსტრიის წილი – 2024 წლის 42%-დან 2025 წლისათვის 54%-მდე.

6. დასკვნა

შესწავლის ორგანომ, კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანისა და მიყენებულ ზიანსა და დემპინგურ იმპორტს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის შეფასების ფარგლებში დაადგინა, რომ გათვალისწინებულ პერიოდში ბაზარზე არსებული გარემოებები ანტიდემპინგური შესწავლის სამიზნე ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტის უარყოფითი გავლენების შესუსტებაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში არმატურის ბაზრის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია შემოსავლების სამსახურის მომსახურების საფასურის ცვლილებამ, რის შედეგადაც 2021-2024 წლებში გამოვლენილი უარყოფითი ტენდენციები ადგილობრივი ინდუსტრიისა და იმპორტის დინამიკაში მნიშვნელოვნად შეიცვალა.

კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანისა და მიზეზშედეგობრივი კავშირის დასადგენად, შესწავლის ორგანომ შეაფასა დემპინგური იმპორტის მოცულობა, მისი გავლენა ადგილობრივ ბაზარზე მსგავსი პროდუქტის ფასებზე და გავლენა ადგილობრივ მწარმოებლებზე.

2025 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში ანტიდემპინგური შესწავლის სამიზნე ქვეყნებიდან იმპორტის მოცულობა მკვეთრად შემცირდა. შემოსავლების სამსახურის მომსახურების საფასურის დაწესების შედეგად იმპორტის საბოლოო ღირებულება გაიზარდა, რამაც ადგილობრივი ინდუსტრიის ფასზე ზეწოლა შეამცირა. ამასთან, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ არმატურის გაყიდვების ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა.

მოქმედი მომსახურების საფასური გამორიცხავს დამატებითი ანტიდემპინგური ღონისძიებების საჭიროებას. შესაბამისად, არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი სტანდარტების გათვალისწინებით, **კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და წესის 22-ე მუხლის საფუძველზე, შესწავლის ორგანო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს სპეციალური ანტიდემპინგური ღონისძიებების დაწესებას.**